რწმენა გამაღლებს
თუ ეჭვი გიპყრობს,
დავრდომილი ხარ თუ ღონე გერჩის,
წუთი არ არის, რომ მარტო იყო,
ღმერთი ან ეშმა არ გედგას გვერდში.

მაგრამ ორივე უჩინარია
და ვერც გაარჩევ, რომელი გწინდავს,



ალღო კი მხოლოდ შეუმცდარი აქვს
წინასწარმეტყველს,
გმირსა და წმინდანს.

ვინ გაუმღვება ადამიანებს,
ბედისწერასთან ვინ შეაბრძოლებს?
ვინც ღმერთს და ეშმას აერთიანებს
და თავის თავში აწონასწორებს.

შოთა ნიშნიანიძე



მოლოდინი

## მარჯანიშვილის თეატრი ნიუ-იორკშია!

გულისტკივილი

## ასეთს ვეღარ შეხვდებით!




მამულს გული უპირველეს ყოვლისა!

# მამული

ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში * ოქტომბერი, 2008 N48 * გამოცემის მე-5 წელი * ასავალ-დასავალის ჰარმონიისთვის




მინდა შევთხოვო უფალს, სახლში დაბრუნდეთ ისინი, ვინც გასული ხართ საქართველოდან.

ამასწინათ რადიოში მოვისმინე ემიგრანტი ქალის სიტყვები, რომელიც ამბობს: „მთვარე დავტოვე სახლის დარაჯად". ღმერთმა ინებოს, რომ არ დაცარიელდეს არცერთი სახლი, ღმერთმა ინებოს, რომ აღარ გავიგონოთ „მთვარე დავტოვე სახლის დარაჯად".

სახლი უნდა ცოცხლობდეს და კერა უნდა ენთოს ყოველ სახლში!

ღმერთმა დაგლოცოთ!

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



## შაბაშ! news

### ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲕᲐᲓᲐᲡ 10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜ

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენიელ ფრიდი აღნიშნავს, რომ თუ 10 ოქტომბრამდე მოსკოვი ე.წ. ბუფერულ ზონებს არ დატოვებს, ამას ძალიან მკაცრი რეაქცია მოჰყვება. მისი შეფასებით, მედვედევი სარკოზის სამშვიდობო გეგმის შეუსრულებლობისთვის მოსკოვი სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცევა.

ფრიდის თქმით, საქართველოში რუსეთის ინტერვენციის საკითხი მხოლოდ მცირე ინციდენტი არ არის და ეს დიდი პრობლემაა, რუსეთი ძალისმიერი მეთოდებით ცვლის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს.

დიპლომატმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი სახის სანქციას, რომელიც ვაშინგტონმა, შესაძლოა, რუსეთის წინააღმდეგ შემოიღოს, ზედმიწევნით განიხილავენ. რათა კრემლის პოზიციის შეცვლის შემთხვევაში, ამ ზომების გაუქმება შესაძლებელი იყოს.

### ᲰᲘᲚᲐᲠᲘ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ

დემოკრატი სენატორი ჰილარი კლინტონი აშშ-ში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თაობაზე სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით გამოდის.

შესაბამისი კანონპროექტი მან სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში უკვე შეიტანა.

პროექტის თანახმად, კომისია 9 წევრისგან დაკომპლექტდება და გარდა აგვისტოს მოვლენებისა, მან უნდა შეისწავლოს კონფლიქტის ისტორია 1991 წლიდან, რუსეთის პოლიტიკა საქართველოსა და სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებაში, ნატოს როლი შექმნილ ვითარებაში, ასევე რუსი სამშვიდობოების ქმედება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და მათი საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობა.

### ᲝᲠᲯᲝᲡᲐᲜᲗᲐᲜ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲘᲬᲣᲠᲐ... ᲝᲘᲓᲐᲚ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲧᲐᲠᲔᲡ

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის გორი-კასპის მონაკვეთზე ავტობანის სამშენებლო სამუშაოები განახლებულია, თუმცა მშენებლები ორჯოსანის მიმდებარე ტერიტორიიდან ამ მიზნის მოშორებით აღარ გააგრძელებენ, რასაც ორი დღის წინ ცეცხლის გახსნა და ცნობილი ინციდენტი მოჰყვა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მთლიანად მობილიზებულია შეიარაღებული ოსური ფორმირებები და ისინი ქართველ მშენებლებს მიახლოების საშუალებას არ მისცემენ. გზის მშენებლობისათვის საჭირო გრუნტის მოზიდვა კი სხვა ადგილიდან მოხდება.

### „ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐᲛ“ ᲘᲨᲕᲘᲚᲐ

უსაზღვროდ ტკივილიანი პატარა დიტო რაზმაძის ბედი. აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა მისი მშობლები შეიწირა (დედა მეორე შვილს ელოდებოდა). თვითონ კი საავადმყოფოში მოხვდა. ახლა იგი გამოჯანმრთელდა და ბებიასთან და ბაბუასთან ცხოვრობს. შვიდი წლის დევნილი ობლის ბედი საზოგადოებამ გულთან მიიტანა და სიკეთემ გზა იპოვა... დიტოს და მის მსგავსთა, დაახლოებით 70-მდე ბავშვის ბედი მსოფლიოს საოპერო სცენის ვარსკვლავებმაც გაიზიარეს და ჩვენი სახელმოხვეჭილი მომღერლის პაატა ბურჭულაძის მოწოდებას უმალ გამოეხმაურნენ.

25 სექტემბერს, საღამო, სპორტის სასახლეს ხალხი მოაწყდა მარტო იმიტომ კი არა, რომ ვარსკვლავების შესრულებით გენიალური ვერდის შედევრი მოესმინათ, არამედ იმიტომაც, რომ თითოეული მათგანი ქველმოქმედების თანამონაწილე გამხდარიყო და ბილეთის საფასურით თავისი წვლილი შეეტანა.

მსოფლიოს საოპერო თანავარსკვლავედი კი ასე გამოიყურებოდა ლუჩიანა დინტინო (მეცო სოპრანო), რამონ ვარგასი (ტენორი), ოლგა რომანკო - პრიმავერა (სოპრანო) და თავად პაატა ბურჭულაძე. მათთან ერთად "რეკვიემის" შესრულებაში მონაწილეობდნენ თბილისის ოპერის თეატრისა და ეროვნული მუსიკალური ცენტრის გაერთიანებული ორკესტრი და გუნდი ცნობილი ესპანელი დირიჟორის მიგელ გომეს-მარტინესის დირიჟორობით. ისიც ცნობილია, რომ ყველა სტუმარი წარმატებული საოპერო კარიერის გარდა აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას მისდევს.

„რეკვიემი“, დატირების ჟანრის ეს საოცარი ქმნილება საღამოს მთელი თავისი ბრწყინვალებით აჟღერდა მიუხედავად იმისა, რომ სპორტის სასახლე კლასიკური მუსიკისათვის შესაფერისი აკუსტიკით არ გამოირჩევა, მომღერლებმა თავი არ დაზოგეს ამ ნაწარმოების მშვენიერებისთვის ეზიარებინათ მსმენელი. საღამოს რამდენიმე ტელეარხი პირდაპირი ეთერით გადასცემდა და მას ურიცხვი რაოდენობის მსმენელ-მაყურებელი.

„რეკვიემის“ ფინალური ნაწილი ათასობით ანთებული სანთლის ფონზე შესრულდა და ეს იყო ულამაზესი თეატრალური სანახაობა.

როგორც ყოველთვის, კონცერტის შემდეგ პაატა ბურჭულაძემ გაახმოვანა: უსახლკაროდ დარჩენილ ოთხ მრავალშვილიან ოჯახს ბილაინის შემოწირულობით „იავნანამ“ და „თიბისი ფონდმა“ ბინები შეუძინა. მათი გასაღებები ამ ოჯახებს თავად სტუმრებმა გადასცეს. „ტოიტა კავკასიის“ და „ტოიოტა ცენტრ თბილისის“ თანადგომით კი სამოცდაათივე დაობლებული ბავშვი ერთი წლის მანძილზე დახმარებას მიიღებს. პრაღაში მცხოვრებ ნოდარ გიორგაძის დახმარებით 20 ბავშვი ჩეხეთში გაემგზავრება სარეაბილიტაციოდ და დასასვენებლად. რაც შეეხება პატარა დიტო რაზმაძეს, იგი ფონდ „იავნანამ“ იშვილა და შეეცდება ამიერიდან მას ცხოვრება გაუადვილოს და გაულამაზოს. დღეს კი მას ერთოთახიანი ბინა აჩუქეს გორში.

### „ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატს ჯონ მაკკეინს და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატს სარა პეილინს შეხვდნენ.

- ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო ამერიკასთან, არა იმიტომ რომ შეერთებული შტატები აქტიურად გვიჭერს მხარს და ჩვენს მიმართ ხელგაშლილობას იჩენს, არამედ იმისთვის, რომ თქვენ კარგად გესმით თავისუფლების ფასი, თქვენ ეხმარებით ხალხს, რომელიც თავისუფლებისთვის იბრძვის, - განაცხადა შეხვედრაზე მიხეილ საკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ჯონ მაკკეინს აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და მისი სიტყვები „ჩვენ ყველანი ქართველები ვართ“ გაიხსენა. იუშჩენკომ და სააკაშვილმა მაკკეინს არჩევნებში წარმატებები უსურვეს.

### ᲡᲐᲛᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲒᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ

საქართველოს მხარდაჭერა პოლონეთის, ესტონეთისა და უკრაინის პრეზიდენტებმა კიდევ ერთხელ დაუდასტურეს.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ კვლავ დაგმო რუსეთის ქმედებები და განაცხადა, რომ უკრაინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არასდროს აღიარებს.

პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის განცხადებით, ქართულ-რუსული კონფლიქტის მოგვარების გეგმას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ მუხლი აუცილებლად უნდა დაემატოს.

- სრულფასოვანი დისკუსიის წარმართვა, რომელიც ჟენევაშია დაგეგმილი, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ მუხლის დამატების შემთხვევაშია შესაძლებელი, - განაცხადა კაჩინსკიმ.

ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ჰენდრიკმა კი იმ კიბერ შეტევაზე ისაუბრა, რომელიც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ჯერ კიდევ სამხედრო დაპირისპირების დაწყებამდე განახორციელა.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „NEWSWEEK“



# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲛᲐᲙᲙᲔᲘᲜᲡ ᲛᲘᲨᲐ?

მიხეილ სააკაშვილმა, გამოუძინებელი წითელი თვალებითა და სატელევიზიო გრიმით დაფარული სახით შეკრიბა უახლოესი თანამებრძოლები თავის რეზიდენციაში, ძველ თბილისში რომ მდებარეობს. 12 აგვისტოს ღამის ორი საათი იყო და საქართველოს დედაქალაქის მიმართულებით გზატკეცილზე მოდიოდა რუსეთის სატანკო კოლონა. „მე არ ვაპირებ გაქცევას, რა ვითარებაც უნდა იყოს, - განაცხადა პრეზიდენტმა. - არ ვაპირებ დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ვიწუწუნო იმაზე, რომ ომის დროს დავტოვე ჩემი ქვეყანა“. შემდეგ მან ისინი გაუშვა სახლებში, რათა მათ გამოეცვალათ კოსტიუმები და ჰალსტუხები ტანსაცმლით, რომელიც უფრო შეესაბამებოდა დამპყრობლებთან ბრძოლას. ერთი ქილა „რედ ბულის“ შესმის შემდეგ სააკაშვილმა აიღო ყურმილი და დაურეკა თავის ახლო მეგობარსა და მრჩეველს, ვისაც ყოველთვის მიმართავს 8 აგვისტოდან, როდესაც დაიწყო ომი: ჯონ მაკკეინს. რესპუბლიკელთა ფლაგმანის წყაროსთან დაახლოებულმა პირმა, რომელმაც გვთხოვა არ დაგვესახელებინა მისი სახელი, ვინაიდან საქმე შეეხება კერძო საუბარს, გვითხრა, რომ მაკკეინმა გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა მოსკოვზე მოვახდინოთ დიპლომატიური და პოლიტიკური ზემოქმედება. „გამაგრდი, - უთხრა სენატორმა, სააკაშვილის თანაშემწის სიტყვებით, რომელიც დათანხმდა ანონიმურობის პირობებს. - ჩვენ ამას არ დავუშვებთ... ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა შევაჩეროთ ეს აგრესია“.

არ არის გასაკვირი, რომ 41 წლის სააკაშვილი, ვისაც ქართველები მიშას ეძახიან, მიმართავს კრიზისულ მომენტში მაკკეინს: ისინი მეგობრობენ უკვე ათი წელია, და მაკკეინისთვის ეს არის ერთ-ერთი მაგალითი მეტად მჭიდრო ურთიერთობისა უცხოელ ლიდერებთან. რესპუბლიკელი სენატორი ჩრდილოეთ კაროლინიდან რიჩარდ ბარი 2006 წელს იყო საქართველოში დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მაკკეინი ხელმძღვანელობდა. მისი სიტყვებით, სააკაშვილი რესპუბლიკელთა კანდიდატს მიმართავდა, როგორც „სხვა დონის... სიდიდეს“. გასაგებია აგრეთვე, თუ რატომ არის აღფრთოვანებული მაკკეინი საქართველოს პრეზიდენტით. იგი მრავალმხრივ არის ენერგიული და არაორდინარული რეფორმატორი, ქედუხრელი მებრძოლი თავისუფლებისთვის, რომელიც გამოდის „რუსი დათვის“ წინააღმდეგ. იუსტიციის მინისტრის კარიერა სააკაშვილისთვის ერთ საათში დამთავრდა - 2001 წელს კაბინეტის სხდომის დროს, როდესაც მან ყველას უჩვენა საქაღალდე ფოტოგრაფიებით, სადაც ნაჩვენები იყო მინისტრების ქალაქგარე ბრწყინვალე აგარაკები, დადო იგი მაგიდაზე და მოითხოვა დაუყოვნებლივ დაესაჯათ მისი კოლეგები. „ჩვენ ბევრ რამეში ვგავართ ერთმანეთს, ამბობს სააკაშვილი, - ჩვენ ვგავართ ერთმანეთს იმითაც, რომ არ შეიძლება რწმენის მსხვერპლად მოტანა“.

სწორედ ეს აღელვებს მაკკეინის მრავალრიცხოვან კონსულტანტებს საგარეო პოლიტიკის დარგში. ამ პარასკევ საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის უნდა გაიმართოს დებატები საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე, და რესპუბლიკელს, უმრავლესობის აზრით, ექნება უპირატესობა: გამოკითხვები, ერთი-მეორის მიყოლებით, უჩვენებენ, რომ იგი ამომრჩეველთა აზრით, უკეთესია, ვიდრე სენატორი ბარაკ ობამა. სააკაშვილის მსგავს ლიდერებთან ურთიერთობა აძლიერებს ამ აზრს. და მაინც მაკკეინის სიყვარული მიშასადმი ეწინააღმდეგება ბევრი რესპუბლიკელის ინსტინქტს. მაკკეინს მოსწონს, რომ სააკაშვილი მნიშვნელობას ანიჭებს ზნეობრივ პრინციპებს,ამბობს დიმიტრი საიმსი, ნიქსონის ცენტრის დამაარსებელი და პრეზიდენტი.

ძნელია სიმპათიები არ გვქონდეს სააკაშვილის მიმართ. ეს არის მომხიბლავი, ურთიერთობაში უშუალო და მეტად ენერგიული ადამიანი. ის დასცინის საკუთარ ხუმრობებს. როგორც მაკკეინი, ის უბრალოდ ესაუბრება პრესას. ჩამოსულ ჟურნალისტებს ის უგზავნის ეს-ემ-ესებს საკუთარი მობილური ტელეფონით (არ მალავს თავის ნომერს), იწვევს მათ ღამის სამ საათზე დაუგეგმავ ვახშამზე. მისი მეუღლე სანდრა ალაარებს, რომ იგი „იმპულსურია“, თუმცა მიაჩნია: „ეს კარგი თვისებაა. იგი არ უშვებს არცერთ შესაძლებლობას. მას სურს, რომ ყველაფერი სწრაფად გაკეთდეს“. მაგრამ, როგორც წესი, სააკაშვილი წარმოგვიდგება არაჩვეულებრივად გაწონასწორებული, მას აქვს დაბალი, თუმცა ხმამაღალი ტემბრი, ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და უკრაინულ ენებს. თავისუფლების სიკეთისა და კომუნიზმის დამღუპველობის შესახებ ის ისეთი რწმენით ლაპარაკობს, რომ მის სიტყვებში ეჭვი არ შეგეპარება.

სწორედ ტოტალიტარიზმისადმი მისი ზიზღის გამო დაუკავშირდა მაკკეინი სააკაშვილს, როდესაც იგი იყო რონალდ რეიგანის მიერ დემოკრატიის მხარდასაჭერად ჩამოყალიბებული არასახელმწიფო საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აწარმოებდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პოტენციური ლიდერების ძებნის პროგრამის კოორდინირებას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 1995 წელს იგი თავმჯდომარეობდა ამ ინსტიტუტის მიერ ვაშინგტონში მოწყობილ კრებას, რომელსაც ესწრებოდა სააკაშვილიც. ახალგაზრდა ქართველმა, კოლუმბიის უნივერსიტეტისა და ჯორჯ ვაშინგტონის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა სწორედ მაშინ განაცხადა უარი ნიუ-იორკის ადვოკატთა ბიუროში კარიერისგან და გაემგზავრა თავის სამშობლოში, რათა იქ პოლიტიკაში ჩართულიყო. 1997 წელს თბილისში მაკკეინის ვიზიტის შემდეგ მათი მეგობრობა განმტკიცდა. სააკაშვილი იმ დროს იყო პარლამენტის დეპუტატი და ამზადებდა სასამართლო რეფორმას, მან მაკკეინზე შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ენთუზიაზმით, როდესაც საკითხი შეეხებოდა, სააკაშვილის სიტყვებით, „უნივერსალურ, არა მხოლოდ ამერიკული პრინციპების პატიოსნებას,არამედ საკუთარი პოტენციალის აღქმასაც“.

მაკკეინმა მხარი დაუჭირა მეგობარს 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს, რომლის შედეგადაც სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი. ახალგაზრდა ქართველი პოლიტიკოსი კენჭს იყრიდა სახელმწიფოს უმაღლეს პოსტზე, მაკკეინი კი კვლავ ჩავიდა თბილისში (ამერიკის შეერთებული შტატების მაღალჩინოსანთა დელეგაციის მეთაურის რანგში), რათა მოეწოდებინა ედუარდ შევარდნაძისთვის, რომელსაც ხელმეორედ არჩევა სურდა ამ თანამდებობაზე, გამოეჩინა პატივისცემა ამომრჩეველთა ნდობისადმი. ამან ვერ შეაჩერა შევარდნაძე კენჭისყრის შედეგების გაყალბების მცდელობისგან. როდესაც სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა პროტესტის ნიშნად დაიკავეს პარლამენტის შენობა, მაკკეინმა დაურეკა შევარდნაძეს - ასევე თავის დიდი ხნის მეგობარს - და შეეცადა დაერწმუნებინა იგი, მშვიდობიანად დაეტოვებინა პოსტი. შევარდნაძე, ბოლოს და ბოლოს, ასეც მოიქცა. სააკაშვილმა კარიერის დაწყებისთანავე გაათავისუფლა 80 ათასი სახელმწიფო ჩინოვნიკი (დედანში ასეა - რედ.), მათ შორის 90 პროცენტი ძალოვანი უწყებებიდან, რომლებმაც მომზადება გაიარეს ჯერ კიდევ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში, და აბსოლუტურად ყველა მუშაკი კორუმპირებულობით სახელგანთქმული ავტოსაგზაო სამსახურიდან - სახელმწიფო ავტოინსპექციიდან. მას შემდეგ 3 დეპუტატი, 16 პროკურორი, 45 მოსამართლე, 400 პოლიციელი ჩინოვნიკი და მოქმედი მინისტრიც კი გათავისუფლებულ იქნენ თანამდებობიდან და დაპატიმრებული მექრთამეობისთვის. მიშამ ძველი ქართული მმართველი კლასის გვერდის ავლით ჩამოაყალიბა თავისი კაბინეტი იმ ახალგაზრდა ადამიანების შემადგენლობით, რომლებმაც განათლება მიიღეს დასავლეთში, ადრე მუშაობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებში. „მხოლოდ ახალგაზრდები იღვწოდნენ ქვეყნის შესაცვლელად“, - ამბობს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია. იგი 50 წლისაა და კაბინეტის ყველაზე უხუცესი წევრია (თავდაცვის მინისტრი 29 წლისაა).

მაგრამ შემდგომში პრეზიდენტი უკვე ველარ იტანდა სხვაგვარად მოაზროვნეებს. დღეს მისი მთავრობა - ეს არის ერთი მსახიობის თეატრი, ჩივიან მისი ყოფილი თანამებრძოლები. „საქართველოში ყველაფერს ერთი მიშა წყვეტს, - ამბობს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი, ამჟერად კი ოპოზიციის მეთაური სალომე ზურაბიშვილი. - მან ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება ომის დაწყების შესახებ და იგი ახლაც მარტოა“.

ყველაზე საზიზღარი შემთხვევა მოხდა გასული წლის ნოემბერში, როდესაც დუბინკებით შეიარაღებულმა ომონელებმა ბოლო მოუღეს ხუთდღიან ანტისამთავრობო გამოსვლებს. რამდენიმე საათის შემდეგ 250 ქართველმა სპეცნაზელმა იერიშით აიღო ოპოზიციური ტელეკომპანია „იმედი“.

„კიბეზე, რომელიც პირველ სართულზე ადიოდა, კამუფლაჟში გამოწყობილმა კაცმა შუბლზე პისტოლეტი მომადო, - გვიამბობს არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის დირექციის მაშინდელი ხელმძღვანელი გიორგი თარგამაძე, - დავინახე, რომ ჩემი კოლეგები იატაკზე იწვნენ“.

500-ზე მეტი კაცი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ სააკაშვილი ირწმუნება, რომ მკაცრი ზომები აუცილებელი იყო. „ბრბო თავს დაესხა პოლიციელებს და ჩვენც გავაკეთეთ იგივე, რასაც ჩვენ ადგილზე გააკეთებდა ნებისმიერი ევროპული ქვეყანა“, - თქვა მან. როგორც წესი, ადგილი ჰქონდა სატელეფონო კონსულტაციებს მაკკეინთან. „სენატორმა მაკკეინმა აშკარად გვაგრძნობინა, რომ იგი მომხრეა თავისუფლების სრული აღდგენისა, თავისუფალი არჩევნების მოწყობისა საერთაშორისო მეთვალყურეების ზედამხედველობით და პოლიტიკური რეფორმების უფრო ღრმა დანერგვისა“, - განაცხადა მაკკეინის მახლობელმა თანამოსაუბრემ, რომელმაც აგრეთვე გვთხოვა არ დაგვესახელებინა მისი პიროვნება, ვინაიდან საკითხი შეეხებოდა კერძო საუბარს. მიუხედავად ამისა, ბევრი ოპოზიციონერი ამბობს, რომ სააკაშვილი ფიქრობდა: ვაშინგტონთან კავშირი მას კრიტიკისგან დაიცავდა.

კონფრონტაცია ორი ქართული ამბოხებული რეგიონის გარშემო დიდი ხანია მწიფდებოდა. პირველად მოსკოვმა დაუჭირა მხარი აფხაზ და სამხრეთოსეთელ სეპარატისტებს ქაოსის წლებში, რაც მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას, უკანასკნელ პერიოდში კი დაპირისპირება სწრაფად ძლიერდებოდა. როგორც რუსეთის ადმინისტრაციის წყაროებიდან იტყობინებიან, პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, რომელიც ტანად დაბალია, მეტად გულნატკენი დარჩა, როდესაც გაიგო, რომ სააკაშვილმა მას კერძო საუბარში „ლილიპუტინი“ უწოდა. მაგრამ არაფერი ისე არ აღელვებს რუსეთის ლიდერს, როგორც საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ. როდესაც აპრილის სამიტზე ბუქარესტში სააკაშვილმა ნაწილობრივ მიიღო ალიანსში შესვლის მწვანე შუქი, კრემლმა დაიწყო მზადება ომისთვის, ამბობს მოსკოვის სამხედრო მიმომხილველი პაველ ფელგენგაუერი. რუსეთის კონტინგენტმა განახორციელა სამხრეთ ოსეთში რამდენიმე მანევრი, ხოლო საინჟინრო ჯარებმა შეაკეთეს აფხაზეთში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რკინიგზა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ჯავშანტექნიკის სწრაფი გადასროლა.

* * *

რუსეთს, უბრალოდ, სურდა სააკაშვილის ომში ჩართვა, რომლის მოგებაც მას არ შეეძლო. სააკაშვილის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის მრჩეველმა ერთი წლის წინათ იგრძნო, რომ მწიფდებოდა კონფლიქტი და უამბო თავის მეგობრებს, რომ მზადაა, რათა დატოვოს თავისი პოსტი. „ისინი აპირებენ ომის დაწყებას, რათა შემდეგ ეს ომი წააგონ“, - უთხრა ჩინოვნიკმა თავის კოლეგებს, რომლებიც დაგვთანხმდნენ ინტერვიუ მიეცათ „ნიუსვიკისთვის" ანონიმურობის პირობით. მიუხედავად ამისა, სააკაშვილი არ აღიარებს, რომ მას განზრახული ჰქონდა ომში საქართველოს მოკავშირეების ჩართვა.

„მე სრულიადაც არ მინდა, რომ ჩვენთვის იბრძოდეს ევროპა, - ამბობს იგი. - მაგრამ ევროპის ქვეყნების წინაშე არჩევანია: შეაჩერონ რუსეთის აგრესია აქ, თუ ელოდონ, როდის გაუსწორდება იგი მორიგ მსხვერპლს“.

**ᲐᲜᲐ ᲜᲔᲛᲪᲝᲕᲐ, ᲓᲔᲜ ᲔᲤᲠᲝᲜᲘᲡ, ᲡᲘᲣᲖᲔᲜ ᲡᲛᲝᲚᲘ**

# ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲔᲡᲐᲪ ᲕᲙᲐᲠᲒᲐᲕᲗ?!



რედაქციაში შეშფოთებულმა და აღშფოთებულმა აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ დარეკა. ხალხო, ეს დღეები მოსვენება დავკარგე, ყველა მირეკავს და მეკითხება, რა თქვა ეს ჩვენმა პრეზიდენტმა ფრანგულ „ლე მონდთან“ საუბარში, თამარ მეფე ოსიაო, თურქები ყოველთვის ჩვენი მეგობრები იყვნენო, ტელეფონი არ ჩერდება, დააწერინეთ ვისმე სიმართლეო.

- რახან თქვენ დარეკეთ, იქნებ თქვენვე გეთქვათ ორიოდე სიტყვით, სინამდვილეში როგორ არის საქმე?

ქვემოთ სწორედ ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძის ამ ნაუბარს გთავაზობთ.

- მართალია, პოლიტიკოსებს ისტორიის თავიანთ ქეიფზე მიჭრა-მოჭრა უყვართ, მაგრამ ისტორია ამით არ იცვლება. ისე, რასაკვირველია, ბევრად უმჯობესია, თუ ისტორიას ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად გავიხდით, მაგრამ ამასაც, ცხადია, ჭკუა უნდა, რაც ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფალთ, სამწუხაროდ, მაინცდამაინც არ გადმოსდით...

შეჭირვებული ხალხის დასაბნევად ისტორიის განგებ დამახინჯება, სხვა არა იყოს რა, უკადრისი საქციელია. ისტორიის დამახინჯების ხარჯზე თანამედროვე პოლიტიკის თუნდაც ერთგვარად შელამაზება კი შეუძლებელია და გაგებული ხალხის თვალში ბევრად წამგებიანიც. აი ნამდვილად ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ჩვენი პრეზიდენტის მიერ ისტორიის სრულიად ახალ „გაგებასთან“ დაკავშირებით. სააკაშვილისეული „ისტორიოგრაფია“ ძირშივე მცდარია და არცრა საერთო აქვს უტყუარ ისტორიასთან, რომელიც სიტყვასიტყვით შემდეგს გვეუბნება:

ფეოდალიზმის ხანაში ირანი და ოსმალეთი თავგადაკლული ებრძოდნენ ერთმანეთს სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოში გასაბატონებლად, ანუ, უფრო სწორად, 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დაცემი-

# ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელი რუსი ხალხის ისტორიაში

## ღია წერილი ვლადიმერ პუტინს

ბატონო პრემიერ-მინისტრო,

თქვენს ინტერვიუში ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-სათვის, რომელიც ძირითადად რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს შეეხება, თქვენ წინ უსწრებთ ზოგიერთ ისტორიულ ექსკურსს, რაც მიზნად ისახავს „მაინც უფრო ფართოდ შევხედოთ ამ კონფლიქტს“, ვინაიდან, ეჭვგარეშეა მსმენელებისთვის „საინტერესო იქნება გაიგოს ცოტა რამ მსოფლიოს ამ რეგიონში (ე. ი. კავკასიაში - ავტ.) ხალხთა და ეთნოსთა შორის ურთიერთობათა წინაისტორიის შესახებ. ამის თაობაზე ხომ არავინ არაფერი იცის“.

ეს თქვენი სიტყვებია, რომლებიც მიმართულია, ალბათ, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მკითხველებისა და მსმენელებისადმი და არა მხოლოდ მათდამი, სავსებით სამართლიანია. მაგრამ, სამწუხაროდ, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თქვენი ცოდნა „წინაისტორიის“ დარგში ამ რთული პრობლემებისა, ხელს უწყობს მხოლოდ მსმენელთა სრულ დეზინფორმაციას.

მართლაც, თქვენ ამბობთ:

*1. „ყველა ეს სახელმწიფო წარმონაქმნი* (კავკასია - ავტ.) *თავის დროზე ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში"?!..*

ბატონო პრემიერ-მინისტრო, არ არის დრო, ოცდამეერთე საუკუნეში უარი ვთქვათ „ნებაყოფლობითი“, „უფროსი ძმის“, „გამათავისუფლებლის“ კომუნისტურ იდეოლოგიაზე, რომელთანაც ყველა მეზობელი ცდილობს „ნებაყოფლობით“ გაერთიანდეს.! ისტორიაში არის ფაქტები, როდესაც მცირე, უფრო სუსტი სახელმწიფოები, პოლიტიკური მიზეზებით, მიმართავენ ძლიერ მეზობელს აღმოუჩინოს „მფარველობა“, „პროტექტორატი“, მაგრამ ეს მოვლენები სხვა იურიდიული განმარტებებია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა შესანიშნავად განიცადეს თავიანთ თავზე, თუ როგორი „გამათავისუფლებელი“ იყო საბჭოთა კავშირი.

*2. „რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში პირველი შევიდა, ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში, 1745-1747 წლებში ოსეთი. მაშინ ეს იყო ერთიანი სახელმწიფო წარმონაქმნი. ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი - ეს იყო ერთი სახელმწიფო“!*

აქ რამდენი ფრაზაცაა, იმდენი სიყალბეა! ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთისა“ და ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიები არასოდეს არ შესულან ერთ სახელმწიფო წარმონაქმნში. ეს ისტორიული ნონსენსია, რომელიც არ ითვალისწინებს კავკასიის ქედის არსებობას!

XVIIII საუკუნეში საერთოდ არ არსებობდა ოსეთი, როგორც ერთიანი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. ოსები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ემორჩილებოდნენ ყაბარდოელებს. 1774 წელს რუსეთმა ფორმალურად აიყვანა თავის მფარველობის ქვეშ ყაბარდო და მასთან ერთად - ჩრდილოეთ კავკასიის ოთხი ოსური საზოგადოებიდან სამი (იხ. „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორია უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის ბოლომდე". 1988. გვ. 442-449; ბლიევი. ტურგიევი. „ჩრდილოეთ ოსეთის ისტორია“, ნაწილი პირველი, ორჯონიკიძე, 1990. გვ. 44-45).

რაც შეეხება „სამხრეთ ოსეთს“, ასეთი ცნება მაშინ საერთოდ ბუნებაში არ არსებობდა. მხოლოდ ოსების გარკვეული რაოდენობა (2860 კომლი, ე.ი. დაახლოებით 15 000 ათასი კაცი), რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთში გადმოსახლდნენ XVIII საუკუნეში, ცხოვრობდა ქართველი ფეოდალების მფარველობის ქვეშ დღევანდელი ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ უკიდურესი ჩრდილოეთის მთიან ნაწილში (იხ. დოკუმენტი: „ქართლისა და კახეთის მოსახლეობა 1770 წელს“ კრებულში: „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ.2, თბ. 1965. ქართულ ენაზე). არსებობს საქართველოსა და კავკასიის XVIII საუკუნის ევროპული და რუსული რუკები, რომლებიც ინახება რუსეთის არქივებში და რომლებზეც „ოსეთი“ აღნიშნულია იქ, სადაც უნდა იყოს - ჩრდილოეთ კავკასიაში!

*3. „1801 წელს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შევიდა თავად საქართველო, რომელიც იმყოფებოდა ოსმალეთის იმპერიის ცნობილი ზეწოლის ქვეშ“.*

ბატონო პრემიერ-მინისტრო, სამწუხაროდ, თქვენ მეხსიერება გღალატობთ. 1801 წელს რუსეთის შემადგენლობაში შევიდა არა მთლიანად საქართველო, არამედ მისი ნაწილი - აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო (რომელიც არა ოსმალეთის იმპერიის, არამედ ირანის მხრიდან „ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა“). მაგრამ, 1783 წლის ხელშეკრულებით („გეორგიევსკის ტრაქტატი“) აღმოსავლეთ საქართველო, ანუ ქართლ-კახეთის სამეფო, სწორედ, როგორც სახელმწიფო უნდა შესულიყო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ! ამის ნაცვლად მეფე ალექსანდრე პირველმა უმალვე გაანადგურა საქართველოს ყოველგვარი სუვერენიტეტი, გახადა იგი რუსეთის გუბერნიად, ესე იგი, მოახდინა მისი ტერიტორიის მარტივი ანექსია. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფე სოლომონ პირველი ათი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოდა რუსეთის ჯარებთან და არც დანებებულა, ისე გარდაიცვალა დევნილობაში. და, საერთოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აჯანყებათა ტალღა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და რუსების წინააღმდეგ საყოველთაო აღშფოთებისა, რომლებმაც არ შეასრულეს სიტყვა, არ დამარცხდა XIX საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში. აი, შედეგი რუსეთის იმპერიასთან „ნებაყოფლობითი“ შეერთებისა!

*4. „1812 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა აფხაზეთი. ამ დრომდე იგი შენარჩუნებული იყო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი სამთავრო“.*

ჯერ ერთი, აფხაზეთი (ისიც არა დღევანდელ ფარგლებში) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა 1810 წელს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ იმ უძველესი დროიდან დაწყებული, როდესაც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მოხვდა ანტიკური (ძველ ბერძნული) წყაროების თვალთახედვაში და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იგი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის ორგანული ნაწილი, ჯერ - დასავლეთ საქართველოსი, კოლხეთის, შუა საუკუნეებში კი - საერთო საქართველოსი, XII საუკუნიდან კი კვლავ - დასავლეთ საქართველოსი. და მის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველი ტომები. რომ აღარაფერი ვთქვათ ძველ ქართულ წყაროებზე, XIII საუკუნის სომეხი გეოგრაფის სიტყვებით, „აფხაზეთი არის საქართველოს უკიდურესი ზღვისპირა ნაწილი“, ხოლო XII საუკუნის არაბი ისტორიკოსის აბულ-ფედას ცნობით, სოხუმი - საქართველოს ქალაქია. ამ დროს მცხოვრები „სოხუმელი კათოლიკური ეპისკოპოსი ქვემო საქართველოსი“, ე.ი. დასავლეთ საქართველოსი, პეტრე ჰერალდი აზუსტებს კიდეც, რომ ქალაქ სოხუმში ცხოვრობენ ქართველები.

საერთოდ, თუ თქვენ ნამდვილად გაინტერესებთ ამ ძველი ქართული პროვინციის ისტორია, გირჩევთ გამოიყენოთ ავტორთა კოლექტივის ფუნდამენტური, აკადემიური გამოკვლევა, რომელიც ემყარება არსებულ პირველ წყაროებს („რაზისკანია პო ისტორიი აბხაზიი, გრუზიი“).

5. *„მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ტფილისის გუბერნიისთვის გადაცემის შესახებ“.*

აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული: 1858 წელს კავკასიის მეფის ნაცვლის ა. ბარატინსკის ბრძანებით, მდინარეების ფიაგდონისა და არდონის სათავეები - ნარის ქვაბული ჩრდილოეთ კავკასიაში, ძველი საქართველოს დვალეთის პროვინციის ისტორიული ტერიტორია, რომელიც ათასეული წლების განმავლობაში შედიოდა საქართველოს სამეფოში (რის შესახებაც მეტყველებენ ამ ხეობებში შემორჩენილი ციხე-სიმაგრეების ნარჩენები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩრდილოელი ბარბაროსების ცივილიზებულ სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას), ანექსიის შემდეგ კი - თბილისის გუბერნიაში, ჩამოეჭრა საქართველოს და მიუერთდა „ოსეთის სამხედრო ოლქს“, რომელიც შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში (იხ. ზ. ივანენკო, გრაჟდანსკოე უპრავლენიე ზაკავკაზიემ, ტიფლის. გვ. 450, 451). მიაქციეთ ყურადღება: არა „ჩრდილოეთ ოსეთის“, არამედ „ოსეთის სამხედრო ოლქს“! ეს კი ნიშნავს, რომ არავითარი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეული არ არსებობდა (თავად ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ გამოგონილია რუსეთის ჩინოვნიკების მიერ იმავე XIX საუკუნეში!).

*6. „როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის იმპერია დაიშალა, საქართველომ გამოაცხადა სუვერენიტეტი, ხოლო ოსებმა ისურვეს დარჩენილიყვნენ რუსეთის შემადგენლობაში... 1918 წელს, ამასთან დაკავშირებით, საქართველომ მოაწყო იქ დამსჯელი ოპერაცია, ძალიან მკაცრი და 1921 წელს განმეორდა იგი“.*

კვლავ ყველაფერი არეულ-დარეულია! თუ ოსეთმა როდესაც, როგორც ვიცით, იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და „მოისურვა დარჩენილიყო რუსეთის შემადგენლობაში“, ეს მისი ნებაა, მაგრამ რა შუაშია აქ ტერიტორია, რომელზეც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსები ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად და ათასობით წლების განმავლობაში ეკუთვნოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას!

სინამდვილეში, 1918-1920 წლებში (და არა 1921 წელს), საქართველოს პირველი დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, რუსი ბოლშევიკების ხელშეწყობით ამ რეგიონში ოსები სამჯერ აჯანყდნენ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ, [illegible] ცხინვალში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. როგორ უნდა მოქცეულიყო, თქვენი აზრით, [illegible] საქართველოს ხელისუფლება. [illegible] რომ პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას [illegible] მან თავის ტერიტორიაზე მოაწყო „დამსჯელი ოპერაცია“ ბოლშევიკური ექსპანსიის წინააღმდეგ.

*7. „როდესაც საბჭოთა კავშირი ჩამოყალიბდა, სტალინის განკარგულებით ეს ტერიტორიები (ე.ი. აფხაზეთი და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთი“ - ავტ.) გადაეცა საქართველოს. სტალინი, როგორც მოგეხსენებათ, ეროვნებით ქართველი იყო! ასე რომ ისინი, ვინც [illegible] ეს ტერიტორიები [illegible] საქართველოს შემადგენლობაში, სტალინისტები არიან - ისინი იცავენ იოსებ სტალინის მიერ დაწესებულ სტატუსს“.*

აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული!

სტალინი შესანიშნავად [illegible]

*8. როდესაც იმის მიზეზებს ასახელებთ, თუ რატომ გახდა შესაძლებელი [illegible] ამ ტერიტორიებზე „ჩვენ წინააღმდეგ“ [illegible]*

აქ, ალბათ, [illegible]

[illegible] ლებსაც უწოდებენ ე.წ. „კონფლიქტების ზონებს“, [illegible]

9. როდესაც კონფლიქტის დაწყების საკითხს ეხებით, თქვენ აცხადებთ, რომ *„ის წარმოიქმნა უახლოეს ისტორიაში ქართული მხარის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიის ჩამორთმევის გამო. 1990 და 1991 წლებში საქართველოს ხელმძღვანელობამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩამოართვა ავტონომიების უფლება [illegible] უმალვე დაიწყო ეთნიკური [illegible] შეიარაღებული ბრძოლა“.*

სინამდვილეში ყველაფერი პირიქით იყო. 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ გამოაცხადა „[illegible] სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკად [illegible] შესახებ“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით გააუქმა [illegible] (ლევან [illegible] „ქართულ-ოსური კონფლიქტის [illegible]“... კრებული „[illegible]“. თბ. 1994. გვ.322-324). 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „დეკლარაცია აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“. 1990 წლის 26 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა ეს დადგენილება (გ. ჟორჟოლიანი. აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური ფესვები. იხ. „[illegible] პო ისტორიი აბხაზიი (გრუზია)“. ტბ. 1999. გვ. 431).

ამრიგად, [illegible]

საერთოდ კი [illegible]

რუსეთის [illegible]

**მარიამ ლორთქიფანიძე,**
**დავით მუსხელიშვილი,**
საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები

---

სა და ოსმალეთის იმპერიის შექმნის შემდეგ, XII, XIII, XIIII საუკუნეებში, შეიძლება თქმა, რომ საქართველო იყო ირანსა და ოსმალეთს შორის გამუდმებული საომარი ოპერაციების ასპარეზი. განსაკუთრებით მძიმედ განიცადა ოსმალეთისგან მიყენებული უბედურება დასავლეთ საქართველომ. საბოლოოდ კი ეს უბედურება გამოიხატა სამხრეთ საქართველოს მიტაცებაში. უკვე XII საუკუნეში ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა ტაო-კლარჯეთი ოსმალეთის ვილაიეთად გადაიქცა.

ყოველივე ამის გამო, ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ საუკუნეში რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს ქართველები რუსეთის მხარეს იღებდნენ მოხალისეებად მონაწილეობას, და ამ ომების შედეგად ჩვენი მიტაცებული მიწა-წყლის ნაწილის (ახალქალაქის, ახალციხის და ბათუმის) განთავისუფლება და დაბრუნება მოხერხდა. მართალია, მაშინ რუსეთის შემადგენლობაში ვიყავით, და რუსეთი თავისი იმპერიის გასაფართოებლად იბრძოდა, მაგრამ ობიექტურად ჩვენც მოვიგეთ! ქვეყნებს შორის მუდმივი მტრობა არ არსებობს. ოსმალეთი, ანუ თურქეთი დღეს, რა თქმა უნდა, ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, მაგრამ ისტორია ისტორიაა. ვერც რასმე მოაკლებ და ვერც მიუმატებ. შენს ნებაზე კარს ვერ ჩამოუღებ. ის მუდმივ სიმართლის სიგნალიზაციაზეა ჩართული.

რაც შეეხება თამარ მეფის ოსობას, ამ შემთხვევაშიც უმალ ამუშავდა ეს სიმართლის სიგნალიზაცია...

იმის თქმა, რომ რაც კარგი და დიდი მეფეები გვყავდნენ, ყველანი ოსები იყვნენ, ბოროტი უმეცრებაა. მით უმეტეს, როცა ამას ამბობს ქვეყნის პირველი პირი, რომელსაც ისტორიული ტყუილებით თავისი პოლიტიკური სიმართლის „გამაგრება“ სურს (აქ, ცხადია, ქართველობის ან ოსობის უპირატესობაზე არ არის ლაპარაკი).

თამარს თუ დედა მაღალი წრის ოსი ბურდუხანი ჰყავდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი თვითონაც ოსი იყო. უნდა ვიცოდეთ, რომ ერთიანი საქართველოს პირობებში მეფეს თავისი ქვეშევრდომის ცოლად შერთვის უფლება არა ჰქონდა, ჩვენი დედოფლები იყვნენ ან ბერძნები, ან სომხები, ან ოსები. გიორგი რუსის სიძედ მოწვევაც ასეთ ხარისხს განეკუთვნება... ხოლო თუ დედოფლად არაქრისტიანი მოჰყავდათ, ჯერ მონათლავდნენ, ენას ასწავლიდნენ, ჩვენს ტრადიციებს დაუფლებდნენ და მერე შერთავდნენ მეფეს. ასე, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მეუღლე ყივჩაღთა მთავრის ასული იყო [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

---

## „მე აფხაზ დედას ბოდიშს არ მოვუხდი!“

ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სეზონის გახსნასთან დაკავშირებით სკანდალი მზადდება.

დასის ერთმა ნაწილმა შეიძლება უარი თქვას სპექტაკლში თამაშზე. საქმე ეხება რეჟისორ გიორგი სიხარულიძის მიერ დადგმულ სპექტაკლს "ბამბაზიის სამოთხე".

სპექტაკლის შინაარსის მიხედვით, ქართველი დედა აფხაზ დედას პატიებას სთხოვს. მსახიობების განცხადებით, 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს სეზონი ამ სპექტაკლით არ უნდა გაიხსნას.

რეჟისორის განცხადებით, სპექტაკლი ქართველი და აფხაზი დედების შერიგებას ეხება და სწორედ ამ სპექტაკლით უნდა გახსნას სეზონი.

მთავარი როლის შემსრულებელი მარიკა სამანიშვილი მოითხოვს, რომ რეჟისორმა სცენარი შეცვალოს, რადგან აფხაზ დედას ბოდიშს არ მოუხდის.

## სააკაშვილი ნატოში გაწევრიანების დაჩქარებას ითხოვს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს მოუწოდებს რუსეთის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციის გამო საქართველოს ალიანსში გაწევრიანება არ გადადოს. მისი აზრით, ეს ნაბიჯი მოსკოვის აგრესიას წაახალისებს.

საქართველოს პრეზიდენტი ასევე ხაზგასმით აცხადებს, რომ რუსეთი საქართველოში სწორედ საქართველოს ალიანსში გაწევრიანების ხელის შეშლისთვის შემოიჭრა.

თუ ნატო სისუსტის ნიშნებს გამოავლენს, ხოლო საქართველოში შემოჭრა სწორედ ნატოს დაშინებას ისახავდა მიზნად, მაშინ ცხადი გახდება, რომ ყოველივე ეს უსასრულო ისტორიად გადაიქცევა, - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

მისივე თქმით, ზოგი ადამიანი საუბრობს იმაზე, რომ იმის გამო, რომ საქართველოში არის კონფლიქტები, იგი არ შეიძლება ნატოს წევრი გახდეს, მაგრამ უკრაინის ნატოს წევრობა კი სრულიად შესაძლებელია.

სწორედ ასეთი აზროვნების გამო, თქვენ ავტომატურად ახდენთ ანალოგიური კონფლიქტის პროვოცირებას უკრაინაში. რუსეთის ქმედებები ხომ მოწოდებულია იმისათვის, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს და ამ კავშირის საფუძვლები შეარყიოს. წავა კი ნატო კომპრომისზე ასეთ მნიშვნელოვან საკითხებში. იგი წავა ასე კომპრომისზე მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში თუ მისი დათმობები სხვა რეგიონებსაც შეეხება, - კითხვას სვამს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე კატეგორიულად უარყო რუსეთის მიერ გავრცელებული განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველო აშშ-ის ხარჯზე კვლავ იმისათვის იარაღდება, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ომი წამოიწყოს. „საქართველო ტერიტორიული საკითხების მშვიდობიან გადაჭრას ემხრობა“ - დასძენს საქართველოს პრეზიდენტი.

## დაღუპულთა რიცხვი 295-მდე გაიზარდა

საქართველოს მთავრობა საომარი მოქმედებების დროს გარდაცვლილთა შესახებ ახალ მონაცემებს აქვეყნებს. ამ დროისთვის მსხვერპლის საერთო რაოდენობა 295-ს ადამიანს შეადგენს.

მათგან 186 სამხედრო, ხოლო 109 სამოქალაქო პირია. წინა შუალედურ მოხსენებაში გარდაცვლილ სამოქალაქო პირთა რაოდენობა 69 იყო.

მოხსენების თანახმად, 14 ქართველი ჯარისკაცი დაკარგულად ითვლება.

## იმერეთის დაბლობი სოჭის ოლიმპიადას პრობლემებს უქმნის

სოჭში იმერეთის დაბლობის მკვიდრი მოსახლეობა საპროტესტო აქციებს კვლავ მართავს. ოლიმპიადისათვის მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოების შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით ადგილობრივები პროტესტსა და შეშფოთებას უკვე კარგა ხანია გამოთქვამენ. მათი აზრით, პროგრამის სოჭის, როგორც სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარება 2006-2014 წლებში ადგილობრივ მკვიდრთა საკონსტიტუციო უფლებების მასობრივ დარღვევას გამოიწვევს. კერძოდ, სოჭის იმერეთის დაბლობის მკვიდრი მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ მათი საცხოვრებელი სახლების ადგილზე, ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობის ნიღბის ქვეშ ელიტარული კოტეჯების მშენებლობა დაიწყება, რომელთაც ოლიმპიურ ობიექტებთან არავითარი კავშირი აქვთ.

სოჭის სამართალდამცველებმა საპროტესტო აქციების რამდენიმე ორგანიზატორი დააკავეს. ამის მიუხედავად, სოჭის მკვიდრნი აცხადებენ, რომ მათი საპროტესტო აქციები არ შეწყდება და 5 ოქტომბერს ახალი აქციის გამართვას გეგმავენ

## ბაღაფში „საპატიო მოქალაქეობებს“ არიგებს

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა ხელი მოაწერა „ბრძანებულებას“, რომლის თანახმად რუსეთის ფედერაციის სამმა მოქალაქემ დე ფაქტო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის ტიტული მიიღო.

აფხაზეთის ე. წ პრეზიდენტმა „საპატიო მოქალაქეობა“, რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კონსტანტინ ზატულინს, სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერს, სერგეი ბაბურინს და ადიღეს ყოფილ ხელმძღვანელს, ასლან ჯარიმოვს უბოძა. სერგეი ბაბურინის განცხადებით, ბაღაფშმა რუსებს საპატიო მოქალაქეობა იმიტომ მიანიჭა, რომ მათ „რუსეთ-აფხაზეთის თანამშრომლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს“.

## მთელი საქართველოს გაკონტროლებას აპირებენ, კარალეთში კი ვერ შედიან

კარალეთის შესასვლელში დისლოცირებული უკანონო საგუშაგო ერთადერთი აღმოჩნდა, სადაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდათ რუსი ოკუპანტების მხრიდან.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე მყოფი მისიის წარმომადგენლები ოთხ ჯგუფად გაიყვნენ და შესაბამისად ოთხი მიმართულებით გაემგზავრნენ ე.წ. ბუფერული ზონებისკენ, თუმცა ქართული პრესის თანხლების გარეშე. რუსული აკრედიტაციების გარეშე საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლები ჟურნალისტებს პოსტებს იქით გადაადგილების საშუალებას არ აძლევენ.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მონიტორინგი უკვე დაიწყო გორისა და ქარელის ტერიტორიაზე. კერძოდ, ქვენატკოცა-ოქონისა და კარალეთი-ერგნეთის მიმართულებით. მოგვიანებით მონიტორინგის შედეგებს აღნიშნული ჯგუფის წევრები მისიის ხელმძღვანელს ჰანს იორგ ჰაბერის მოახსენებენ.

## საქართველოს საჰაერო სივრცე კიდევ ერთხელ დაირღვა.

ახალგორის რაიონის სოფელ ოძისში რუსული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოვარდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, კიდევ ერთი სამხედრო ნადავლი არის საქართველოს მხრიდან მოპოვებული, სადაზვერვო უპილოტო თვითმფრინავის სახით.

უტიაშვილის თქმით, ამ თვითმფრინავს, რომელიც ტექნიკური გაუმართაობის გამო სოფელ ოძისში თავისით ჩამოვარდა, ფოტოკამერა აქვს დამონტაჟებული. ის ახორციელებდა სადაზვერვო საქმიანობას.

თვითმფრინავმა ქართული პოლიციის პოზიციები და ასევე სამხედრო ბაზები გადაიღო.

# ისინი ყველაფერს იმსახურებენ!

**გაუსაძლისი და ტრაგედიით აღსავსე გახდა 55 წლის გორელი ქალბატონის ცხოვრება, რომელიც ბავშვებს ისტორიას ასწავლიდა. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იგი თბილისის № 3 გიმნაზიის მობინადრეა და გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ იმას გვიმხელს, რომ მზია ჰქვია...**



**- ქალბატონო მზია, მოგვიყევით თქვენი გაჭირვების შესახებ...**

- წლების განმავლობაში ვცხოვრობდი გორში, ერთ-ერთ სკოლაში ისტორიას ვასწავლიდი. არასოდეს ფიქრადაც კი არ მომსვლია, რომ ქალაქის დატოვება მომიწევდა. ვერ აღგიწერთ, რა მძიმე დღეების გადატანა მომიხდა, თუმცა, არც ახლა ვარ დაწყნარებული. **მართალია, რუსი ჯარისკაცები მოსახლეობასთან კონტაქტზე არ გამოდიოდნენ, მაგრამ მძიმე ტექნიკით ქალაქის ქუჩებს ზვერავდნენ. მუდმივად მესმოდა ტანკების, აფეთქებების ხმა, ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ ეყარა ქუჩაში დაჭრილები, ასევე ორი დახოცილი კაციც ვნახე.** როცა გორში ინტენსიური სროლები, დაბომბვები დაიწყო, იქ მცხოვრებლები მაქსიმალურად თავს ვიკავებდით, რომ პანიკაში არ ჩავვარდნილიყავით. ყველაფრის მიუხედავად, ერთი წუთითაც არ გამივლია თავში აზრად, რომ საცხოვრებელი სახლი დამეტოვებინა.

**- თუ გაქვთ ინფორმაცია თქვენი საცხოვრებელი სახლის შესახებ?**

- ვიცი, რომ სახლი დანგრეული არაა, ცნობისათვის გეტყვით, რომ სახლის ქვეშ დიდი სარდაფია და ჩემი ოჯახის წევრების გარდა, მეზობლები და ნათესავებიც იქ ვიყავით დამალულები. გარეთ, ქუჩაში გასვლაზე საუბარიც ზედმეტი იყო. მაღაზიები დ ბაზარიც აღარ მუშაობდა, პური აღარ იყიდებოდა. ვისაც რაიმე მარაგი გვქონდა, იმით გაგვქონდა თავი. **მოსახლეობა ისეთი შეშფოთებული იყო, რომ მეზობლის კაცმა ველარ აიტანა და ნერვიულობის ნიადაგზე ტელევიზორთან მჯდომს გული გაუსკდა.** როგორც ქართველების გვჩვევია, მიცვალებულს მე-4-5 დღეს კრძალავენ, ის საწყალი კაცი კი ოჯახის წევრებმა ვაივაგლახით აიყვანეს სასაფლაომდე და მეორე დღესვე, დილით დამარხეს!

გორში მუდმივად რეანიმობილები დადიოდნენ, ხალხს გვაფრთხილებდნენ, საწრაფოდ დატოვეთ ქალაქიო. იმ დღესაც რეანიმობილი ჩემს ჭიშკართან გაჩერდა, ხელის კვრით შემაგდეს მანქანაში, კართან კი საცოდავი ჩემი მეუღლე დარჩა, ვერ მოასწრო მანქანაში ამოსვლა. ის ახალი ნაოპერაციევი იყო, სიმსივნიანს გავუკეთეთ უმძიმესი ოპერაცია... მე მაშინ ხელში ნემსები და წამლები მეჭირა, რომლებიც აქ გამომყვა, ის კი სახლში დარჩა! **მეზობლისაგან გავიგე, თურმე, სარდაფშია გამომწყვდეული, მაგრამ ჯავრით აღარა ვარ, ახალნაოპერაციევს როგორი მოვლა სჭირდება და ახლა, ვინ იცის, როგორ არის ან არის კი?**

**- თქვენი შვილები სად არიან?**

- ქალ-ვაჟი მყავს. ჩემი გოგო ფეხმძიმედაა, დღე-დღეზე ბავშვს ელოდება, კიდევ კარგი, ქმართან ერთად გამოაღწია, თბილისში ერთი საბავშვო ბაღის შენობაშია შეკედლებული. როგორ იმშობიარებს, არ ვიცი, რა გვეშველება, ასე უპატრონოდ, უსახლკაროდ ვართ და შიში მიპყრობს. **რაც შეეხება ჩემს ლევანს, ის 25 წლისაა, სამხედრო მოსამსახურეა. ბოლო დროს ავად გახდა და 10 დღით ბიულეტენი გაიფორმა. ღამე გორში განგაში რომ ატყდა, ჩემს შვილს სამსახურიდან დაურეკეს, ცუდად ხარ თუ კარგად, სამსახურში გამოცხადდიო. ღამის 3 საათზე გავარდა სახლიდან, მას მერე არ მინახავს.** არ მინდა, წინასწარ ცუდი აზრებით განვიმსჭვალო, მაგრამ მითხარით, კარგი როგორ ვიფიქრო, როცა არაფერი მსმენია მასზე, არ ვიცი, აქამდე სადაა *(ტირის)*.

(*ინტერვიუ 14 აგვისტოსაა ჩაწერილი)

რა თქმა უნდა, მარტო ჩემი კი არა, ყველას შვილი სამშობლოს სადარაჯოზე უნდა იდგეს, მაგრამ სამწუხაროა, ეს ომი სავალალო შედეგით და აუარება მსხვერპლით რომ დასრულდა.

**- ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვი 175-ია...**

- მაგ რიცხვის არ მჯერა, **მსხვერპლი გაცილებით მეტია.** ჩემი მეზობელი მუშაობდა გორის მორგში, ის ჰყვებოდა: ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა, ცხედრები ერთმანეთზე ეყარა, ზოგს ხელი, ფეხი ან სულაც თავი ჰქონდა მოცლილიო. ზოგი მიცვალებული ისე იყო დასახიჩრებული, პატრონმა ვერ ამოიცნოო.

**- თქვენი აზრით, შეიძლებოდა ხელისუფლებას ისე მოეგვარებინა საქმე, რომ მსხვერპლი თავიდან აეცილებინა?**

- მე ისტორიის მასწავლებელი გახლავართ და ამიტომ ხშირად პარალელს ვავლებ დღევანდელ სიტუაციასა და იმ დროსთან, როცა ჩვენ 1918 წელს მივიღეთ დამოუკიდებლობა, 1921-ში კი დავკარგეთ რუსეთის ჩარევის გამო.

**ერეკლე მეორემ 1783 წელს დადო რუსეთთან ხელშეკრულება, რომ მტრის შემოსევის დროს რუსები დაგვეხმარებოდნენ, მაგრამ მათ არაერთხელ მოგვატყუეს. არასანდო პარტნიორობის მიუხედავად, გვინდა თუ არა, ჩვენი მეზობლები არიან. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ის - გაცილებით დიდი, ამიტომ არ შეიძლება მათ დავემუქროთ, გავეჯიბროთ რამეში, თუმცა, ისინი ყველაფერს იმსახურებენ.**

ახლახან გამართულ მიტინგზე ხალხს ეჭირა პუტინის სურათი და **ფაშისტიო!** - ეწერა. **არ შეიძლება ასე,** მათ კიდევ გაღიზიანება უნდათ?! ყველაფრის მიუხედავად, თავშეკავებულობა გვმართებს.

მე არ მჯერა უცხოელების დახმარება, რუსეთი დიდი ქვეყანაა და ჩვენი გულისთვის მათთან ურთიერთობას არავინ გაიფუჭებს. ჯერ შენი თავის იმედი უნდა გქონდეს!

*ესაუბრა*

**ნათია ლებანიძე**



**რუსეთის სამიზნე არამარტო ქართული სამხედრო ბაზები, ჯარისკაცები და რეზერვისტები აღმოჩნდნენ. ოკუპანტთა აგრესიამ მშვიდობიანი მოსახლეობაც საკმაოდ დააზარალა. თბილისის ყველა საავადმყოფო სავსეა დაჭრილი და დასახიჩრებული ადამიანებით, რომელთაც რუსეთმა არამარტო ფიზიკური ტრავმები მიაყენა, არამედ მათ სულს ღრმა დაღი დაასვა. ჩვენ რესპუბლიკურ საავადმყოფოს ვეწვიეთ, რათა მკითხველისათვის უფრო თვალნათლივ დაგვენახებინა იმ ადამიანთა ტრაგედია, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ დავიდარაბაში აღმოჩნდნენ.**

## ბადრი გელენავა: მარჯვენა ხელი დავკარგე, თუმცა სულიერად გატეხილი არ ვარ!



**ბადრი გელენავა**, *ჯარისკაცი, 19 წლის:* - ეს ამბები რომ დაიწყო, სენაკის სამხედრო ბაზაზე ვიყავი და ცხინვალში გადაგვიყვანეს. ცხინვალის განაპირას დავბანაკდით, როცა ჩვენს რაზმს ყუმბარა ესროლეს. ოცმეთაურს ამ ყუმბარამ ორივე ფეხი მოაცალა. მე ნამსხვრევი მომხვდა მარჯვენა ხელში. ამ აფეთქების შემდეგ გონება დავკარგე და აღარაფერი მახსოვს. გონზე მხოლოდ საავადმყოფოში მოვედი.

**- ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

- აბა როგორ უნდა ვგრძნობდე? **მარჯვენა ხელი დავკარგე. სამწუხაროდ, ხელის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, თუმცა, სულიერად გატეხილი არ ვარ.** ჯანმრთელობა ხელს რომ მიწყობდეს, ომში დიდი სიამოვნებით წავიდოდი. ახლა საუბარი მიჭირს... არ ვიცი, როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი. იმედი მაქვს, რომ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა იქნება.

## ომარ მელიქიძე: ჯერ ვერ ვაცნობიერებ, რომ ცალი ფეხი აღარ მაქვს!



**ომარ მელიქიძე**, *31 წლის, ჯარისკაცი:* - ქუთაისის ბაზაზე ვიყავით, როცა ეს ამბები დაიწყო. ცხვინვალში 9 აგვისტოს დილით შევედით, თუმცა, ბრძოლა არ დაგვცალდა. იმავე საღამოს რუსების ნასროლმა ჭურვმა ჩვენი ბატალიონის ბევრი ჯარისკაცი დაასახიჩრა. **მე ჭურვის ნამსხვრევი ფეხში მომხვდა და მერე არაფერი მახსოვს. გონზე უკვე თბილისში, საავადმყოფოს პალატაში მოვედი.** ჩვენს ბატალიონში ერთი დაიღუპა, ერთმა ბიჭმა მარჯვენა ფეხი დაკარგა, მეორემ კი - მარჯვენა თვალი. მეც მარჯვენა ფეხი მუხლს ზემოთ მომკვეთეს.

**- როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი?**

- ახლა ამაზე ვერ ვფიქრობ. იმედი მაქვს, დღევანდელი ხელისუფლება არ დაგვივიწყებს. ჯერ ვერ ვაცნობიერებ, რომ ცალი ფეხი აღარა მაქვს. მართალია, ფიზიკურად დამასახიჩრეს, მაგრამ სულიერად ვერ გამტეხეს. სიარული რომ შემეძლოს, დღესვე ფრონტის წინა ხაზზე წავიდოდი.

## ფატი თხელიძე: სმენაც დავკარგე!



**ფატი თხელიძე**, *გორის მცხოვრები:* - 4 ქათამი მყავდა და მეშვიდე სკოლის ეზოში გადავდენე, ცოტა ხანში მათ სანახავად წავედი, ბუჩქებში იყვნენ დაბუდებულები, ამიტომ უკან გამოვტრიალდი. ისევ სკოლის ეზოსთან ვიყავი, რომ თავში რაღაცა მომხვდა და უგონოდ დავეცი. გონს რომ მოვედი, სულ გასისხლიანებული ვიყავი, თუმცა, ღმერთმა ძალა მომცა და რაღაცნაირად ღობეზე გადმოვედი. ქუჩაში მოვდიოდი და მშველელს ვუხმობდი. გზაზე მკვდარი ხალხი ეყარა. მერე ვიღაც ღვთისნიერი კაცი შემხვდა, მსუბუქ მანქანაში ჩამსვა და გორის ჰოსპიტალში გადამიყვანა. **4 ოპერაცია გამიკეთეს, ხახა მქონდა ჩაგლეჯილი, ახლა სმენაც დავკარგე.** რამდენიმე დღე აპარატზე ვიყავი შეერთებული. გორში რომ ნახეს ჩემი მძიმე მდგომარეობა, თბილისში გამომგზავნეს. მე და ჩემი ქალიშვილი ახლა რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვიმყოფებით. გოგო გვერდიდან ვერ მშორდება. ბიჭი კოდორში მყავს, ჯარისკაცია. იმაზე კიდევ ცალკე ვნერვიულობ. ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს არამარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც! ყურადღებას არავინ გვაქცევს. ჩვენი სახლი დაინგრა. გოგომ ძლივს გამოიტანა ორი ხელი ტანსაცმელი, სანამ თბილისში გამოვიქცეოდით. საშინელება გადავიტანეთ. ჩემს შვილს ეგონა, რომ მკვდარი ვიყავი, ჰოსპიტალში ტირილით მომაკითხა. ახლაც შოკშია საწყალი. უამრავი ადამიანი დაიხოცა ამ აფეთქებების შედეგად.

**- გორში აპირებთ დაბრუნებას?**

- მე მინდა წასვლა. ჩემს გოგოს მომავლის შიში აქვს. გული უსკდება, როგორ უნდა დაიწყოს ყველაფერი თავიდან. ვიცი, მათხოვრულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. აქამდე არანაირი ჰუმანიტარული დახმარება არ მიგვიღია. ჩემს გოგოს ცოტა წიწიბურა, ბრინჯი, მაკარონი, „ტუშონკა" და თევზის კონსერვი მისცეს. მათხოვრებივით ვართ. ზოგმა ნათესავმა ათი ლარი გვაჩუქა, ზოგმა - ოცი. შვილი თავზე მადგას და ვერ მტოვებს, ამიტომ დახმარებები, რომელსაც სკოლაში არიგებენ, არ გვხვდება, და აღარც გვინახავენ ხოლმე. სკოლაში, სადაც ადგილი მიგვიჩინეს, ჯანმრთელობის გამო ვერ ვიცხოვრებთ, ამიტომ ნათესავებთან ვაპირებთ წასვლას.

## მაია ქურთაული: ჩვენს ერს ბევრი აუტანია და ბევრსაც ავიტანთ!



**მაია ქურთაული-ქიმერიძე**, *გორის მცხოვრები:* — 7 აგვისტოს გორის დაბომბვა რომ დაიწყო, ძალიან შევშინდით, თუმცა, გვეგონა, მშვიდობიან მოსახლეობას არაფერს დაუშავებდნენ. ჩემმა რძალმა ბავშვები ბორჯომში წაიყვანა სასწრაფოდ. 8 აგვისტოს დილით, მე, ჩემი მძახალი და მეზობლის ქალი გარეთ ვიდექით და ვლაპარაკობდით. უცებ თვითმფრინავის ხმა გავიგონეთ და დავინახეთ, რომ ჩვენგან 15 მეტრის მოშორებით მდებარე შენობას ბომბი დაეცა. ამის შემდეგ გონება დავკარგე. როდესაც გონზე მოვედი, ჩემს მძახალს გადავხედე და სისხლის გუბეში ცურავდა. მე კი ყურიდან სისხლი მდიოდა. გარშემო საშინელი კვამლი იდგა, თავი სიზმარში მეგონა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაუძლურებული ვიყავი, ავდექი და გავიქეცი. მთელი ხმით ვყვიროდი: ხალხო, მიშველეთ-მეთქი. ვიღაც რეზერვისტი ბიჭები დამეხმარნენ, სამხედრო ავტობუსით გორის ჰოსპიტალში გადამიყვანეს. **საწყალი ჩემი მძახალი მიმოზა ლოცულაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. ჩემმა ბიჭმა სიდედრი ძმის და მეზობლის ბიჭის დახმარებით საკუთარი ხელით დამარხა. გარშემო კორპუსები დაინგრა, უამრავი ხალხია დახოცილი. ზოგის თავი ვერ იპოვეს, ზოგის — ხელი, ზოგის კი — ფეხი. კორპუსის ნანგრევებიდან დახოცილი ხალხი დღემდე ვერ გამოუყვანიათ.** რას წარმოვიდგენდით, რომ გორში ასეთ რაღაცას გააკეთებდნენ. თამარაშენიდან გამოქცეული ხალხიც ჩვენთან იმალებოდა. ჩემი მეუღლე სიკვდილს რაღაც სასწაულმა გადაარჩინა. ტახტი, რომელზეც იწვა, სულ ნამსხვრევებად არის ქცეული.

**— ახლა სად იმყოფებიან თქვენი მეუღლე და შვილები?**

— შვილები ჩემთან, თბილისში არიან. მეუღლე კი გორში დარჩა. იძახის, რაც მომივა — მომივიდეს, რაც მიწერია, მაინც არ ამცდებაო. ვეხმიანებით ხოლმე, დანგრეულ სახლში მარტოდმარტო წევს.

ამასწინათ საჭმელი მიუტანიათ რუსებს ხალხისათვის, მაგრამ ყველას უარი უთქვამს. მაგათგან საჭმელს როგორ ავიღებთ, გინდაც შიმშილით ვკვდებოდეთო? ამდენი ხალხი გაგვიჟლიტეს, დაგვასახიჩრეს და სახლები დაგვინგრიეს.

**ჩემს ბიჭებს სკოლის შენობაში დროებით თავშესაფარი მისცეს. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ღმერთი არ გაგვწირავს.** ჩვენს ერს ბევრი აუტანია და ბევრსაც ავიტანთ. თანაც მთელმა მსოფლიომ კიდევ ერთხელ დაინახა რუსეთის ნამდვილი სახე.

### ბოლოთქმა

**ბევრმა დასახიჩრებულმა ახალგაზრდამ ინტერვიუს მიცემისაგან თავი შეიკავა. რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვნახე უფეხო, უხელო და ცალთვალა ბიჭები, რომელთა უმრავლესობა დღესაც შოკშია. იმედი მაქვს, ომში დაზარალებულებს, აფხაზეთის ომის ვეტერანთა მსგავსად, სამოწყალოს არ გაუხდიან შეღავათებს გაზზე, დენზე თუ ტრანსპორტზე, თუმცა, მათი ფიზიკური თუ სულიერი ზარალის ანაზღაურება ვერანაირი თანხით ვერ მოხერხდება!**

*მოამზადა*

**მეგი საჯაია**

## დაჭრილი ჯარისკაცების ერთობლივი გულისთქმა

ექიმ მალხაზ გოგუას განმარტებით, დაჭრილთა უმეტესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე, სტაბილურია, თუმცა ზოგი მათგანი კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.

- რაც შეეხება დაჭრილთა რაოდენობას, ამჟამად ჩვენთან ასორმოცდაათზე მეტი დაჭრილია. ჭრილობები ძირითადად ნაღმის ნამსხვრევებითაა მიყენებული. უმეტესობას სხეულის მსუბუქი დაზიანება აქვს და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა არიან ისეთებიც, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

საერთო ჯამში სულ ოცამდე სამხედროა მძიმედ დაჭრილი, თუმცა არა მგონია, მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდეს.

თავად დაჭრილები კი საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და როგორც ზოგიერთმა მათგანმა ინტერვიუში აღნიშნა, გამოჯანმრთელებისთანავე კვლავ ბრძოლის ველს მიაშურებს (თუმცა ყველა მათგანმა, თითქოს მოილაპარაკესო, ვინაობის დასახელებაზე უარი განაცხადა, - რა საჭიროა ჩემი სახელისა და გვარის წარმოჩენა, განა იქ, ბრძოლის ველზე, ან თუნდაც აქ, ყველანი ერთნაირი თავდადებით არ ვიბრძოდით საქართველოსთვისო!).

დაჭრილი სამხედრო: გორის დაბომბვის დროს დავიჭერი ნაღმის ნამსხვრევით. ზოგი ჩემი მეგობარი ძალიან მძიმედაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე გამოვჯანმრთელდებით და კვლავ შევძლებთ იარაღის დაჭერას. ერთი სული მაქვს, მალე გამოვჯანმრთელდე და კვლავ თანამებრძოლებს შევუერთდე. გაათმაგებული ჟინით ვიბრძოლებ.

დაჭრილი სამხედრო: ჩემგან სულ რაღაც ოცდაათიოდე მეტრის მოშორებით დაეცა ბომბი და შენობა მტვრად აქცია. ნამსხვრევი თავში მომხვდა, გონება დავკარგე და გრძნობაზე მხოლოდ გორის საავადმყოფოში მოვედი. შემდეგ კი თბილისში გადმომიყვანეს. იქ კიდევ უამრავი დაჭრილია, მათ შორის ქალებიც და მოხუცებიც. ისე კი მოსახლეობა ვაჟკაცურადაა, სახლის დატოვება არავის არ უნდა.

დაჭრილი სამხედრო: ჩვენი ყველა შეტევა სრული წარმატებით დასრულდა და ცხინვალს ჩვენ ვაკონტროლებდით. ტყუილია ინფორმაცია, რომ ვითომ ჯავასთან ოსები გვებრძოდნენ, იქ მარტო რუსი სამხედროები იმყოფებოდნენ, რუსული საუბარიც გვესმოდა, გადაძახილები.

დაჭრილი სამხედრო: ჩვენი მხრიდან ყოველგვარ კომპრომისზე წასვლა დიდი შეცდომა იქნება, ახლა მხოლოდ შეტევაზე უნდა ვიფიქროთ. მათ არა აქვთ იმდენი ძალა, ზოგს რომ ჰგონია. ჩვენ აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ ჩვენს საქმეს.

# პოლიტიკური თავშესაფარი
# უკვე შესაძლებელია
# ქართველებისათვის!*



ANDREW P. JOHNSON, ESQ.

## ენდრიუ ჯონსონი

(ყოფილი სახელმწიფო ადვოკატი, რომელიც ახლა ემიგრანტთა უფლებებს იცავს აშშ-ს მთავრობის წინააღმდეგ ბოლო 10 წელი)

**1-212-693-3355**

- უფასო კონსულტაცია;
- ადვოკატის ასისტენტი ყაზახეთიდან, რომელიც საუბრობს რუსულად;
- ჩვენ წარვმართავთ თქვენს ემიგრაციულ საქმეს, დეპორტაციას, Asylum-ის გასაჩივრებას და ოჯახურ პეტიციებს

* რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების საქართველოში შემოჭრისა და საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს უჩნდებათ სამართლიანი საბაბი და თავშესაფრის მოთხოვნის უფლება შეერთებულ შტატებში, განპირობებული იმ საფრთხეებთან, რაც სამშობლოში დაბრუნებულებს ემუქრებათ!

ჰანგები

# ახალი ისტორია - ორი თარიღი

რიცხვი „14“ ქართული თეატრისათვის საკრალური მნიშვნელობისაა!

1850 წლის 14 იანვარს საფუძველი ჩაეყარა ქართულ პროფესიონალურ თეატრს. ამ დღის შემდეგ უკვე მესამე საუკუნეა, ეროვნული კულტურის ეს ერთ-ერთი უდიდესი დარგი მსოფლიო ფენომენად იქცა.

თავისთავად დიდი კორიფეების მხრებზე იდგა და დგას ქართული სახიობა, მათი სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს!

ამ თარიღმა ქართული სულიერების აღორძინების დასაბამს ჩაუყარა საფუძველი და ამის შემდეგ ყოველი ქართული თეატრის დაბადება დიდი ზეიმია ქართველებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართული თეატრი ქართულ ნიადაგს მიღმა იბადება.

ეს არამარტო დიასპორის დამსახურებაა, არამედ სრულიად ეროვნული კულტურული ენერგიის!

2008 წლის 14 სექტემბერი არანაკლები მნიშვნელობის თარიღია, ვიდრე 14 იანვარი! ამ დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა ქართული თეატრი! და ახალმა დასმა თავისი შემოქმედებითი დაბადება მაყურებელს ოტია იოსელიანის ცნობილი პიესით „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ აუწყა, რომელიც შესანიშნავად მოარგო ემიგრაციულ თარგსა და დროებას თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ლია სირელსონმა.

ამერიკა განებივრებულია მრავალი ქვეყნის კულტურათა თავმოყრით თავის არეალში, თუმცა ეს კონკრეტული მოვლენა, ის ისტორიული მოვლენათაგანია, რომელიც განპირობებულია ქართული სიტყვიერებისა და სახიობის, გონიერებისა და სულიერების წარმოჩინებით ამ ქვეყანაში.

დასი უკვე შეიქმნა, ნანატრი თეატრი შედგა, და დამსახურება, მიუხედავად ახალსაწყისისა, იმაში მდგომარეობს, რომ ის არ ჩაიკარგა ამერიკულ კულტურულ ოკეანეში და თავის ტრადიციას ღირსეულად ატარებს, სიტყვასაც ღირსეულსავე ამბობს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში.













**საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას წყვეტს და ჩვენი ტერიტორიიდან რუსის ჯარის გასვლას ელის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, საქართველო მისთვის საინტერესო აღარ არის. რუსეთში ახლა ისრაელისა და ირანის ომს ელიან და კბილებს ილესავენ, მაგრამ რა მოჰყვება რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტას და მოსალოდნელია თუ არა, რომ საქართველო კვლავ სამხედრო შეტაკებების პოლიგონად იქცეს? - ამ საკითხებზე პროფესიონალ ექსპერტს სოსო ცინცაძეს ვესაუბრებით.**

# საქართველოს რუსეთთან დასაკარგი აღარაფერი დარჩა!

**- ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ საქართველოს პარლამენტის დადგენილებას რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ?**

- დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან გაწყვიტა თავად რუსეთმა, საქართველოს პარლამენტმა კი, უბრალოდ, დოკუმენტურად დაადასტურა არსებული ფაქტი. საერთაშორისო ურთიერთობათა ქრონიკებში ჯერ არ ყოფილა, რომ ერთი ქვეყანა მეორეს ბომბავდეს, გენოციდს უწყობდეს, ეკონომიკას უნადგურებდეს და ამავე დროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდეს. მთავარი შეკითხვა, რომელიც ამ დროს ჩნდება, არის ის, თუ ვინ რას კარგავს ამით? რუსები აცხადებენ, ჩვენ ამით არაფერს ვკარგავთ, საქართველოს მოსახლეობა დაზარალდებაო, მაგრამ საქართველოს რაღა დარჩა დასაკარგი რუსეთთან? ერთადერთი, რაც ახლა მათ შეუძლიათ ჩვენს საწინააღმდეგოდ გააკეთონ, არის ის, რომ ათიათასობით ქართველი კვლავ გამოყარონ რუსეთიდან.

**- როგორ წარმოგიდგენიათ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები? მოგეხსენებათ, რომ ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი რუსული კომპანიების ხელშია.**

- **რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც თანახმა იქნება, თავადაც ნახოს ზარალი, ოღონდ კი ჩვენ დაგვაზარალოს.** რუსეთი აუცილებლად გაგვიზრდის ტარიფებს, ეს გარდაუვალია. იგი თავის მოკავშირე ბელორუსსაც კი უზრდის ტარიფებს და ჩვენ არ გაგვიზრდის?

**- ბატონო სოსო, პრეზიდენტიც ამბობს, რომ ამ ომში გავიმარჯვეთ. მისი გამოსვლები როგორ მოგწონთ?**

-10-15 წლის შემდეგ შეიძლება მართლა გამოჩნდეს, რომ ამ ომში ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ჯერჯერობით, დეკემბრამდე მაინც, ამაზე საუბარი ნაადრევია. **დეკემბერში, თუკი ჩვენ გავხდებით ნატო-ს წევრი ქვეყანა, მაშინ კიდევ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ომით ძალიან დავზარალდით, მაგრამ მაინც დიდ წარმატებას მივაღწიეთ.** ხაზს ვუსვამ, თუკი ჩვენ გავხდებით **ნატო**-ს წევრი ქვეყანა! არ ვგულისხმობ **მაპ**-ის მიღებას, ვინაიდან **მაპ**-ი არაფრით დაგვიცავს ჩვენ. **მაპ**-ი საერთოდ არ არის ნახსენები ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულებაში. **ნატო**-ს წესდების მე-5 პუნქტი, რომლითაც ალიანსი თავისი წევრების უსაფრთხოებას იცავს, გულისხმობს სამხედრო დახმარებას მხოლოდ **ნატო**-ს წევრი და არა **მაპ**-ის მქონე, მითუმეტეს, **მაპ**-ის მოსურნე ქვეყნებისათვის! მაგალითად, ხორვატია **მაპ**-ის მიღების შემდეგ 9 წელიწადი ელოდა **ნატო**-ში გაწევრიანებას. თუ ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა, გარწმუნებთ, რომ ეს წლები აუტანელი იქნება საქართველოსთვის!!!

**- თქვენი აზრით, რუსეთი კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად რჩება?**

- **რასაკვირველია!** ვინც ამბობს, რომ რუსეთი არ არის ანგარიშგასაწევი ძალა, ალბათ, **სვიმონ მასხარაშვილისა** და **გოგი გაჩეჩილაძის** გარდა ცხოვრებაში არავისთვის მოუსმენიათ! რასაკვირველია, რუსეთმა განიცადა სერიოზული დიპლომატიური მარცხი, თანაც საკუთარ მოედანზე, როცა „შანხაის თანმშრომლობის ორგანიზაციის“ სამიტზეც კი არ აღიარეს აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ჩინეთმა და ყაზახეთმაც კი უარი თქვეს ამაზე, მათ რუსეთს აგრძნობინეს, წავიდა ის დრო, როცა ჩვენ თქვენი სატელიტები ვიყავითო, თუმცა, სხვა საკითხია, როგორ გამოიყენებს ამას ჩვენი დიპლომატია.

**- ბატონო სოსო, უკვე ათწლეულებია, ისრაელსა და ირანს გაწყვეტილი აქვთ ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. ამ დღეებში რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა ჟირინოვსკიმ განაცხადა, ისრაელი აპირებს ირანზე სამხედრო თავდასხმასო. ისრაელის მოკავშირედ ამ საქმეში ამერიკა მოიაზრება, ირანის მოკავშირედ -რუსეთი. ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველო კვლავ იქცეს საბრძოლო მოქმედებათა პოლიგონად?**

- მოლოდინი იმისა, რომ ისრაელი თავს დაესხმება ირანს, დიდი ხანია, არსებობს და **ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, რომ თეირანი თავად უბიძგებს ამისაკენ ისრაელს.** ირანი ყოველდღიურად აძლიერებს თავის სამხედრო ტექნიკას და ბირთვულ პოტენციალს. მას უკვე გააჩნია წყალქვეშა ნავები და რაკეტები, რომელთა ფრენის რადიუსი სავსებით საკმარისია ისრაელის ნებისმიერი წერტილის დასაბომბად. ირანი ერთ დღეს ამბობს, შეიძლება, რომ ისრაელთან მშვიდობიანად ვითანამშრომლოთო, მეორე დღეს კი - ეს შეუძლებელიაო. **მე მაინც მგონია, რომ ადგილი არ ექნება ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციას, არამედ ეს იქნება ერთჯერადი აქცია ირანის ბირთვული პოტენციალის განადგურების მიზნით.**

რამდენიმე ათეული რაკეტა და საჰაერო გაფრენა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მისგან აღარაფერი დარჩეს. ისრაელი, ალბათ, გაიმეორებს იმას, რაც გააკეთა 30 წლის წინათ, როცა დაარღვია 4 სუვერენული სახელმწიფოს საჰაერო სივრცე და დაბომბა ერაყის ბირთვული ობიექტები. ამით გადაჭრა ის პრობლემა, რომ ერაყს არ ჰქონოდა ბირთვული იარაღი.

ამ შემთხვევაშიც, ალბათ, ის წერტილოვან დარტყმებს განახორციელებს ირანის ატომურ სადგურებზე, ბირთვულ რეაქტორებზე, სადაც პლუტონიუმის გამომუშავება ხდება. **ამ რეაქტორების რაოდენობა ელვისებური სისწრაფით იზრდება ირანში.**

მე არ ვამბობ, რომ ეს აუცილებლად ასე იქნება, ამასთან დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არაფერი არ მოხდება მანამ, სანამ ამერიკაში ახალი ადმინისტრაცია არ დაკომპლექტდება.

რაც შეეხება რუსეთს, ღმერთმა დაიფაროს და, თუ ირანზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა, იგი იძულებული იქნება, დაკმაყოფილდეს დიპლომატიური მხარდაჭერით. **ამაში რუსეთის ჩაბმა მესამე მსოფლიო ომის დაწყების ტოლფასია,** რაზეც რუსეთი ვერ წავა. მისი სამხედრო პოტენციალი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქართული არმია დაემარცხებინათ, **თუმცა, რუსმა გენერლებმა მშვენივრად იციან, რამდენად უსუსური არიან ისინი ნატო-ს სამხედრო ძალების პირისპირ.** რუსებმა საქართველოსთვის ომის გამოცხადების დროს ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეზე უკეთ იცოდნენ ჩვენი სამხედრო ძალების რეალური მდგომარეობა, მათ ისიც იცოდნენ, რომ ამერიკა სამხედრო დახმარებას არ გაუწევდა საქართველოს. მარტო ამერიკა კი არა, არავინ გაგვიწევდა სამხედრო დახმარებას. უფრო სწორად, ვერ გაგვიწევდა, თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე!

**- როგორ შეაფასებთ დსთ-დან საქართველოს გამოსვლას?**

- ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, რომ **დსთ**-დან რუსეთის გასვლა მოგვეთხოვა. სულაც არ ვარ ნეტარმორწმუნე იდიოტი და არ ვფიქრობ, რომ რუსეთს იქიდან ვინმე გარიცხავდა, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ამაზე იმსჯელებდნენ **დსთ**-ის წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელები, რუსეთისთვის სერიოზული დარტყმა იქნებოდა! **დსთ**-ის წესდებით, ჩვენ გვქონდა უფლება, მოგვეთხოვა **დსთ**-ის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების რიგგარეშე საგანგებო სამიტის მოწვევა. აუცილებელი არ იყო, რომ ამ სამიტზე წასულიყო სააკაშვილი. საკმარისი იქნებოდა, გაეგზავნა რომელიმე მინისტრი. მე **დსთ**-ის წესდებაში დავითვალე 7 მუხლი, რომელიც აშკარად დაარღვია რუსეთმა. **ჩვენ უნდა მოგვეთხოვა რიგგარეშე სხდომა, დაგვეყენებინა ეს საკითხი, ემსჯელათ ამაზე და ამის შემდეგ უნდა განგვეცხადებინა, რომ მივდივართ დსთ-დან.** ეს იქნებოდა ძალიან მოქნილი და ეფექტური დიპლომატიური სვლა. გავიხსენებ ერთ ისტორიას, 1959 წელს განამ მოითხოვა ბრიტანეთის გარიცხვა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობიდან, რაც ბრიტანეთს ძალიან დიდ დიპლომატიურ თავსატეხადექცა. მერე თავად განამ მოხსნა ეს საკითხი დღის წესრიგიდან, რისთვისაც სერიოზული ბონუსები მიიღო. **დარწმუნებული ვარ, ეს ფაქტი ჩვენი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა არ იციან.**

**მარჯანიშვილის თეატრის ამერიკაში გასტროლების წინ**



**ვერ ვიტყვით, დღეს რამდენად დამოუკიდებელი და თავისუფალია რუსული ინტელიგენცია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში განვითარებული მოვლენებისა და ომის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა გამოთქვა ხმამაღლა თავისი გულისტკივილი და თანაგრძნობა ქართველი ხალხის მიმართ. ჩვენი სტუმარია მსახიობი, მიხეილ კაზაკოვის ქალიშვილი მანანა კაზაკოვა, რომელიც სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსმა ინტელიგენციამ პირში წყალი ჩაიგუბა და ოლიმპიური სიმშვიდით უპასუხა ომსა და ძალადობას.**

# ჩემი სამშობლო საქართველოა!

- საშინელებაა ის, რაც მოხდა. მამაჩემთან და ჩემს ძმასთან ყოველდღიური სატელეფონო საუბარი მაქვს, განიცდიან და აწუხებთ ეს ამბავი, ამდენი სისხლი და ძალადობა. საოცარია პირდაპირ, რამდენ ხანს შეიძლება ვიცხოვროთ საბჭოთა კავშირის დროინდელი პრინციპებით. უპირველესად, ეს სწორედ რუსეთის მოქალაქეებს უნდა აწუხებდეთ. ცივილიზაცია წინ წავიდა, საზოგადოება განვითარდა, ვერ გამიგია, რატომ უნდა დავბრუნდეთ უკან, წარსულში?! რუსეთში ზევრად გაუმჯობესდა ეკონომიკა, შესაბამისად - ხალხის ეკონომიური მდგომარეობაც, რუსული პოლიტიკა რატომ აბრუნებს საკუთარ მოსახლეობას უკან, წარსულში, ვერ გამიგია. რუსეთი დიდი და რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, სამი მილიონი ადამიანი ყოველდღიურად სტუმრობს მოსკოვს - ე.ი. იმდენი, რამდენიც ჩვენ ვართ დღეს საქართველოში. რა უნდათ, გვიპყრობენ და ამით ამაყობენ?! პოლიტიკურ განცხადებებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ მაქვს ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია. რუსეთის ისტორიას თუ გავიხსენებთ, თითებზე ჩამოსათვლელი იმ რამდენიმე ადამიანს, ვინც, საერთოდ, თავისუფლებისთვის იბრძოდა რუსეთში. ახლაც ხომ ხედავთ, ამ მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი აზრი თამამად გამოთქვეს მხოლოდ ბასილაშვილმა, კაზაკოვმა, კასპაროვმა და ნოვოდვორსკაიამ - აი, ამ ოთხმა ადამიანმა. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი დათრგუნვილები არიან. ეშინიათ? არ ვიცი. მაგრამ შიშის გამო ჩვენთან უკან არ დაუხევიათ, მართალი სიტყვა ყოველთვის უთქვამთ. ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია თავისუფლებისკენ სწრაფვა. შვილიც კი, რომელიც გარკვეულ ასაკს მიაღწევს, უკვე თავისუფლებას ითხოვს, სურს არჩევანის უფლება, დამოუკიდებლობა, ითხოვს თავის ოთახს, თავის სამყაროს. ეს გასაგებია. საოცარია პირდაპირ, ქვეყანაში, სადაც 150 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მხოლოდ ოთხს აღმოაჩნდა სურვილი, სიმართლე ეღიარებინა და თავისი ობიექტური აზრი გამოეთქვა. სამწუხაროდ, მგონია, რომ რუსეთის მოსახლეობა ეთანხმება დღევანდელ რუსულ პოლიტიკას, ხმას არ იღებენ არა შიშის გამო, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკოსების მიერ გადადგმული ნაბიჯები მათთვის მისაღებია. XXI საუკუნეში მეცხრამეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეების ნაბიჯებით სიარული არ შეიძლება.

**- შეგეძლოთ რუსეთში მიგეღოთ თეატრალური განათლება, ყოფილიყავით მამის მფარველობის ქვეშ?**

- დიახ, მაგრამ არასდროს მდომებია სხვაგან წასვლა. მიყვარს ეს ქვეყანა, ჩემი სამშობლო საქართველოა. არ უარვყოფ ჩემს სისხლს, გენეტიკას და სწორედ ამიტომ მტკივა და მაწუხებს ეს დაძაბული ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის. საშინლად მაღიზიანებს ფრაზა, როდესაც ამბობენ: - არ ვიცოდით, ვის ვეჭიდებოდითო? - დიახ, არ ვიცოდით. როგორ შეიძლებოდა XXI საუკუნეში იმის წარმოდგენა, რაც მოხდა. თუმცა, ყველაფერ ამას წინ უძღოდა ტრაგედია ბესლანში, ტერაქტები მოსკოვში - საკუთარი მოქალაქეები არ დაინდეს, მაგრამ ამდენი სისხლის შემდეგ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა. მოკლედ, გაკვირვებით არ ვიღლებით.



**- ბოლოს როდის ბრძანდებოდით რუსეთში?**

- ოთხი წლის წინ. მართალია, შესანიშნავი მასპინძლები მყავდნენ, მაგრამ ქუჩაში მაინც დაძაბული დავდიოდი. სიტუაციაა დაძაბული. თვითონ რუსი მოქალაქე იტანს და ითმენს იმას, რომ ნებისმიერ მილიციელს შეუძლია ქუჩაში გააჩეროს და პასპორტი მოსთხოვოს. ამას შეგუებული არიან. ნახეთ მათი ტელევიზია, არხები მუშაობენ იმაზე, როგორ შეასუსტონ ადამიანების აზროვნება.

**- როდის აპირებს მიხეილ კაზაკოვი საქართველოში ჩამოსვლას?**

- ჩამოვა, ალბათ, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, როდის. როგორც იცით, შარშან ჩვენს თეატრში მან დადგა ჩეხოვის „თოლია“. ახლა კონკრეტული წინადადება ახალ სპექტაკლთან დაკავშირებით არა აქვს, მაგრამ მოსანახულებლად შესაძლოა ჩამოვიდეს.

**- ომის პერიოდში სად იყავით?**

- თბილისში. ზღვაზე გვინდოდა დასასვენებლად წასვლა, მაგრამ ვერ წავედით. მამაჩემმა დამირეკა, შემომთავაზა ისრაელში გამგზავრება, რომ სიტუაციის დამშვიდებამდე თავი დამეღწია ამ ომისგან, მაგრამ არ წავედი. აქ მერჩია ყოფნა.

**- სულ მალე მარჯანიშვილის თეატრი ამერიკაში მოემგზავრება გასტროლზე?**

- დიახ, შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ უნდა წარმოვადგინოთ. ეს გასტროლი ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიგეგმა. სულ სამ სპექტაკლს ჩავატარებთ სანტაბარბარასა და ნიუ-იორკში. 25 ოქტომბერს თეატრ „მილენიუმში“ ქართველ ემიგრაციას შევხვდებით.

**- ამერიკაში მოღვაწე ქართველ მსახიობებს თუ მოინახულებთ, მათმა 14 სექტემბერს ამერიკაში „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ წარმოადგინეს...**

- ნამდვილად არ ვიცი, ქართველი მსახიობები ამერიკაში რა სპექტაკლზე მუშაობენ. თუ საშუალება მოგვეცემა, ალბათ, მათ ვნახავთ კიდეც. ვიცი, რომ ამერიკაში დიდი წარმატებით დგამენ სპექტაკლებს პაატა ცქიფურიშვილი და ირაკლი კავსაძე.

**- რომელი სპექტაკლით ხსნის სეზონს მარჯანიშვილის თეატრი?**

- „ქაქუცა ჩოლოყაშვილით“ - ეს ჩვენი ისტორიაა, რომლის ტრაგიკული სიტუაციები, სამწუხაროდ, ძლიერდება. რაც მთავარია - ამ ხნის მანძილზე რუსის პოზიცია იყო ყოველთვის უცვლელი.

**- რაც თქვენი მეუღლე ლევან წულაძეა მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელი, სად იყო თეატრი გასტროლზე?**

- ორი წელია, რაც ლევანი თეატრის ხელმძღვანელია. ძირითადად, რეპერტუარზე მუშაობს. სპექტაკლები ჩავატარეთ საქართველოს ქალაქებში. ახლა. როგორც იცით, უკვე გასტროლი გვაქვს ამერიკაში, თუ რაღაც არ მოხდა, ახალი წლისთვის ინგლისში ვგეგმავთ წასვლას. მოსკოვის თეატრებშიც წარმოგვიდგენია სპექტაკლები - „მცირე თეატრსა“ და ვისოცკის თეატრში - ოღონდ მაშინ, როდესაც ლევანი ჯერ კიდევ სარდაფის თეატრში იყო.

**- ორი თეატრის გაძღოლა არ უჭირს?**

- ძნელია. მარჯანიშვილის თეატრი დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, გაცილებით მეტი მსახიობია, ორგანიზება და დიდი ენერგიაა საჭირო.

**- როლების განაწილების დროს მეუღლეს რჩევებს აძლევთ?**

- ამ დროს ლევანი აბსოლუტურად დამოუკიდებელია. ჩემი აზრი, რა თქმა უნდა, გამიზიარებია, მაგრამ გადაწყვეტილებას თვითონ იღებს. ამ მხრივ შეუვალია. თუმცა, თეატრი რთული ორგანიზმია, ვიღაცას შეიძლება ეგონოს, რომ რეჟისორზე მეუღლე ზეგავლენას ახდენს, ისიც გამიგია - აი, რეჟისორის მეუღლე რაღაც კარგად არ მომესალმა, რაღაც ხდება, როლს, ალბათ, აღარ მომცემენ და ა.შ. მაგრამ ეს ასე არ არის, დამერწმუნეთ, ლევანს თავისი ხედვა აქვს და ასე ფიქრი დიდი შეცდომაა.

**- ქალბატონი სოფიკო ჭიაურელის როლი ვინ შეასრულა „პიგმალიონში“? როგორც ვიცით, მისი გმირისთვის სპეციალურად დაიწერა როლი?**

- ლევანი დიდხანს ელოდა ქალბატონი სოფიკოს გამოჯანმრთელებას, იმედი ჰქონდა, რომ კვლავ შეძლებდა თამაშს, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ საერთოდ ამოიღო ეს გმირი პიესიდან. ამდენად, სოფიკო ჭიაურელი არავის შეუცლია. ამ წლის გაზაფხული მძიმე იყო - ჯერ ქალბატონი სოფიკო გარდაიცვალა, შემდეგ ბატონი ჯემალ მონიავა. თეატრისთვის ეს დიდი დანაკლისი იყო. მიხარია, რომ თეატრში მოვიდნენ ახალგაზრდები. თაობათა ცვლა თეატრში ყოველთვის მტკივნეული პროცესია, მაგრამ ლევანი ამ ყველაფერს აბალანსებს. მე თვითონ როდესაც მივედი მარჯანიშვილის თეატრში, არაჩვეულებრივად დამხვდნენ ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი და ქალბატონი გურანდა გაბუნია. ამ თეატრში პირველად სწორედ მათგან მივიღე შემოთავაზება. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ ისინი არიან ჩემი პირველი ნათლიები ამ სცენაზე. დიდი მადლობა მათ ამისთვის.

**- თეატრის კრიტიკოსები ყოველთვის საყვედურს ამბობენ ლევან წულაძის მიმართ - ახალ სპექტაკლებს ძალიან მალე დგამსო...**

- სპექტაკლი ცოცხალი ორგანიზმია, თქვენ წარმოიდგინეთ ორი-სამი წელი ერთ პიესაზე მუშაობა?! ლევანს თავისი ხედვა აქვს, აქ არის შემოქმედება, როდის და როგორ დაიხვეწება, წინასწარ არავის შეუძლია თქმა. ყოველი სპექტაკლი დიდი მუშაობის შედეგია, ამას მაყურებელი გრძნობს, ამიტომ ისინი მოდიან არამარტო პრემიერებზე, არამედ რიგით სპექტაკლებზეც. ჩემთვის ყოველი სპექტაკლის დასრულება, ფარდის დაშვება მეტად მტკივნეული და სევდის მომგვრელია. თამაში მთავრდება, ამასთან ერთად ცხოვრების რაღაც ნაწილიც, ენერგია გაიღე და ის სადღაც გაიფანტა, რაღაც დასრულდა. მოგონებად რჩება მხოლოდ მაყურებელთა მეხსიერებაში. დამერწმუნეთ, ლევანი ყველაფერს აკეთებს, რომ მისი სპექტაკლები დიდხანს დარჩეს განსჯის საგნად, სცენაზე მაყურებელმა იხილოს შემოქმედება. რა მნიშვნელობა აქვს, ამ სპექტაკლზე რამდენი იფიქრე, მთავარია შედეგი - მაყურებელს წარუდგინო მაღალი ხელოვნება, გემოვნება, შემოქმედება. განა პოეტს ეკითხებიან, რამდენი დრო მოანდომა ლექსის წერას? ერთი ამოსუნთქვით იქმნება შედევრები.

ბოლოს მინდა გითხრათ, იმისთვის, რომ ქვეყანაში დაიდგას სპექტაკლები, ხელოვნებამ თავისი სიტყვა თქვას, საჭიროა მშვიდობა. ერთმანეთის მიმართ აუგ საუბარსა და რაღაც მიზეზების ძებნას, ჯობს, ერთად დავდგეთ და ვისაც როგორ შეგვიძლია ჩვენს სამშობლოში ჩვენი სათქმელი ვთქვათ, საქმე ვაკეთოთ.

ესაუბრა
**ქეთევან ხამიცაშვილი**



# იქ ვარსკვლავებს გვიხსნიან, აქ გვბომბავენ!

**„რას ჰქვია, რუსები პურს გვაჭმევდნენ! - ჩვენ რა, გულხელდაკრეფილები ვისხედით და არ ვმუშაობდით? თვითონ გვიწვევდნენ, მთელ დარბაზებს ვავსებდით, რუსი კომპოზიტორები თვითონ გვთხოვდნენ, მათი სიმღერები გვემღერა, ორგანიზატორები თანხას არ იღებდნენ?" - აღშფოთებით კითხულობს ცნობილი მომღერალი, ლეგენდარული „ორერას" წევრი, ბატონი ᲒᲔᲜᲝ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რომელმაც სანკტ-პეტერბურგში ოქტომბრის თვეში დაგეგმილ გასტროლზე უარი განაცხადა.**

- ის აგრესია რუსეთის მხრიდან, რაც დღეს განხორციელდა, დიდი ხნის ჩაფიქრებული იყო. დაინახეს, როგორ დადგა ფეხზე საქართველო, როგორ მოიპოვა საერთაშორისო მხარდაჭერა. თავს დაგვესხათ, მერე გვიან არ იყოსო, იფიქრეს და დაიწყო ბრძოლა. დაგვბომბეს, აგვაწიოკეს, გაგვაჩანაგეს. შეხედეთ სოფლებს და ქალაქებს. დიდი შრომა დაგვჭირდება, ქვეყანა ფეხზე რომ წამოვაყენოთ. ამიტომ ყველა ქართველმა - ხელოვანმა თუ სხვა სფეროს წარმომადგენელმა უარი უნდა ვუთხრათ რუსეთს ურთიერთობის გაგრძელებაზე. სწორედ ჩვენმა დამოკიდებულებამ, ჩვენმა ურთიერთობამ დაგვჩაგრა.

**- თავის დროზე, როდესაც რუსეთში მართავდით კონცერტებს, მაშინაც გრძნობდით რუსების მხრიდან დაჩაგვრას?**

- ძალიან დიდ პატივს გვცემდნენ მაშინ. მაყურებელს ვუყვარდით, ხელისგულზე გვატარებდნენ, რუსულ სიმღერებს ჩვენზე კარგად თვითონ რუსი შემსრულებლები ვერ მღეროდნენ. როდესაც ჩავიდოდით, აღფრთოვანებული გვხვდებოდნენ: „Наша „Орера" приехала", ტაშს გვიკრავდნენ. მაგრამ ხალხმა რა დააშავა, მათ, ვინც იცის კულტურისა და თბილი ურთიერთობის ფასი. აი, პოლიტიკოსები მაშინაც გვჩაგრავდნენ და ახლაც ხომ გამოჩნდა, რომ ეს ომი დიდი ხნის ჩაფიქრებული ჰქონდათ. მაგრამ ვერ ვიტყვი იმას, რომ თვითონ ჩვენს ანსამბლს ცუდად ხვდებოდნენ. სულ რამდენიმე შეხვედრა მახსოვს რუს პოლიტიკოსებთან - ოღონდ პირადი შეხვედრა კი არა, მათ მიგვიწვიეს კონცერტის ჩასატარებლად რაღაც საღამოებზე. იქ იყო პრიმაკოვი, ლავროვი. ცამდე აგვიყვანეს, ისე გვაქეს. ახალი წლის კონცერტზე თვითონ პუტინი გახლდათ მობრძანებული.

**- თქვენმა მეგობრებმა ვახტანგ კიკაბიძემ, ნანი ბრეგვაძემ რუსეთში დაგეგმილ კონცერტებზე უარი თქვეს, ბატონმა ვახტანგმა არც მეგობრობის ორდენი მიიღო რუსეთის პრეზიდენტისაგან...**

- სხვათაშორის, ჩვენც - „ორერასაც" კონცერტები უნდა გვქონოდა და უარი ვთქვით. ძალიან კარგი, ბუბამ და ნანიმ უარი რომ განაცხადეს. ისინი ყოველთვის სიამოვნებით გამოდიოდნენ რუსი მსმენელის წინაშე, ბოლომდე იხარჯებოდნენ, ახლა დაინახონ, იწვნიონ, მიხვდნენ, რომ ქართველები მათ უდიდეს ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებდნენ. ახლა, როცა ასე უჭირს სამშობლოს, როცა ამდენი ტკივილია, ბუბა და ნანი რუსებს ვერ უმღერებდნენ და ეს აბსოლუტურად გასაგებია. ის შემსრულებლები, რომლებიც საქართველოდან გასტროლზე ჩადიოდნენ, აჩვენებდნენ თავიანთ კულტურას, ხალხს აღაფრთოვანებდნენ, რა თქმა უნდა, თვითონ რუს ხელოვნების მოყვარულებს დააკლდებათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ინსტრუმენტების სცენაზე წყობაც ქართული ანსამბლებიდან ისწავლეს რუსებმა. ჩვენს კონცერტებზე მოდიოდა ყველა, პოლიტიკოსიც და სხვა სფეროს წარმომადგენელიც. მაგალითად, ბატონი პუტინი ჯერ კიდევ გერმანიიდან მახსოვს, როდესაც ის იქ მსახურობდა. გვთხოვეს, საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისთვის კონცერტი ჩაგვეტარებინა. ერთ-ერთ კონცერტს (სსრ კავშირის საელჩოში) დაესწრო ვლადიმერ პუტინიც. რა თქმა უნდა, იმ დროს რიგითი თანამშრომელი იყო, მაშინ მისი არც გვარი ვიცოდი, არც სახელი, მაგრამ შემდეგ, როდესაც პრეზიდენტი გახდა, ჩვენმა ბიჭებმა გაიხსენეს ის რუსი, გერმანიაში საელჩოში გამართულ კონცერტზე რომ დაგვესწრო.

**- ბოლოს როდის ბრძანდებოდით რუსეთში?**

- 2005 წელს საიუბილეო კონცერტები გავმართეთ (ანსამბლის 45 წლის იუბილე) მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, როსტოვსა და ეკატერინბურგში. ნანისა და ბუბას ვარსკვლავების გვერდით ჩვენი - „ორერას" ვარსკვლავიც გახსნეს - მგონი, ამ ვარსკვლავებს დატოვებენ და არ ამოთხრიან, ეს ხომ ისტორიაა. ბედის ირონიაც ამას ჰქვია, იქ ვარსკვლავებს გვიხსნიან, აქ გვბომბავენ. რა უნდა ქნა, ასეთია მათი პოლიტიკა. სცადეს, ეგონათ, აქ პანიკა ატყდებოდა, ხალხი გამოვიდოდა და მხარს დაუჭერდა პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენი გამარჯვება ის არის, რომ ერთად დავდექით... სხვათაშორის, ისიც მინდა დავამატო, რომ საკონცერტო დარბაზი „Россия" მოსკოვში „ორერამ" გახსნა (როდესაც იქ პირველად ვიმღერეთ) და დახურა - ჩვენი საიუბილეო კონცერტების შემდეგ ეს დარბაზი დაანგრიეს. ჩვენს კონცერტებს ესწრებოდნენ კობზონი, მელაძე, ლივჩენკო, პავლიაშვილი... ალა პუგაჩოვა ვერ მოვიდა რაღაც მიზეზის გამო. სხვათაშორის, ახლა მოსკოვიდან კიდეც რეკავენ და ამბავს კითხულობენ, გვგულშემატკივრობენ. ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც გვბომბავდნენ, ჩემს ოჯახში იმყოფებოდა სტუმარი ქალბატონი მოსკოვიდან. რუსეთში სრული დეზინფორმაცია ვრცელდებოდა - რა დაბომბვა, რის დაბომბვაო, - ტელეფონით ახლობლები ეკითხებოდნენ. ვფიქრობ, გადავრჩით, თუ კიდევ რაიმე სისაძაგლე არ ჩაიდინეს დეკემბრამდე.

**- კობზონის სიტყვებს: - „ბუბას რუსეთი აჭმევდაო", - როგორ შეაფასებთ?**

- რას ჰქვია, აჭმევდა? რუსებს ჩვენი კონცერტები რომ არ სდომოდათ, ხომ არ დაგვპატიჟებდნენ? ხომ არ დაგვითმობდნენ დარბაზებს, რომლებსაც მაყურებელი სრულად ავსებდა. მათაც ხომ ჰქონდათ დაინტერესება, შემოსავალი. რუსებს რომ არ შემოეთავაზებინათ, მობრძანდით, კონცერტი ჩაატარეთო, ჩვენ ძალით ხომ არ წავიდოდით? მათ ჰქონდათ ამის სურვილი. ასე გვიწვევენ ჩვენ სხვა ქვეყნებიც. ასე რომ, მუქთად პური ქართველებს არსად გვიჭამია. ჩვენ ვშრომოდით და ვშრომობთ. ბუბასა და ნანის გარდა ბევრ ქართველ მომღერალს ჰქონდა დაგეგმილი რუსეთში კონცერტები. ყველამ უარი თქვა ჩატარებაზე.

**- რუსულ რომანსებს ქართველები უკეთესად ასრულებენო...**

- დიახ, ჩვენ უფრო კარგად ვასრულებთ. ჩვენ გაცილებით ლირიკული ერი ვართ, ვიდრე რუსები. თანაც ძირძველმა რუსებმა ასიმილაცია განიცადეს, თათარ-მონღოლები არიან უკვე. ისინი უკვე ვეღარ აღიქვამენ იმ სიმღერებს, რომლებიც რევოლუციამდე შეიქმნა. თუმცა, ამის შემდეგაც დაიწერა რომანსები. კომპოზიტორები პირდაპირ გვეხვეწებოდნენ, რომ ჩვენ - ქართველებს შეგვესრულებინა რომანსები. ჩვენს მიერ შესრულებული სიმღერები მაშინვე პოპულარული ხდებოდა. რუსეთიდან მქონდა არაერთხელ შემოთავაზება, კარიერა იქ გამეგრძელებინა. მაგრამ უარი ვთქვი. მე ვარ ჩემს ანსამბლთან და უარს არასოდეს ვიტყვი. ახლაც არაჩვეულებრივი ბიჭები არიან „ორერაში", ვმუშაობთ, კონცერტებს ვმართავთ. გვაქვს ჩვენი ტრადიციული, ძველი სიმღერები.

*ესაუბრა*

**ქეთევან ხამიცაშვილი**



# ერთი ხელით მაჯილდოვებენ, მეორეთი თავში მირტყამენ!

**- ᲙᲝᲑᲖᲝᲜᲛᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲓᲐᲚᲘᲝᲡ! ᲛᲔ ᲠᲐᲛᲔ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲛᲐᲡ ᲗᲣ ᲛᲐᲜ ᲛᲝᲛᲪᲐ ᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲣᲐᲠᲘ ᲕᲗᲥᲕᲘ?! ᲜᲐᲬᲧᲔᲜᲘ ᲠᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ? ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲖᲔᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ. ᲛᲘᲗᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲖᲔ.**

ერთი ხელით მაჯილდოვებენ, მეორეთი თავში მირტყამენ... აბა, რა უნდა მექნა? უნდა ამეღო? სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რუსის ჯარი ამდენს თუ გაბედავდა, მაგრამ რომ გაბედავდა თავდასხმას, მაგას ველოდი. **ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲣᲢᲠᲘᲐᲚᲓᲔᲑᲐᲗ ᲣᲙᲐᲜ!** ჩვენგან არა, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებისაგან იგრძნობენ! **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲡ!** მთელი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ჩვენს გვერდით დგანან და ამას არ ელოდა რუსეთი... ამ უბედურებას ჩვენ როგორმე გადავიტანთ!

**- რუსეთიდან თუ დაგკავშირებიათ ვინმე?**

- **ᲒᲘᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲛ** დამირეკა... სხვებმაც დარეკეს... **ᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐᲗ! ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ! ᲘᲡᲔ, ᲐᲮᲚᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲯᲘᲯᲒᲜᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲜ, ᲔᲭᲕᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲔᲞᲐᲠᲔᲑᲐ... ᲛᲐᲠᲢᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!** პირველად აკეთებენ თუ რა?! დაგვავიწყდა, თვითმფრინავებით რომ ჰყრიდნენ ხალხს რუსეთიდან?! უკვე მაშინ იყო გასაგები და ახლა, მითუმეტეს...

**- ნეიტრალიტეტზე საუბრობს დღეს ბევრი...**

- ვინ მოგცემს ნეიტრალიტეტს, როცა სჭირდები? **ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲧᲝᲚᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲤᲔᲮᲥᲕᲔᲨ!** ნეიტრალიტეტი მაშინ არის უკეთესი, როცა ხარ ძლიერი!

**- როგორ ფიქრობთ, რა დრო იქნება საჭირო კეთილმეზობლური ურთიერთობების აღსადგენად?**

- იცით, რა?! ქართველები, საერთოდ, მიმტევებელი ბუნების ხალხი ვართ. ჩვენი უბედურებაც ეგ არის. მთავარია, რუსს რა უნდა. ეგ უნდა ვიცოდეთ ჯერ. რასაც მე ვხედავ, ფაქტია, რომ რუსეთს უნდოდა, გავესწორებინეთ მიწასთან! **ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ!** მე ასე მგონია და... ჯარების გასვლის დროსაც კი, მიწები გადაწვეს.

**- ფაქტია, აგრესორმა კუდი მოიქნია გასვლისას...**

- საერთოდ, ჩვენთან რატომ უნდა შემოსულიყო? ეგრე არ არის! ᲐᲠᲐ ᲛᲯᲔᲠᲐ ᲛᲔ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ! მოხუცი, გალახული ხალხი რომ ჩამოიყვანეს ავტობუსებით და 80 წლის მოხუცები, ნაცემები და ნაწამები რომ ვნახეთ, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ? მაგრამ, რა არის, იცით? თვითონ ხალხი ასწავლის მაგათ ჭკუას!

აქ საქართველოზე არ არის მხოლოდ საუბარი. მსოფლიოს დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობ. **ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ „ᲭᲐᲛᲔᲡ"!**

**- სხვათაშორის, პოეტმა ვაჟა ოთარაშვილმა, ამ ყველაფრის შემხედვარემ, პუშკინი, დოსტოევსკი, ლერმონტოვი, ჩეხოვი შეიძულა ლამის... ზოგმა ისიც თქვა, მათი წიგნებიც კი „გავაძევოთ" საქართველოდანო.**

- ᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔ! ᲛᲐᲒᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ! ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲔᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲮᲕᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲘᲥ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝ, ᲙᲐᲪᲝ!

ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ, ᲠᲣᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲢᲠᲝ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ! ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲢᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲗᲐᲜ! ᲣᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲒᲐᲚᲗᲐᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲢᲠᲝ!

*ესაუბრა*

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ზურაბ წერეთელი: ჩვენ საერთო ჯვარი და საერთო რელიგია გვაერთიანებს

**დაუღალავი მოქანდაკე, რომლის შემოქმედებას ხან ლანძღავენ, ხან აქებენ, ლეგენდის მიხედვით, იმ თავად ზურაბ წერეთლის შთამომავალია, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს რუსეთთან შეერთებას. რას უწყობს ხელს თვითონ სკულპტორი - განსაკუთრებით დღეს? მან მოკლედ უპასუხა: „მე პატარა ადამიანი ვარ". ხოლო რუსეთის სამხატვრო აკადემიას, რომლის პრეზიდენტიც *ზურაბ წერეთელია*, დღემდე არ გამოუთქვამს არანაირი (არც კარგი, არც ცუდი) აზრი რუსეთის პოზიციაზე საქართველოსთან მიმართებაში. საჭირო გახდა დაზუსტება: თვითონ ვის უჭერს მხარს?**

### პაუზა რომანში

**- აღიარეთ როგორც მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა: თქვენ ვის მხარეს ხართ? მოსკოვში ათასობით თქვენმა თანამემამულემ პოვა თავშესაფარი. გახსოვთ ფრაზა: „ვის მხარეს ხართ, კულტურის ოსტატებო"? თქვენ ვის მხარეს ხართ?**

- მე ხელოვნების მხარეს ვარ! ხალხმა კი ჯერ საკუთარი ისტორია ისწავლოს. მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება. დედამიწა ტრიალებს, ცხოვრება კარუსელია. დღეს ასეა, ხვალ - ისე. მთავარია, თავს მიხედო. როგორც ამბობენ, „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია"...

**- რუსეთში მრავალი ავტორიტეტული და გავლენიანი ქართველი ცხოვრობს. არავინ ითხოვს, თავიანთი სამშობლოს წინააღმდეგ გამოვიდნენ, მაგრამ განა არ შეიძლება, როგორღაც გავლენა მოახდინონ მიხეილ სააკაშვილზე და ახლავე შეუწყონ ხელი, რომ საქართველო კვლავ გახდეს ჩვენი კეთილი მეზობელი და არ იქცეს ოკეანისგაღმური საომარი მანქანის ეკლებად? ამერიკელმა სენატორმაც კი გამოიჩინა მამაცობა და სიმართლე აღიარა. რუსეთში მცხოვრები ქართველები კი გაყუჩდნენ და ხმას არ იღებენ. უფრო მეტიც, ვახტანგ კიკაბიძემ „АиФ"-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ქართველებსა და რუსებს შორის ნაპრალი ყოველთვის არსებობდა, მის ბავშვობაშიც კი. მე კი ასეთი რამ არ მახსოვს. თქვენ?**

- მე - რა? უმჯობესია, მოსკოვში ტიშინის მოედანზე გახვიდეთ. იქ არის რუსეთთან საქართველოს შეერთების ილუსტრაცია - ჩვენი მეგობრობისთვის მიძღვნილი ჩემი მონუმენტი... **ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐ**. გავაკეთე სკულპტურა ჩვენი პატრიარქების ფიგურებით - **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ** და **ᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ**. ეს რომ გაიგო, ალექსი მეორე ჩემთან ერთად თბილისში წამოვიდა, შემდეგ კი ილია მეორე გვესტუმრა. ისინი ურთიერთმეგობრობის გრძნობით განიმსჭვალნენ. ჩვენ ხომ სიმღერები მრავალხმიანი გვაქვს! ისინი ისხდნენ სუფრასთან, უსმენდნენ და აცრემლდნენ კიდეც... ვის არ უცხოვრია საქართველოში! თბილისში ყველა რელიგიის ტაძარია - სინაგოგა, მეჩეთი, კოსტელი. განა ისინი ხელს უშლიდნენ ერთმანეთს? **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲒᲐᲐᲠᲢᲧᲐᲛᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ...** ასე რომ, **ᲩᲕᲔᲜ ᲓᲔᲛᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲗ**!

**- კი ბატონო, რწმენა გვაერთიანებს. რა გვაშორებს? პოლიტიკანები?**

- დაშორება დროებითია. მე ოპტიმისტი ვარ და არა პანიკიორი. თუნდაც ცოლი ძალიან გიყვარდეს, მაინც ჩნდება ხოლმე პაუზა. ზოგჯერ საჭიროა სიყვარულისგან დასვენებაც. ასე რომ, ჩვენ ვისვენებთ. ხვალ კვლავ რომანი დაიწყება. მგზნებარე!



წერეთლის ეს ცრემლი უკვე ქართველების ცრემლია ამერიკაში

### ძერჟინსკის უკანა მხარე

**- ხელოვნებას დავუბრუნდეთ. ხალხის იმედები სკულპტურაში აისახება. სოცრეალიზმში როგორც იყო - ვიცით, ახლა რა ხდება?**

- განსხვავება არის. მაგრამ არის ისეთი რამ, რასაც ვერ ისწავლი. სმენა თუ არ გაქვს, როიალზე ვერ დაუკრავ. ახლობლები და პედაგოგები მასწავლიდნენ: ხელოვნება ხელოვნებისთვის უნდა შექმნა...

**- განა ხალხისთვის არა?**

- „ყველაფერი ხალხისთვის!" ლოზუნგი იყო, „ხელოვნება - ხელოვნებისთვის" კი მთელი ფილოსოფიაა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ნაწარმოები სამუზეუმო ფასეულობა. როგორ შექმნი ხალხისთვის, როცა თითოეულ ადამიანს თავისი გემოვნება აქვს, ისეთებიც არსებობენ, ვისაც კულტურა საერთოდ არ ესმის. პირიქით, ხალხი უნდა ისწრაფვოდეს ხელოვნების მწვერვალებისკენ. რაც უკეთესია ხელოვნება, მით უფრო ბედნიერია... ამიტომ არ არის საჭირო პიედესტალებიდან გადმოყრა! არც ლენინის, არც სტალინის, მარქსისა და ენგელსიც კი არა...

**- ასეც ხომ არის. თქვენს ოფისთან ბრინჯაოს ენგელსი დგას...**

- იდგეს. ან ძერჟინსკი რატომ აიღეს ლუბიანკადან? ეს ხომ უნიკალური ძეგლი იყო. ასეთი სრულყოფილი მრგვალი სკულპტურის შექმნა ძალიან რთულია. ვუჩეტიჩმა შეძლო, მის ქანდაკებას ძალიან კარგი უკანა მხარე აქვს. მიქელანჯელომაც ვერ შეძლო, ასე გაეკეთებინა „დავითი", ამიტომაც დადგა ზურგით კედლისკენ. ყველა ეპოქას თავისი განუმეორებელი სტილი აქვს.

**- პოსტამენტებზე მარტო შედევრებს კი არა, კონიუნქტურასაც დგამენ. რა არის თქვენთვის ამ მხრივ უგემოვნობის მაგალითი?**

- ასეთი მაგალითი არ არსებობს. ნაწარმოები არ შეიძლება მაშინვე შეაფასო. თუ მე რაღაც არ მომწონს, არ ნიშნავს, რომ სკულპტურა ან შენობა ცუდია. მაგალითად, ეიფელის კოშკს მისი თანამედროვენი ლანძღავდნენ. საბოლოოდ კი, კოშკის სილუეტი არათუ პარიზის, ერის სიმბოლოდ იქცა. ან შორს რატომ მივდივართ, გავიხსენოთ მონუმენტი „მუშა და კოლმეურნე ქალი"... **ᲓᲠᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲛᲘᲣᲩᲔᲜᲡ...** სწრაფად განსჯი - შეცდები.

**- 11 სექტემბრის შემდეგ რატომ დაიწყეთ ძეგლების შექმნა სპეციალურად ტერაქტებისა და კატასტროფების ადგილებისთვის?**

- ხალხი მეცოდება. 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკას ვაჩუქე ჩემი ნოვატორული **„ᲪᲠᲔᲛᲚᲘ"**. მის გახსნაზე **ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲛᲐ** თქვა: **„ᲑᲣᲨᲛᲐ ᲘᲧᲣᲠᲝᲡ ᲐᲛ ᲜᲐᲮᲕᲠᲔᲢᲨᲘ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲭᲙᲕᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ"** (მონუმენტი წარმოადგენს სტელას ჭრილით, რომელშიც სიმბოლური ცრემლია). ახლახან მოვინახულე იქაურობა. მის მახლობლად დაღუპულთა მშობლები სხედან და ტირიან... ვაპირებ, სოლოვკებში ქრისტეს ასიმეტრიანი ქანდაკი დავდგა, პოსტამენტზე - რეპრესირებულთა გვარებით. ეს იქნება არა პირადად ჩემგან, არამედ მთელი რუსეთისგან. ბანაკის ბარაკებიც არ უნდა დაინგრეს. დაე, შთამომავლობას სახსოვრად დარჩეს... ახლა სტალინს ჰიტლერს ადარებენ. ჩემო ძვირფასებო! რა საჭიროა გარდაცვლილი ადამიანის ლანძღვა? ერის სიბრძნე ნიშნავს შეგეძლოს არამარტო დახსომება, არამედ დავიწყებაც. ყველაფერი ცუდი წარსულში დავტოვოთ.

«АиФ»

**„ქართველი მეომარი მახარაშვილი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში იბრძვის რუსი ჯარისკაცების გვერდით, განა არჩევს, ვინაა იქ რუსი?" - ამბობს კინოშედევრ „ჯარისკაცის მამის" ავტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" სამხატვრო ხელმძღვანელი ᲠᲔᲖᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ**

# ასეთებს ველარ შეგიყვარებთ!

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ძალიან დიდი იყო წინააღმდეგობები რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებას შორის, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გათვალისწინებით ვერ წარმომედგინა, რომ საქმე მივიდოდა ისეთ საშინელებამდე, როგორიც ომია!

მოველოდი, რომ იქნებოდა ჟურნალისტური დავა, დიპლომატიური პოლემიკა და მსჯელობა... ვფიქრობდი, რომ კომპრომისების ხარჯზე მოიძებნებოდა გამოსავალი, რის შედეგადაც საქართველოში რუსეთს აგრესორი არ დაერქმეოდა!

დიახ, ჩვენი ურთიერთობა ისე გაქრა, თითქოს არც არასდროს გვქონია!

ვერ ვიფიქრებდი, რომ ორივე ქვეყნის დიპლომატია და ხელისუფლება ამ ზომამდე მიგვიყვანდა.

ბევრი მწარე პერიოდი მქონია ცხოვრებაში. 1937 წელს სრულიად უმიზეზოდ დახვრიტეს მამაჩემი, სათნოებით აღვსილი მწერალი კაცი. ძველი სისხლი ადვილად არ შრება და მსგავს ტრაგედიას იოლად ვერ ივიწყებს ადამიანი, მაგრამ ამდენი წლის შემდეგაც ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ხოცვა-ჟლეტას თუ მოვუწყობდით, არ ველოდი.

ათასჯერ გამიგონია ეს რუსეთის პრეზიდენტისგან და ამასვე ქადაგებდა რუსული პრესაც, რომ ისინი პატივს სცემენ საქართველოს საზღვრების მთლიანობას. **ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲓᲣᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ!**

თქვენ, ჩემო მეგობრებო, რუსული კულტურის წარმომადგენლებო, დღესაც მიყვარხართ და თქვენს გარეშე არც ჩემი ხელოვნება წარმომიდგენია, მაგრამ, თუკი რუსეთი კარგავს იმ დიდ სახეს, რომელიც დაკავშირებულია ლევ ტოლსტოისთან, ალექსანდრე პუშკინთან, დოსტოევსკისთან, ჩეხოვთან, პასტერნაკთან, ასეთებს ველარ შეგიყვარებთ!

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ საქართველოს განადგურებაზე ელაპარაკა გრიბოედოვს ან ლერმონტოვს! ან ჩემს მეგობრებს რუსული კინემატოგრაფიიდან, რომლებთან ერთადაც ვაშენებდით კაცთმოყვარეობით სავსე კინოხელოვნებას, ან იმ ხელოვნებს, რომელთა შემოქმედებაშიც უდიდესი როლი ითამაშა კავკასიამ.

ჩვენ ხომ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ?! კანონი მოქმედებისა და ეთიკისა, უპირველეს ყოვლისა, გაჟღენთილი უნდა იყოს ქრისტიანობით და არა ბომბებით და ადამიანთა გაჟლეტით! ან ბატონობის სურვილით და იმით, რომ თქვენ **ᲛᲔᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲜᲐᲕᲘ ᲒᲧᲐᲕᲗ ᲐᲜ ᲛᲔᲢᲘ ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲘ...**

თქვენ გყავთ შესანიშნავი ხატმწერები, გაქვთ შესანიშნავი ეკლესიათა კომპლექსი — და ჩვენ ამას აღვიქვამთ როგორც იმ ადგილს, სადაც სალოცავად უნდა დავდიოდეთ და დავდივართ კიდეც! **ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲨᲘ, ᲯᲕᲐᲠᲖᲔ, ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲙᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲝᲪᲕᲐ...**



ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲠᲣᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 1964 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲣᲚᲐᲬᲣᲜᲐ

დღეს თქვენი ჯარები ქართულ გზებზე დადიან, სოფლებში დასეირნობენ, მშვიდობიან მოსახლეობას იარაღის ჟღარუნით შიშის ზარს სცემენ, ახალ საომარ ფორპოსტებს აგებენ. და, ამის წარმოდგენა არაფრით შემეძლო!

**ᲜᲣ ᲐᲬᲧᲝᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝ ᲐᲥᲪᲘᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲓᲐᲒᲐᲙᲜᲘᲜᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲪᲔᲛᲗ ᲘᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲓᲘᲗ!**

ხომ გესმით, რას ამბობენ გენერალური ასამბლეის სხდომებზე გამოსვლებში უმრავლესი ქვეყნების პრეზიდენტები?!

**ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲤᲘᲒᲣᲠᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ, ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ! ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ?!**

ჩემს ფილმში „ჯარისკაცის მამა", სადაც ქართველი მეომარი მახარაშვილი იბრძვის რუს მეომრებთან ერთად, განა ის არჩევს, ვინაა იქ რუსი?

დავივიწყოთ ყველაფერი, რაც სისხლთან არის დაკავშირებული, მოგვეცით საშუალება, ვიფიქროთ, ვიაზროვნოთ, რომ მე მქონდეს სურვილი, როგორც კინორეჟისორს, კიდევ დავდგა ახალი ფილმი, რომელშიც მოქმედი გმირები იქნებიან რუსი ერის წარმომადგენლები.

სხვათაშორის, ჩემი ახალი ფილმი, რომელიც ჯერ ეკრანზე არ გამოსულა, სწორედ ამ თემას ეხება. **ᲩᲕᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!**

ძვირფასო მეგობრებო! **ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗᲐᲪ ᲙᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲘᲗ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲔᲗ, ᲠᲐᲪ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲡ!**

დიახ, დავით აღმაშენებლის ტიტულშიც კი მითითებულია, რომ ის იყო მეფე აფხაზთა, რანთა და ა.შ.

**ᲐᲮᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲪ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲗ? ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲛ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲡ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲜᲣ ᲐᲭᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲪᲠᲣᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ!**

მჯერა ხვალინდელი დღისა და, როგორც ჩვენმა პატრიარქმა თქვა: „ადამიანი, რომელიც დილას ადგება, კარს გააღებს და მზე ჯერ ამოსული არ იქნება, ის პირველად თავის მეზობელს დაინახავს და მერე ამოვა მზე"...

**ᲐᲛᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲛᲐ ᲮᲐᲖᲘ ᲒᲐᲣᲡᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ!**

*ესაუბრა*

**ᲑᲔᲥᲐ ᲡᲘᲕᲡᲘᲕᲐᲫᲔ**

**„მამულის“ წინა ნომერში ეკონომიკის ექსპერტის, „ეროვნული ფორუმის“ პოლიტიკური საბჭოს წევრის ნიკო ორველაშვილის ეკონომიკურმა ექსპერტიზამ მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში არ წყდებოდა ზარები ბინების გაიაფებასთან დაკავშირებით, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, დღეს მოსახლეობის უმრავლესობისათვის უძრავი ქონების კატასტროფულად მაღალი ფასი გადაულახავ პრობლემას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მკითხველის თხოვნით, ბატონ ნიკოს ამჯერად მხოლოდ უძრავი ქონების სფეროში მოსალოდნელ ცვლილებებზე ვესაუბრეთ.**

# ბინების ყიდვა-გაყიდვა 80 პროცენტით შეჩერდა აგვისტოს ომის შემდეგ

**- ბატონო ნიკო, მოსახლეობა უკიდურესად დაინტერესებულია, რამ შეიძლება გამოიწვიოს ბინების გაიაფება?**

- ერთი რამ ფაქტია: სამშენებლო ბიზნესში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები, ანუ ის სიტუაცია, რომელიც ამ სფეროში იყო, ვეღარ შენარჩუნდება. [illegible] ქვეყნის ეკონომიკამ ერთი ადგილის ტკეპნა დაიწყო. იქაურ მოსახლეობას შემოსავლები შეუმცირდა, რის გამოც იპოთეკური სესხები, კრედიტები გაიჭედა და საბანკო სფეროში კრიზისი დაიწყო. ერთი შეხედვით, სად ამერიკა და სად საქართველო, მაგრამ **საქართველოს მსხვილი ბანკების დიდი ნაწილი მეტნაკლებად ამერიკულ და საერთაშორისო საბანკო სისტემაზეა მიბმული და საკრედიტო რესურსებს იქიდან მოიზიდავდნენ.** მოგეხსენებათ, რა ღირს ჩვენთან კრედიტი და რა ღირს ევროპასა თუ ამერიკაში. [illegible] ვისუფლად გამოიყვანენ კრიზისიდან. მიუხედავად ამისა, ჰუმანიტარული დახმარების იმედად ჩვენი მტერი იყოს. - **გამოგვიყოფენ დახმარებებს, მაგრამ არ მოგვცემენ, ვიდრე არ ექნებათ გარანტია, რომ ეს თანხები მიზნობრივად და გონივრულად დაიხარჯება.** 2004 წლის 16 ივნისსაც დაგვპირდა ევროკავშირი ერთ მილიარდს, თუმცა, არ მოგვცეს, რადგან ხელისუფლებამ თანხის გახარჯვის გეგმა, რომელსაც ევროკავშირი ითხოვდა, არ ან ვერ წარადგინა. მათ კონტროლის ქვეშ გამოყოფილი თანხა არ აწყობდათ, რადგან ნახევარი თუ არ მოიპარეს, ისე რა მადლი აქვს? დახმარებებს გონიერი განმკარგავი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალია.

**- თუ სტაბილურობა შედარებით შენარჩუნდება, რა სიახლეებს უნდა ველოდოთ სამშენებლო სფეროში?**

- ბინების გაიაფება გარდაუვალია. სამშენებლო ბიზნესში წინსვლა და ზრდა-განვითარება გამორიცხულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკის და ევროპის დახმარებით საქართველო ეკონომიკის სფეროში სიმშვიდის შენარჩუნებას მოახერხებს. საუკეთესო შემთხვევაში კომპანიები საკუთარი სახსრებით თუ ბანკების დახმარებით მიღებულ შეკვეთებს დაამთავრებენ.

ვიცი ზოგიერთი მცირე კომპანია, რომელსაც სერიოზული პრობლემები არა აქვს, რადგან მათზე ჩინოვნიკების მხრიდან ნაკლები წნეხი იყო, სამაგიეროდ, ვიცი დიდი და რეკლამირებული კომპანიები, რომლებსაც ყველაზე პირველებს მოუწევთ თავზე ნაცრის წაყრა და თავის გაკოტრებულად გამოცხადება, რადგან, ერთი მხრივ, ქველმოქმედი ხალხის იმიჯს იქმნიდნენ, მეორე მხრივ, პოლიტიკურ ელიტასთან მეგობრობდნენ. **პოლიტიკურ ელიტასთან მეგობრობა კი სამშენებლო კომპანიისთვის, არც მეტი - არც ნაკლები, ძალიან დიდ ფინანსურ დანახარჯებს ნიშნავს.** თუ დღეს სააკაშვილის რეჟიმს დასავლეთი აიძულებს, ჩაეტიოს კანონის ჩარჩოებში, თუ სასამართლო კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაიწყებს გადაწყვეტილებების მიღებას და საკუთრების უფლებები რეალურად მართლა დაცული იქნება, **იმ ადამიანების დიდ ნაწილს, ვინც სახსრები სამშენებლო სფეროში დააბანდა, ურჩევნია, ის ფული უკან დაიბრუნოს და საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად ბიზნესი წამოიწყოს. ბინებში ჩადებული ფული დამატებითს არაფერს გაძლევს, მაგრამ თუ იმ ფულს** დაატრიალებ, შეიძლება ხვალ ან ზეგ 5 იმხელა ბინა იყიდო და დიდი მოგებაც დაგრჩეს. ბინების ყიდვა-გაყიდვა ამ ბოლო თვეებში 80 პროცენტით არის შეჩერებული. მყიდველთა რაოდენობა კატასტროფულად იკლებს და არამარტო ომის გამო. ვისაც რამე რესურსი ჰქონდა, უკვე შეიძინა, ამიტომ უკვე გაზაფხულზე, სანამ აგვისტოს მოვლენები დაიწყებოდა, მყიდველთა რაოდენობა საგრძნობლად იყო შემცირებული. მსურველი შეიძლება ბევრია, თუმცა, ხალხის ხელთ არსებული რესურსები და ბინების ფასები საოცრად კონტრასტულია.

ჭკვიანი კაცი შექმნილ ვითარებაში მხოლოდ უარესზე უნდა ფიქრობდეს. **თუ დასავლეთი რუსეთს ლაგამს ვერ ამოდებს, სრულიად შესაძლებელია, ეს ზამთარი მძიმედ მოსაგონარი გაგვიხდეს, ამიტომ რომელ ბინების შეძენაზე და გაფართოებაზეა საუბარი.** ხალხი იმაზე დაიწყებს ფიქრს, რომ, თუ დიდი ბინა აქვთ, როგორმე გაყიდონ, პატარა ბინაში გადავიდნენ და დარჩენილი თანხით თავი გაიტანონ.

**ამ ზამთარს მოსახლეობას სხვა პრობლემები მოეძალება, ამიტომ ბინის შეძენა ან რემონტი მეოცეხარისხოვანი გახდება.** შესაბამისად, მოთხოვნა ბინებზე შემცირდება და თუ ფასი არ დააკლეს, დიდი რაოდენობა, უბრალოდ, გასაყიდი, ანუ რეალიზაციის გარეშე დარჩებათ გამყიდველებს!

**- ბატონო ნიკო, ეს მხოლოდ ახალაშენებულ ბინებს ეხება თუ ძველებსაც?**

- რა თქმა უნდა, **ეს ეხება როგორც ახალ, ისე ძველ ბინებს.** მათი გაიაფება გარდაუვალია და ამას რაც ადრე გააკეთებენ გამყიდველები, მათთვის გაცილებით უკეთესია! **ვფიქრობ, გამყიდველები დროზე მიხვდებიან მოსალოდნელ საფრთხეს და სწორ დასკვნებსაც გამოიტანენ.**

ამჟამად გამყიდველებში შოკის სინდრომი მუშაობს. მათ კიდევ აქვთ იმედი, რომ რაიმე შეიცვლება და ამიტომ არ აკლებენ ფასებს, თუმცა, სტატუს-კვო, რაც ამ სფეროში იყო, აღარასოდეს აღდგება, როგორი ეკონომიკური სასწაულებიც არ უნდა მოახდინოს ჩვენმა ხელისუფლებამ. **ფასების კლება მაშინაც კი გარდაუვალია, თუ მიწოდება უცვლელია და მოთხოვნა იკლებს.** იმ შემთხვევაში კი ფასისვარდნა გაცილებით სერიოზულია, როცა მოთხოვნა იკლებს და მიწოდება მატულობს.

ვისაც ჭკუა აქვს, დროზე უნდა დააკლოს ბინებზე ფასები, ვიდრე მიწოდება უფრო მეტად გაზრდილა, თუ არ უნდათ, რომ საშინელი ზარალი განიცადონ. ბოლო ექვსი თვის მანძილზე ფასები ისედაც ერთ ადგილს ტკეპნის და თითქმის არაფერი იყიდება. ცოტა ხანში მიმწოდებლებს ბინებზე ფასების კატასტროფულად დაწევა მოუწევთ, თუმცა, ამის შემდეგ კიდევ საკითხავია, გაყიდიან თუ არა!

**- რამდენ ხანში შეიძლება იწყოს ფასებმა კლება?**

- ეს დამოკიდებულია იმაზე, კრიზისი სადამდე და რა ტემპებით წავა. **თუ მოსახლეობამ ენერგოდეფიციტის ან სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში რეალური საფრთხე იგრძნო, დამერწმუნეთ, ისინი დანაზოგებს ბრინჯში, ხორბალში და საკვებ პროდუქტებში უფრო შეინახავენ, ვიდრე უძრავ ქონებაში.** ადამიანები შეეცდებიან, იყიდონ უფრო კომპაქტური საქონელი, რაზეც ფასი ნაკლებად თამაშობს. მაგალითად: ძვირფასეულობა, ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი და სხვა. ბინას ვერ მოიკიდებ და საზღვარგარეთ ვერ გაყიდი, მაშინ, როდესაც ძვირფასეულობას წაიღებ და უცხოეთში სარფიანად გაუკეთებ რეალიზაციას. **როდესაც ბინა ფასს კარგავს, მას ვერაფერს მოუხერხებ, გარდა იმისა, რომ ვინმეს შეაჩეჩო ხელში!**

**- თუ კრიზისი არ გაღრმავდება, მაინც დაიკლებს ფასები?**

- ვფიქრობ, ამ კითხვაზე უკვე გიპასუხეთ. ფასების კლება გარდაუვალია ყველა შემთხვევაში. თუ კრიზისი არ გაღრმავდება, კლება მაინც მოხდება, მაგრამ არა კატასტროფულად! **დღეს რომც დაიწყოს რეალური ეკონომიკური აღმავლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, ეს ძალიან დიდხანს მაინც არ გამოჩნდება.**

ჩვენ დღეს დამარცხებულები ვართ და უნდა შევიგნოთ, რომ ეს ცხოვრების ყველა სფეროზე სავალალოდ აისახება. ახლო მომავალში არ ჩანს იმის შანსები, რომ ტერიტორიული მთლიანობა და ეკონომიკური სტაბილურობა აღვიდგინოთ. ვფიქრობ, ლამაზი მომავალი შორს არის.

*ესაუბრა* მეგი საჯაია



# კრიზისი მშენებლობის ხარისხის გაუარესებას გამოიწვევს

**სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ რუსეთ-საქართველოს ომმა მათ დიდი პრობლემები შეუქმნა, თუმცა, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ომამდე კარგა ხნით ადრე, იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთების გაზრდის დროს შემცირდა. სამშენებლო ბიზნესში არსებულ პრობლემებზე მშენებლობის ცნობილი სპეციალისტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ანზორ საკანდელიძე გვესაუბრება:**

- ის, რაც დღეს სამშენებლო ბიზნესში ხდება, ერთი სიტყვით, შეიძლება საშინლება ვუწოდოთ. ფირმების აბსოლუტური უმრავლესობა არის გაკოტრების ზღვარზე, რაც იქნება უდიდესი ტრაგედია, თუნდაც იმიტომ, რომ **უმუშევარი დარჩება სამშენებლო ბიზნესში პირდაპირ და არაპირდაპირ ჩართული 100 ათასამდე კაცი! თუ რა ქაოსსა და უბედურებას გამოიწვევს დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლები და მათი მომლოდინე ათასობით კლიენტის საჩივრები, ეს კიდევ ცალკე საკითხია.**

პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა გადაარჩინოს ბანკები, რათა შემდეგ ბანკებმა გადაარჩინონ სამშენებლო ბიზნესი, რომელიც დღეს ბანკების მიერ ყველაზე რისკიან ბიზნესად არის გამოცხადებული და, ფაქტობრივად, შეწყვეტილია მათი დაკრედიტება! **სახელმწიფო საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარებებით შეძლებისდაგვარად უნდა დაეხმაროს ბანკებს, რომ მათ შეძლონ, ძველებურად დააფინანსონ სამშენებლო ბიზნესი.**

**- ბატონო ანზორ, უძრავ ქონებაზე ფასებს ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონე განაპირობებს. რატომ ღირს ასეთი ძვირი საქართველოში ბინები და ხომ არ ჯობს, სამშენებლო კომპანიებმა ფასების დაწევით სცადონ კლიენტების მოზიდვა?**

- რა თქმა უნდა, სამშენებლო ფირმები თავადაც ფიქრობენ თავის გადარჩენას და როგორც ვიცი, დღეს მზად არიან, **ერთი კვ.მ. საცხოვრებელი ფართი 600-800 დოლარად** გაყიდონ, მაგრამ ამ დროს ისინი ეჩეხებიან მეორე პრობლემას. კატასტრო-ფულად გაიზარდა სამშენებლო მასალების ფასი და, რაც მთავარია, სისტემატურად იზრდება არაოფიციალური, ე.წ. შეწერილი ხარჯები. ამავე დროს ძალიან მაღალია საგადასახადო კოდექსით არსებული ოფიციალური გადასახადები. ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, გაყიდვიდან მიღებული თანხების 50%-ზე მეტს შეადგენს. **ეს მართლაც კატასტროფულად მაღალი გადასახადია, რომელსაც ვერ დამალავ სამშენებლო ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე.** აი, ეს არის სამშენებლო კომპანიების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე ასეთი მაღალი ფასების მიზეზი, რამაც ისინი დღეს დილემის წინაშე დააყენა: **ფასებს შეამცირებენ - ოფიციალური და არაოფიციალური გადასახადებისგან გაკოტრდებიან, არ შეამცირებენ და - მყიდველი არ ეყოლებათ და მაინც გაკოტრდებიან.**

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ერთადერთია, სახელმწიფომ სამშენებლო ფირმებს დროებით, კრიზისის დაძლევამდე უნდა შეუმციროს, მინიმუმ გაუნახევროს, ოფიციალური გადასახადები, გაათავისუფლოს ისინი შეწერილი გადასახადებისაგან, რათა ბინების დაბალ ფასში გაყიდვამ, რაც მალე გარდაუვალი პროცესი იქნება, მათი გაკოტრება არ გამოიწვიოს.

**- თქვენ „მამულში“ არაერთხელ გისაუბრიათ იმაზე, რომ სამშენებლო მასალების ხარისხი ძალიან დაბალია. არსებული მდგომარეობა მშენებლობის ხარისხის კიდევ უფრო გაუარესებას ხომ არ გამოიწვევს?**

- რა თქმა უნდა, გამოიწვევს. განსაკუთრებით საშიშია, რომ ეს არ შეეხოს საცხოვრებელი სახლების ისედაც **საეჭვო სეისმომედეგობას. ალბათ, ეკონომიისათვის კიდევ უფრო გაიზრდება უკვე ჟანგმოდებული და კოროზიადაწყებული, მაგრამ შედარებით იაფი არმატურების გამოყენება.** ასევე გაიზრდება პერლიტდანამატიანი სომხური ცემენტის შემოტანა და ამას ხელს შეუწყობს გაზზე ფასის გაორმაგება, რის შედეგადაც ქართული ცემენტის ფასი სომხურთან შედარებით კიდევ უფრო გაიზრდება. აღარაფერს ვამბობ საკედლე მასალების ხარისხზე, რომლებიც ჩვენთან ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

**- ბატონო ანზორ, თქვენ გაქვთ მიწისძვრით დანგრეული სახლების აღდგენისა და ახლად აშენების გამოცდილებაც. რაიმე კონკრეტულ რჩევას ხომ არ მისცემდით ხელისუფლებას, თუ სად და როგორ დააბანდოს დახმარებები, რათა ლტოლვილებისათვის რაც შეიძლება სწრაფად, იაფად და ხარისხიანად აშენდეს საცხოვრებელი სახლები?**

- დახმარებები მართლაც მნიშვნელოვანია, როგორც ვიცი, 1 მილიარდი დოლარის ამერიკული დახმარებიდან 460 მილიონი უკვე შემოვიდა. **მე ახლა მაინც ვიფიქრებდი სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის შექმნაზე, რომელიც თვითონ აწარმოებდა და კოორდინაციას გაუწევდა სამშენებლო სამუშაოებს.** დამიჯერეთ, ასეთი სამშენებლო კომპანიის შემოსვლა სამშენებლო ბაზარზე იქნება დადებითი მოვლენა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჯანსაღ კონკურენციას და მოსახლეობის სასარგებლოდ დაარეგულირებს ფასებს. რაც შეეხება იმას, თუ კონკრეტულად სად უფრო ეფექტური იქნება ამ თანხების ჩადება, ჩემი წინადადება ასეთია: **ლტოლვილთა სახლების სწრაფად და იაფად აშენებისთვის გამოვიყენოთ აწ გარდაცვლილი ცნობილი მშენებლის შოთა ლომიძის მიერ დამუშავებული და საქართველოს მრავალ ქალაქსა და რაიონში განხორციელებული სახლებისა და კოტეჯების მშენებლობა ასაწყობი რკინაბეტონის მოცულობითი ბლოკებით, ანუ მზა ბლოკ-ოთახებით, რომელთა დამონტაჟება ადგილზე პირდაპირ სატრანსპორტო საშუალებიდან მოხდება.** სისწრაფისა და მოხერხებულობის თვალსაზრისით, ასევე ცუდი საგზაო პირობების დროს, განსაკუთრებით საყურადღებოა მშენებლობა მეტალის ბლოკ-ოთახებით, რომლის ძირითადი მზიდი ლითონის ნაკეთობები (კოლონები, რიგელები, განმბრჯენები) მზადდება და ინომრება ლითონის საამქროში, ხოლო აწყობა ხდება ადგილზე. **აუცილებლად დავაფინანსებდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ დაპატენტებულ უნიკალურ ტექნოლოგიებს - აფუებული თიხაფიქალებიდან იაფი და მსუბუქი საკედლე მასალების** (ბლოკი, ფილა) **დამზადებას, აგრეთვე გოგირდის ნადნობში ბამბუკისა და თხმელის ხის ჯიშების გაჟღენთვით ბამბუკისა და თხმელის ხის არმატურის მიღებას,** რომელიც სიმტკიცით ძალიან ძვირადღირებულ ლითონის არმატურასთან არის მიახლოებული. მათგან შესაძლებელია **ბამბუკ-ბეტონებისა** და **თხმელა-ბეტონების** დამზადება, რომელსაც გამოვიყენებთ იაფფასიანი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საცხოვრებელი სახლებისა და შენობების ასაშენებლად.

*ესაუბრა*
თეა ასათიანი

**მაშინ, როდესაც ქვეყანაში მშენებლობების ბუმია, შეიძლება ითქვას ერთადერთი, ყველაზე გამოცდილი და კომპეტენტური სამშენებლო მასალების ხარისხის შემმოწმებელი ლაბორატორია, შესაძლოა, ქუჩაში აღმოჩნდეს. ეს კი, მიმდინარე მშენებლობების ისედაც სავალალო ხარისხიანობაზე დადებითად ნამდვილად არ აისახება. გვესაუბრება ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა ინსტიტუტის ბეტონისა და რკინაბეტონის განყოფილების გამგე** არჩილ ყუბანეიშვილი.

# აქ დამზადებული არმატურა შუაზე წყდება!

**- ბატონო არჩილ, როგორც ვიცი, თქვენი ლაბორატორია ერთადერთია დღეს საქართველოში, რომელიც სამშენებლო მასალების ხარისხს ამოწმებს...**

- ერთადერთს ვერ ვიტყვი, რადგან არსებობს სხვა ლაბორატორიებიც, მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტი გამოცდილება და შესაძლებლობები გვაქვს, ჯერ კიდევ...

**- რატომ, ჯერ კიდევ?**

- იმიტომ, რომ შენობიდან გვყრიან! ჩვენ ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა ინსტიტუტი ვართ. **ასეთი ინსტიტუტი რომ არ არსებობდეს, სახელმწიფო მის დაარსებაზე უნდა ზრუნავდეს, არათუ უკვე არსებულის განადგურებაზე.** რაც კავკასიაში, შუა აზიაში ჰიდროელექტროსადგურები შენდებოდა, სამუშაოებს სწორედ ჩვენ ვამოწმებდით. თქვენ წარმოიდგინეთ, ციმბირშიც კი ვიყავით. **როდესაც „ენგურჰესი“ შენდებოდა, ლამის მთელი ინსტიტუტი იქ ვიჯექით.** ერთ მისხალ ბეტონს ვერ ჩაასხამდნენ, თუ ჩვენ არ შევამოწმებდით. **ათასობით კუბმეტრი ბეტონი გადაყრილ იქნა იმის გამო, რომ ჩვენ ხარისხს ვიწუნებდით.** მერე არაფერი... დაინგრა ეს ქვეყანა. 1990 წლიდან სახელმწიფომ საერთოდ მოგვიცილა, ბიუჯეტიდან დაფინანსებას არ ვიღებთ, სამუშაოს თავად ვეძებთ.

**- ბატონო არჩილ, ჩვენს გაზეთში ბატონმა ანზორ საკანდელიძემ თბილისში მიმდინარე მშენებლობების ხარისხიანობიდან გამომდინარე შემაშფოთებელი პროგნოზები გააკეთა. რას იტყვით, სიტუაცია მართლაც ასეთი საგანგაშოა?**

- საქმე იმაშია, რომ როგორც იქნა, მშენებლების თავამდე დავიდა ის, რომ მათ საქმეში რეკლამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ისე მოხდა, რომ ახლა მთლიანად რეკლამაზე არიან გადართულნი. ამ გზით ცდილობენ, თავიანთი ნაშენები როგორმე გაასაღონ. ხარისხზე კი, რა მოგახსენოთ...

**- ბატონმა ანზორმა ცემენტის უვარგისობაზეც საკმაოდ დამაფიქრებელი განცხადებები გააკეთა.**

- დღეს საქართველოში არის ძალიან ბევრი **შპს**, რომელიც ცემენტს ამზადებს. რუსთავის ცემენტის ქარხნის მარჯვენა მხარეს რომ ჩაიაროთ, 5-6 ცემენტის მწარმოებელ **შპს**-ს ნახავთ, რომლებიც რუსთავის ცემენტის ქარხანაში გადაყრილ ნაგავს ხვეტენ, ტომრებში ყრიან და ყიდიან. ცემენტს რომ **შპს** აწარმოებდეს, ასეთი რამ არცერთ ქვეყანაში არ გამიგია, მაგრამ თბილისში ყველაფერია. **ეს კი არა, აქ არმატურასაც ამზადებენ.**

**- სამშენებლო კომპანიები ამ ცემენტსა და არმატურას იყენებენ?**

- ვისაც უჭირს, ყველა ამას იყენებს, რადგან ძალიან იაფია. **ვინც ჩემთან მოდის შემოწმებაზე, ყველას ვაფრთხილებ, რომ მათი გამოყენება დაუშვებელია. არმატურას რომ გაჭიმავ, როგორც რეზინს, დენადობა უნდა ჰქონდეს.** აქ დამზადებულ არმატურას კი, დენადობა საერთოდ არა აქვს, როგორც კარაქი გაგიჭრიათ, შუაზე ისე წყდება.

**- თქვენ რომელი ფირმის ცემენტის გამოყენებას ურჩევთ მომხმარებელს?**

- **რუსთავისა და კასპის.** რუსთავის ცემენტის ქარხანაში ამჟამად გერმანელები მუშაობენ, რომლებიც კარგ ცემენტს ამზადებენ. ვერაფრით გამოვტეხე ერთი მშენებელი, რომელიც საშინელი ხარისხის ბეტონს იყენებდა, თუ საიდან შოულობდა ასეთ უვარგის ცემენტს. **მითხრა, რუსთავის ქარხნის ცემენტს ვიყენებო. ბოლოს, იძულებული გახდა და გამოტყდა - ერთი შპს-ა, ხუთ რაკეტა ცემენტს რომ ვიყიდი, მეექვსეს უფასოდ მაძლევენო.**

**- არმატურაზე რა შეგიძლიათ ურჩიოთ მშენებლებს?**

- აქაური არცერთი არ ვარგა! დღეს არმატურა ძირითადად უკრაინიდან შემოდის, ცოტა ბელორუსიდან და მოლდავეთიდან. ისინი ევროსტანდარტებით მუშაობენ და ძალიან მაღალი სიმტკიცის არმატურას უშვებენ.

**- ბატონო არჩილ, სახელმწიფო კონტროლის რა მექანიზმი არსებობს ამ სფეროში?**

- არავითარი. ეკონომიკის სამინისტროში ზის მხოლოდ სამი ახალგაზრდა ბიჭი. საქმე იმაშია, რომ, წესით, ამ სფეროს სახელმწიფო არც უნდა აკონტროლებდეს. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ სადაზღვევო კომპანიები. დღეს კვადრატული მეტრის ფასი 1500 დოლარამდე ავიდა, მაგრამ არანაირი გარანტია არ არსებობს. გარანტიებს კი, სწორედ სადაზღვევო კომპანიები უნდა იძლეოდნენ. ასე ხდება საზღვარგარეთ, ამ სფეროს სწორედ სა-დაზღვევო კომპანიები აკონტროლებენ.

**- გასაგებია, მაგრამ სახელმწიფოც ხომ არის ვალდებული, რაღაც მექანიზმით დაიცვას საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე?**

- ეს ისეთ განვითარებულ ქვეყანაშიც კი არ ხდება, როგორიც ამერიკაა. სამშენებლო ბიზნესს მთლიანად სადაზღვევო კომპანიები აკონტროლებენ.

ჩვენთან მშენებლობებს არავინ აკონტროლებს, არც - სახელმწიფო და არც - სადაზღვევო კომპანია. სახელმწიფო ვერავის ვერაფერს აიძულებს, მაგრამ ის კი შეუძლია, რომ სადაზღვევო კომპანია რაღაც ფორმით ვალდებული გახადოს, რომ ეს გააკეთოს.

**- ბატონო არჩილ, შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ, ყველაზე ხშირად სამშენებლო მასალების ხარისხის შესამოწმებლად რომელი სამშენებლო კომპანიები მოგმართავენ?**

- სამწუხაროდ, ქართული სამშენებლო კომპანიები ამ მხრივ დიდ სიძუნწეს იჩენენ, ფულის დახარჯვა ენანებათ. არადა, ჩვენი მომსახურება სულ რაღაც 50 ლარი ღირს. **დღეს არსებული ქართული სამშენებლო კომპანიებიდან, ყველაზე დიდი, ათი პროცენტი თუ აკეთებს სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლს.** სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ საზღვარგარეთული კომპანიები. თუმცა, არის ხოლმე გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, ასეთი გამონაკლისი იყო აეროპორტის მშენებლობა. როგორც იცით, ის თურქულმა კომპანიამ - „ტავ ურბან ჯორჯიამ“ ააშენა. **ამ კომპანიის წარმომადგენლები ხარისხის შესამოწმებლად ჩემთან დადიოდნენ, მაგრამ ბეტონთან არ მიმიშვეს, მხოლოდ არმატურის ხარისხს ამოწმებდნენ.** აეროპორტს ქარმა რომ სახურავი ახადა, ეს არაფერი არ არის. იქ სხვა, გაცილებით დიდი საშიშროება არსებობს.

**ამ შენობას აქვს უზარმაზარი ლითონის კონსტრუქციები, ეგრეთ წოდებული ლითონის ფერმები.** როდესაც ამ ლითონის ფერმებს აკეთებდნენ, ჩემთან მოვიდნენ, ლითონის შედუღება შეგვიმოწმეთო. ვუთხარი, რომ ამას მე არ ვაკეთებ, ტექნიკურ უნივერსიტეტში შედუღების კათედრაა და მათ მიაკითხეთ-მეთქი. მე თავად დავუკავშირდი ამ კათედრას. ვუთხარი, რომ შედუღების შემოწმებისთვის მიაკითხავდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ იქ ისევ გადავრეკე, დავაინტერესე, შემოწმება გაკეთდა თუ არა. **მიპასუხეს, რომ შემოწმება არ გაკეთებულა.**

სახურავი რა პრობლემაა, ბოლოს და ბოლოს წყალი ჩამოვა და ეგ იქნება. **აი, ის ლითონის კონსტრუქცია რომ ჩამოინგრეს, საშინელება მაშინ იქნება.** გახსოვთ, ალბათ, მოსკოვში „აკვაპარკი“ რომ დაინგრა, ისიც თურქების აშენებული იყო. თუმცა, ქართველს დააბრალეს და ციხეში ჩასვეს.

საინტერესო ის არის, რომ დღეს „ივერიას“ აშენებს იგივე თურქული კომპანია, რომელმაც აეროპორტი ააშენა, ოღონდ სახელი შეიცვალეს - „ტავ ურბან ჯორჯია“ - „უჩქენ ჯორჯია“ გახდა.

როდესაც ამ კომპანიის წარმომადგენლები ჩემთან მეორედ მოვიდნენ, ვკითხე - თქვენ ჯერ კიდევ არ დაგიჭირეს-მეთქი? რატომ უნდა დავეჭირეთ, ჩვენ ახლა სხვა კომპანია - „უჩქენ ჯორჯია“ ვართო, და როგორც გითხარით, ასაშენებლად ახლა „ივერია“ მისცეს. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ „ივერიაზე“ ქართველი ბიჭები მუშაობენ და, შეძლებისდაგვარად, ცდილობენ, ყველაფერი ხარისხიანად გააკეთონ.

*ესაუბრა*
ნონა ბენდელიანი



# სამშენებლო ბიზნესი რომ არ გაჩერდეს, მათ მოსახლეობისათვის მისაღებ ფასებში უნდა დაიწყონ ბინათმშენებლობა

**მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილმა მასალებმა სამშენებლო ბიზნესში არსებულ პრობლემებზე. განვაგრძობთ საუბარს და გვესაუბრება ეკონომიკური საკითხების პროფესიონალი ექსპერტი თამაზ აქუბარდია.**

- თუ გახსოვთ, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ პირველ წელს ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული შეზღუდვები იყო. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ახალ ხელისუფლებას არ სურდა, მისი კონტროლისა და ყურადღების გარეშე განვითარებულიყო ეს ბიზნესი. შემდეგ უკვე მოხდა ლიბერალიზაცია, ხელისუფლებამ უპრობლემოდ, ძალიან ადვილად დაიწყო მიწების გამოყოფა იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც სამშენებლო ბიზნესში დებდნენ ფულს. ამან სერიოზული ბიძგი მისცა ფართომასშტაბიანი მშენებლობების დაწყებას, მითუმეტეს, 2004 წლის 25 აპრილის მიწისძვრით გამოწვეული ნგრევის შემდეგ.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ **2005 წლიდან ხელისუფლება აკონტროლებს სამშენებლო ბიზნესს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზებით.** სამშენებლო ბიზნესში არიან ისეთი პიროვნებებიც, რომელებიც, ერთი შეხედვით, წარმატებულ და დამოუკიდებელ ბიზნესმენებად ითვლებიან, მაგრამ ხელისუფლება მათთან ლოიალურია და ასე რომ არ იყოს, წარმატებული ბიზნესი ნამდვილად ვერ ექნებოდათ.

**- რამ განაპირობა სამშენებლო ბიზნესის წარმატება ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს? ვის შეუძლია ჩვენთან ბინების ყიდვა?**

- დღეს ყველაზე კარგი ხელფასი მინისტრებსა და პარლამენტარებს აქვთ. პარლამენტარი თვეში 3 000 ლარს იღებს. თუ ჩვენ 3 000 ლარს გავამრავლებთ 12 თვეზე და შემდეგ კიდევ გავამრავლებთ 4 წელიწადზე (ანუ იმ ვადაზე, რა ვადითაც არჩეული არიან საკანონმდებლო ორგანოში), გამოდის, რომ მას, პარლამენტში მოღვაწეობის 4-წლიან ვადაში, თავისი საკმაოდ მაღალი ხელფასით შეუძლია **144 ათასი ლარის ღირებულების მქონე ბინის შეძენა, ოღონდ ისე, რომ ხელფასი დაბეგვრის გარეშე მიიღოს და მხოლოდ ბინის ძირის გადახდას მოანდომოს.** მაშ, რატომ არის მშენებლობის ასეთი ბუმი? მეორე მიზეზი ბინებზე მოთხოვნის გაზრდისა არის ის, რომ უძრავი ქონების ყიდვა ფულის შენახვის ყველაზე საიმედო საშუალებად ითვლება, ამიტომ ბევრმა, ვინც ფული იშოვა, მცირე და საშუალო ბიზნესში მის დაბანდებას, ამ სფეროში დაბანდება არჩია. აღარაფერს ვამბობ დიდ ბიზნესმენებზე, რომელთაც იმდენი ბინები აქვთ, რომ მთელ საქართველოს უბინაო მოსახლეობას ეყოფა. თუმცა, ამ ადამიანების რაოდენობა მაინც არ არის იმდენი, რომ ასეთი დიდი მოთხოვნა იყოს ბინებზე. მათ დაემატნენ საქართველოდან წასულები, რომლებიც საზღვარგარეთ არცთუ ისე ცუდად მოეწყვნენ და მოახერხეს ბინების ყიდვა მანამ, სანამ მათი ფასები ასეთ კატასტროფულ პიკს მიაღწევდა. ვიცი, რომ **საქართველოში ბინებს ყიდულობენ უცხოელებიც, ძირითადად თურქები, ბერძნები, ჩინელები. გერმანელები და ამერიკელებიც ბევრია.** მაგალითად, თბილისში, ჩიტაძისა და ჭონქაძის ქუჩის კუთხეში მშვენიერი ბინა შენდება სპეციალურად უცხოელებისათვის და უკვე ყველა ბინა გაყიდულია, რადგან 100-150 ათასი ევრო მათთვის სულაც არ არის ძნელი გადასახდელი. მოგვიანებით ამ ბინათმშენებლობას შეეწივნენ ბანკებიც, რომლებმაც ასევე ძალიან მარტივად დაიწყეს სესხების გაცემა და დღეს სამშენებლო ბიზნესში საბანკო რესურსზე საკმაოდ დიდი წილი მოდის. აი, ყოველივე ამან განაპირობა ბინებზე მოთხოვნის ზრდა და მოთხოვნის ზრდასთან ერთად გაიზრდა ფასიც.

შეიძლება ითქვას, რომ **დღეს საქართველოში ბინებს სპეკულაციურად მაღალი ფასი აქვს.** პოსტკომუნისტურ სივრცეში ასეთი ძალიან მაღალი ფასები არის მხოლოდ ოთხ ქვეყანაში: **რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში,** სადაც ერთი კვადრატული მეტრის ფასი **2 000 დოლარამდე აღწევს**. ფასების ასეთ ზრდას, მოთხოვნის ზრდასთან ერთად სხვა ფაქტორიც უწყობს ხელს. უმთავრესი მიზეზი ფასების ზრდისა არის ის, რომ საქართველოში ბიზნესის ყველა დარგი და მათ შორის, სამშენებლო ბიზნესიც მონოპოლიზებულია. სპეციალისტებისგან ვიცი, რომ **1 კვ.მ. ფართის აშენება 200 დოლარზე მეტი არ ჯდება.** ამაში გათვალისწინებულია მოგებაც. წარმოგიდგენიათ, რამდენ პროცენტიან მოგებაზე მუშაობენ სამშენებლო კომპანიები?

**ჩემთვის გასაოცარია, თავად სახელმწიფო რატომ არ ჰკიდებს ხელს ისეთ სერიოზულ საქმეს, როგორიც ბინათმშენებლობაა? სახელმწიფომ რომ დააფუძნოს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებს უბინაო მოსახლეობაზე, გარწმუნებთ, რომ ძალიან კარგი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის და ხალხიც მადლიერი დარჩება. ცხადია, რომ აქაც იქნება კორუფცია, მაგრამ მაინც დიდი შეღავათია, როცა 1 კვ.მ. 200 დოლარზე მეტი არ ეღირება.**

ფასებთან დაკავშირებით მინდა კიდევ ერთი რამ ვთქვა: **დოლარის კურსის ვარდნა და ბოლო ორი არჩევნები ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია იმისა, რომ ბანკებმა სესხებზე საპროცენტო განაკვეთები გაზარდეს.** თუ ადრე 17-18% იყო წლიური განაკვეთი, დღეს უკვე 36%-ია და ისიც ისე იოლად ხელმისაწვდომი არ არის, როგორც ადრე იყო. ეს 36% კარგად ასახავს ჩვენს რეალობას. დღეს ოფიციალურად გამოცხადებული ინფლაციის დონე **18 პროცენტია,** ამას დავუმატოთ ის **12 პროცენტი,** რითაც ეროვნული ბანკი გასცემს სესხს და პლუს 6 პროცენტი - ბანკების მოგება. ასე რომ, ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების გაზრდა ნორმალური გადაწყვეტილებაა, მაგრამ ძალიან ცუდი დრო დადგა მათთვის, ვინც ბანკიდან გამოტანილი სესხით აპირებს ბინათმშენებლობას.

ბუნებრივია, ეს გამოიწვევს მსურველთა რაოდენობის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, პრობლემას შეუქმნის სამშენებლო კომპანიებს. ბევრი სამშენებლო კომპანია ამას ვერ გაუძლებს. **კრიზისისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ფასების დაწევაა.** ვფიქრობ, რომ ახალ წლამდე ბინებზე ფასები უნდა დავარდეს, მაგრამ რამდენიმე კომპანია მაინც გაკოტრდება! **პატარა კომპანიები ნამდვილად ვერ შეძლებენ ბიზნესის გაგრძელებას, მათთვის ფასის დაგდება გაკოტრების ტოლფასი იქნება, მსხვილი კომპანიები, ალბათ, უფრო მედგრად დადგებიან.**

ამერიკაში სერიოზული იპოთეკური კრიზისია, მაგრამ ამერიკის ხელისუფლებამ მოახერხა გამოსავალის მოძებნა. ამერიკის ეროვნულმა ბანკმა გამოაცხადა, რომ მზად არის, დაეხმაროს იმ ბანკებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ გაცემული სესხების გამო აღმოჩნდნენ კრიზისის პირას. ის ასეთ ბანკებს გამოუყოფს სესხს 25 მილიარდი დოლარის ოდენობით და თუ ესეც ვერ დაეხმარებათ კრიზისის დაძლევაში, ამერიკის ცენტრალური ბანკი მზად არის, რომ შეისყიდოს ეს ბანკები. **არ ვიცი, რას მოიმოქმედებს ჩვენი ხელისუფლება მოსალოდნელი კრიზისის დასაძლევად, მაგრამ თუკი ჩვენ გამოვალთ იქიდან, რომ საქართველოში არსებული სამშენებლო კომპანიები ხელისუფლების სატელიტი კომპანიები არიან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლება მათ გადასარჩენად ყველაფერს გააკეთებს.** მიუხედავად ამისა, საპროცენტო განაკვეთების ზრდის გამო, სამშენებლო ობიექტებზე მოთხოვნის შემცირება გარდაუვალია. მოთხოვნის შემცირებას კი ფასების შემცირება უნდა მოჰყვეს. **თუ ერთი კომპანია „აფეთქდა", ეს დომინოს პრინციპით სხვასაც გადაეცემა.** ეკონომიკაში სერიოზული რყევა რომ არ მოხდეს, ამიტომ სახელმწიფომ უნდა გადადგას ის ნაბიჯი, რაც ზემოთ გითხარით - თავადაც უნდა მოჰკიდოს ხელი მშენებლობას, რომ სოციალურად დაუცველ ფენებს დაეხმაროს. ეს შეიძლება მოხდეს იმის ხარჯზეც, რომ **ყოველი მშენებლობიდან 5 პროცენტი გადაეცეს მერიას დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობისათვის!**

**- თქვენი ვარაუდით, სამშენებლო ბიზნესიდან ბანკებსაც საფრთხე ემუქრებათ?**

- ჩემთვის, იცით, რა არის გაუგებარი? სამშენებლო კომპანიები სახლების ასაშენებლად სესხულობენ ბანკიდან ფულს და მყიდველებიც იმავე ბანკიდან იღებენ ფულს, რომ გადაუხადონ სამშენებლო კომპანიებს. ეს უკვე ნონსენსია. რაღაც მომენტში შეიძლება, ბანკს აწყობდეს ამ სესხების გაცემა და მოგების მიღება, მაგრამ ეს ხომ პირამიდის მშენებლობის თამაშს ჰგავს, ბანკები ამით ცეცხლს ეთამაშებიან. **თუ რამდენიმე სამშენებლო კომპანია გაკოტრდა, ეს აუცილებლად ბანკებსაც დაარტყამს, რადგან ისინი გადახდისუნარიანები ვერ იქნებიან და ვალები ვალებად დარჩებათ.** ეს პროცესი ხელისუფლებისა და, კერძოდ, ეროვნული ბანკის მიერ უნდა ყოფილიყო გაკონტროლებული, მაგრამ ასე არ მოხდა და არ ვიცი, რატომ - ან თავიდანვე შეცდომა იქნა დაშვებული ან კორუფციულ გარიგებას ჰქონდა ადგილი. **ყველაზე მეტად მაინც მოსახლეობა დაზარალდება, რადგან ბანკები პასუხს მოსთხოვენ მას, ვისთანაც გაუვათ, ხელისუფლებისგან „დაკრიშულ" სამშენებლო კომპანიებს კი პასუხს არავინ მოსთხოვს.**

**- როგორც წარმოგიდგენიათ სამშენებლო ბიზნესის განვითარება იმ პირობებში, როცა, მაგალითად, თბილისში, თავისუფალი, გასაყიდი ტერიტორია პრაქტიკულად აღარ არის დარჩენილი?**

- კარგი შეკითხვაა. **ალბათ, მიხვდება ჩვენი მოსახლეობა, რომ ცენტრში ცხოვრებას აზრი აღარ აქვს - კორპუსები ისე ახლო-ახლოა ერთმანეთთან, რომ გვერდით კორპუსის მეზობელთან გამარჯობის თქმა პირდაპირ აივნიდან ხელის გაწვდენით შეიძლება.** სასუნთქი ჰაერი აღარ არის. მთელი აღმაშენებლის გამზირი ასაღები და განსაახლებელია. იმედია, იქ მაინც მოხდება კორპუსების ნორმალური დაგეგმარება. საერთოდ, კორპუსის პირველ სართულზე და მიწისქვეშ უნდა იყოს გარაჟები, რომ ავტომობილების გაჩერების პრობლემა არ შეიქმნას. ამხელა სახლები შენდება, ამხელა თანხებს იხდის ხალხი და ამ ბინებში გათბობის პრობლემაც კი არ არის მოგვარებული. ყოველ კორპუსს უნდა ჰქონდეს ავტონომიური, ცენტრალიზებული გათბობის სისტემა. თითოეული კორპუსისთვის საქვაბის მოწყობა 3 000 დოლარზე მეტი არ ღირს, მაგრამ ამასაც ვერ იმეტებენ, მაშინ როცა **ერთ კვ.მ.-ში 2 000 დოლარს** ახდევინებენ ხალხს.

**სამშენებლო კომპანიებს მინდა ვუთხრა ერთი რამ: გასაგებია, რომ ფულის კარგად დაბინავების საშუალება მისი უძრავ ქონებაში ჩადებაა, მაგრამ ეს ნიში მალე შეივსება და სამშენებლო ბიზნესი რომ არ გაჩერდეს, მათ სოციალურად შედარებით დაბლა მყოფი მოსახლეობისათვის მისაღებ ფასებში უნდა დაიწყონ ბინათმშენებლობა.**

*ესაუბრა*
**თეა ასათიანი**

# შევხვდეთ გიორგობას ერთად!

## ერთად ანთებული 500 სანთლით შევთხოვოთ უფალს სამშობლოს გადარჩენა, ვილოცოთ დაღუპულთა სულებისათვის!

# რაც უფრო გაჭიანურდებიან კომპანიები გაიაფებას, მით უფრო მალე გაკოტრდებიან!

**საქართველოს ბიუჯეტი რამდენჯერმე გაიზარდა, თუმცა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ეს ცვლილება ჯერჯერობით ნამდვილად არ დასტყობია. რატომ?**

**გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა.**

2004 წლიდან მოყოლებული, ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები იყო თავდაცვის სისტემისა და მართლწესრიგის განმტკიცება. ჩემი ღრმა რწმენით, ეს სწორი ნაბიჯი გახლდათ. არ შეიძლება, სახელმწიფო გერქვას, და ჯარი იყოს მშიერი, ჩაუცმელი, უსწავლელი, მითუმეტეს, ისეთ სახელმწიფოში, რომელსაც აქვს ტერიტორიული კონფლიქტები. **არ ვარ სამხედრო ექსპერტი და ვერ გეტყვით, რამდენად სრულყოფილია ჩვენი ჯარი, მაგრამ ბრმა უნდა იყო, ვერ დაინახო, რომ დღეს ჩვენი ჯარი შეიარაღებულიც არის, ჩაცმულიც და გამოკვებილიც; დეზერტირების თემაც მოხსნილია.** სამწუხარო ისაა, რომ ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა დააზარალა სხვა მიმართულებები, მათ შორის, სოციალური სფერო, თუმცა 2008 წლის ბიუჯეტის პროექტში, რომელიც 2007 წლის დეკემბერში განიხილეს პარლამენტში, პრიორიტეტები თავდაცვიდან და პოლიციიდან სოციალურ სფეროზე გადავიდა.

**- თქვენი გამოანგარიშებით, რამდენი პროცენტია საქართველოში ინფლაცია?**

- საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ წლიური ინფლაცია 12%-ის ფარგლებშია, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ინფლაციის მაჩვენებელი არის ბევრად უფრო მაღალი - რეალურთან შედარებით და სულ ცოტა ერთი მესამედით მაინც არის შემცირებული. რას ვგულისხმობ? იანვრის თვეში, როცა სტატისტიკის დეპარტამენტში ერთი თვის ინფლაცია დათვალეს, გამოვიდა 3,4%, მაგრამ 2,5% გამოქვეყნდა. დღეს, როცა ჩვენი მთავრობა აქვეყნებს 12%-ს, ე.ი შეიძლება სადღაც 18%-ზე მეტი იყოს. ამასთან, ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია, რომ **საბანკო პროცენტი ინფლაციაზე მაღალი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკები გაკოტრდებიან.** როცა დღეს ბანკები აფიქსირებენ წლიურ 36%-იან განაკვეთს, ეს იმას ნიშნავს, რომ სადღაც 30-32%-მდე არის ბანკების მიერ შეფასებული ინფლაცია. ერთი სიტყვით, მე გითხარით წლიური ინფლაციის ქვედა ზღვარი - 18% და ზედა ზღვარი - 32%. მაღალი ინფლაცია კი ხელს უწყობს საგადასახადო შემოსავლების ზრდას.

**- ბატონო ლადო, კულუარებში ამბობენ, რომ ბიუჯეტში ფული არ არისო...**

- ბიუჯეტთან მიმართებაში ამას ვერ ვიტყვი, თუმცა, ბანკებში ეს პრობლემა ნამდვილად არის, რასაც მოწმობს არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთების ზრდა, არამედ ისიც, რომ ბანკებმა კომუნალური გადასახდელების მომსახურებაზე საკომისიო დააწესეს. ცალკეულმა დიდმა ბანკებმა დაიწყეს გათამაშებებიც, ხალხს ჰპირდებიან, ფული შემოიტანეთ, პროცენტს დავარიცხავთ და გათამაშებით შეიძლება მილიონერიც გახდეთო.

**- საუბრობენ იმაზეც, რომ საქართველოში იპოთეკური კრიზისია მოსალოდნელი...**

- იპოთეკური პრობლემები ჩვენთან ნამდვილად არის. **როგორც ჩანს, საქართველოში არსებობს რამდენიმე სამშენებლო კომპანია, რომელიც პირამიდის პრინციპით მუშაობს, ანუ ახალი სახლის მშენებლობას იწყებს იმიტომ, რომ მიღებული ფულით ძველი სახლის მშენებლობა დაასრულოს.** ამ დროს კი, ბანკებმა სესხის გაცემის პირობები გაართულეს, პროცენტიც გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ **სამშენებლო ბიზნესში ფულის შემტანი ნაკლები იქნება, რადგან მთელი სამშენებლო ბიზნესი აგებულია სესხებზე.** ალბათ, მოისმინეთ, რას ჰპირ-დება ბოლო დროს ზოგიერთი სამშენებლო კომპანია ხალხს: **ოღონდ ფული შემოიტანეთ და არა მხოლოდ სახლს აგიშენებთ, მაღალ მოგებასაც მოგცემთო.** მკითხველს მინდა ვუთხრა, **თუ თქვენ ტელევიზიით მოისმენთ ასეთ რეკლამას, იცოდეთ, რომ ყველა ასეთ კომპანიას ძალიან უჭირს.**

**- რა შეიძლება გაკეთდეს, რომ იპოთეკური კრიზისი ავიცილოთ თავიდან?**

- სამშენებლო კომპანიები ამ პრობლემას პროდუქციაზე ფასის გაზრდით ვერ გადაჭრიან, ასეთ შემთხვევაში, საერთოდ დაკარგავენ კლიენტებს. ვფიქრობ, რომ **ბინების გაიაფება ავტომატურად მოხდება. რაც უფრო იხტიბარს არ გაიტეხენ და გაუძალიანდებიან ცალკეული კომპანიის წარმომადგენლები ამას, მით უფრო მალე გაკოტრდებიან.**

*ესაუბრა*
**თეა ასათიანი**

# თუ ეს საომარი მდგომარეობა გაგრძელდება, მშვიდობა და სტაბილურობა არ იქნება, უძრავი ქონება ძალზე გაიაფდება

**მოსკოვში ერთი კილოგრამი ოქროს ფასად მხოლოდ 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის შეძენა შეიძლება, - იტყობინება გაზეთი „ნოვიე იზვესტია". პესიმისტური პროგნოზები მოსკოვში შემოდგომაზე საცხოვრებელი ფართის ფასების გაზრდასთან დაკავშირებით არ გამართლდა. თუკი ადრე ერთი კვადრატული მეტრი ფართი კვირაში საშუალოდ 1 პროცენტით ძვირდებოდა, ბოლო კვირების განმავლობაში მხოლოდ 0,8 პროცენტით აიწია ფასმა და უძრავი ქონების ბაზრის ანალიტიკოსები შემოდგომაზე ფასების კიდევ უფრო აწევას აღარ ვარაუდობენ. ისინი უფრო მეტ მიზეზს ხედავენ საიმისოდ, რომ ამ სფეროში სტაგნაცია გაგრძელდეს. მათი დასკვნით, საცხოვრებელი ფართების ფასის ზრდა ვალუტის კურსის ცვალებადობასთანაც არის დაკავშირებული, რაც უფრო მყარი იყო ვალუტა, მით უფრო ნაკლებად ძვირდებოდა ბინა ამ ვალუტაში.**

**რა ხდება საქართველოში? როგორ იმოქმედა ომმა უძრავი ქონების ბაზარზე? მოსალოდნელია თუ არა პრობლემები სამშენებლო ბიზნესში და საერთოდ, რა პერსპექტივები აქვს მას? - ამ საკითხზე, უძრავი ქონების ექსპერტს, გურამ ფალავანდიშვილს ვესაუბრებით.**

**- ბატონო გურამ, როგორც რუსული პრესა იტყობინება, მოსკოვში საცხოვრებელ ფართს მსოფლიოში თითქმის ყველაზე მაღალი ფასი აქვს. უძრავ ქონებას ძალიან მაღალი ფასი აქვს საქართველოშიც. რა განაპირობებს უძრავ ქონებაზე ფასის ზრდას?**

- საქართველოში, საბჭოთა კავშირის დროს რუსეთთან შედარებით, ბინები ყოველთვის ძვირი იყო, რადგან ცხოვრების დონით საქართველო ყოველთვის სჯობდა რუსეთს. თუმცა, იყო დრო, როცა საქართველოში ბინები ძალიან იაფი ღირდა. **ვაკეში ერთ კვადრატულ მეტრს 200-300, მაქსიმუმ 500 დოლარად იყიდდი.** საომარ პირობებში, არასტაბილურ გარემოში უძრავი ქონების ბაზარი ძალიან იაფდება. საერთოდ, უძრავი ქონება ძვირი უნდა ღირდეს. ევროპაში, სადაც ცხოვრების დონე მაღალია, ბინებიც ძალიან ძვირია, ხოლო ჩეჩნეთში, ინგუშეთში, სომალიში და მსგავს ქვეყნებში ბინების ფასი ძალიან დაბალია. ცუდია, როცა ძვირდება კარაქი, პური და სხვა საკვები პროდუქტები, მაგრამ თუ ჩვენს უძრავ ქონებას - მიწას და ბინას ფასი არ ექნება, ეს უფრო ცუდია. **ასეთ შემთხვევაში შეიძლება, ჩამოვიდეს ერთი არაბი მილიონერი და მთელი საქართველო იყიდოს**. საქართველო არაჩვეულებრივი ქვეყანაა, შესანიშნავი კურორტებით, კარგი კლიმატით, ამიტომ საქართველოში უძრავი ქონება ძვირი უნდა ღირდეს, მაგრამ ხალხს უნდა ჰქონდეს ფული.

თუ ეს საომარი მდგომარეობა გაგრძელდება, მშვიდობა და სტაბილურობა არ იქნება, უძრავი ქონება ძალიან გაიაფდება.

**- როგორც ამბობენ, ევროპასა და ამერიკაში ბოლო პერიოდში ბინების ფასი შედარებით დაეცა, თუმცა, ცხოვრების დონე ამ ქვეყნებში ძალიან მაღალია...**

- ბინების გაიაფება ხდება ორ შემთხვევაში - პირველი, თუ ცხოვრების დონე დაბალია და მეორე, თუ ბინების ბაზარი გაჯერდა, ანუ თუ ბევრი ბინა აშენდა და მიწოდება ჭარბობს მოთხოვნას. **ნიუ-იორკში იმდენი ბინა აშენდა, რომ ფასები დაეცა.** საერთოდ, ასეა, 5-7 წელი ბინები ძვირდება, მერე ამდენივე პერიოდის განმავლობაში იაფდება. საქართველოში ჯერჯერობით მოთხოვნა ბევრად მეტია, ვიდრე მიწოდება. **მოსახლეობის 99 პროცენტს უნდა ბინა, მაგრამ ფული არა აქვს.**

**- და თუ ხალხს ფული არა აქვს, ვინ ყიდულობს ამდენ ბინებს? ფაქტია, რომ ძალიან ბევრი მშენებლობაა თბილისში. ამბობენ იმასაც, რომ საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე მყიდველები ძირითადად უცხოელები არიან.**

- უცხოელები საქართველოში ძირითადად მიწის ნაკვეთებს ყიდულობენ, ბინების შეძენით ნაკლებად არიან დაინტერესებული. ჩვენს ხალხს ჰქონდა ფული მანამ, სანამ ბანკებში ფული იყო. **ახლა ბანკებში ფული აღარ არის და ხალხსაც გაუჭირდა მშენებლობებში ფულის ჩადება.**

**- ბანკებში იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების გაზრდის გამო უძრავ ქონებაზე მოთხოვნა შემცირდა?**

- რა თქმა უნდა, შემცირდა. ბანკებში საპროცენტო განაკვეთები იმიტომ კი არ გაიზარდა, რომ უძრავი ქონება ბევრია და მოთხოვნას გადააჭარბა, **ეს პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, არჩევნებმა და გაფლანგულმა ფულებმა განაპირობა.** უცხოეთიდან ფულის ნაკადი შემცირდა. ამას თან დაერთო რუსეთთან ომი. ახლა, თუ ფული შემოვა, მოთხოვნა ისევ გაიზრდება. ხოლო თუ ბანკებში ფული არ შემოვიდა, ეს ძალიან მძიმედ აისახება მათზეც, სამშენებლო კომპანიებზეც და ხალხზეც! ვფიქრობ, რომ ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის, პირიქით, ამ ომმა შეიძლება გამოგვიყვანოს იმ ეკონომიკური კრიზისიდან, რომელიც გველოდა. **არჩევნების დროს დახარჯული და გაფლანგული ფულების გამო არავინ დაგვეხმარებოდა, ახლა კი, ეს თემა არავის ახსოვს, ახლა ომია მთავარი. ომმა დიდ ზარალთან ერთად დიდი ფინანსური დახმარებაც მოგვიტანა.**

**- საბჭოთა კავშირის დროს აშენებულ ბინებზე არის მოთხოვნა?**

- რა თქმა უნდა, არის. **ფასების მხრივ, საბჭოთა კავშირის დროინდელი ბევრი ბინა ახალაშენებულ ბინებს არც ჩამოუვარდება.** ბევრი მათგანი ისევ ინარჩუნებს პრესტიჟული კორპუსის სტატუსს. თუმცა, უფრო მეტად მაინც ახალი უნდათ.

**- საცხოვრებელი ფართის შეძენის მსურველები მშენებლობის ხარისხით თუ ინტერესდებიან?**

- მდიდრები ინტერესდებიან, ღარიბები - არა! არის ხალხი, რომელთათვის მთავარია, სახურავი ჰქონდეთ და მეტი არაფერი. ჩვენ ვმუშაობთ ელიტარულ ბინებზე, სადაც ხარისხი ნამდვილად გარანტირებულია. **თუ ერთი კვ.მ. საცხოვრებელი ფართი 2 000 დოლარზე ნაკლები ღირს, ის საცხოვრებელი ბინა უკვე დაბალი დონისაა, ხოლო თუ 600 დოლარზე იაფია, ჯობს, დაფიქრდე, ჩადო თუ არა ფული** - ჯერ ერთი, რომ ხარისხის თვალსაზრისით, დიდი რისკია და, მეორეც, მშენებლობა შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. გამორიცხული არაა, რომ იმ სამშენებლო კომპანიაში პირამიდის პრინციპით ხდებოდეს მშენებლობის დაფინანსება, რაც იმას ნიშნავს, როცა კლიენტთა ერთი ფენის შეკვეთას მეორე ფენის მიერ გადახდილი ფულით აფინანსებ!

**- როგორც ამბობენ, თბილისში აღარ არის თავისუფალი ადგილი დარჩენილი, სადაც შეიძლება მშენებლობა დაიწყოს. როგორ წარმოგიდგენიათ ამ ბიზნესის განვითარება?**

- ჯერჯერობით არის ადგილები, განსაკუთრებით - გარეუბნებში. შეიძლება სამ-ოთხ წელიწადში მართლაც აღარ იყოს ადგილები. მერე თანდათან დაიწყება ძველი სახლების დანგრევა. პეკინი მთლიანად დაინგრევა. „ხრუშჩოვკები" აუცილებლად უნდა შეიცვალოს! კიდევ ვიმეორებ, ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ იქნება მშვიდობა და სტაბილურობა, თუ ქვეყანა დაიქცევა, თუ ხელფასები ხალხს პურის ფულად არ ეყოფა, მაშინ ბინებიც გაიაფდება და სამშენებლო ბიზნესიც მოკვდება!!!

*მოამზადა*
**თეა ასათიანმა**

## პირველი სათხრობი: მკვდარი ბავშვების პანთეონი

### პირველი სათქმელი: მიუსაფარი დედა

დილიდან ჟინჟღლავდა და ნელ-ნელა მატულობდა დღის განმავლობაში წვიმა. შავმა ღრუბელმა ციური სილაჟვარდე გადაფარა და ცისკრის ნაცრისფრად განათებულმა სინათლემ ტალახისფერი ელფერი შესძინა გარემოს. სუნთქვის შემკვრელი ნისლი იდუმალების განცდებს შლიდა და მისტიურ ლაბირინთებში ხვევდა წარმოსახვებს, რათა ის დღე ყველაზე მეტად შეუცნობადი გამხდარიყო. საღამოსკენ ელვა-ჭექამ გააცივა სული. ქალში შიში სუფევდა ჭექა-ქუხილის, შიში ხმაურის, რადგან არ უნდოდა ვინმეს ყურადღება მიექცია და ის ვინმე გონს მოგებულიყო ხმაურზე და ჩამცხრალი ღვარძლი გაღვიძებულიყო გაასმაგებული ძალით. ეს იყო ილუზია თავის მოსატყუებლად, ჩქარობდა ქალი, და მიტომ. ჩქარობდა დროულად გაცლოდა ქალაქს.

შიშმა თვალები აამეტყველა. ელვის წამიერ გაშუქებაში ჩანდა თვალთა უსაზღვრო განგაშში ჩაძირვა და მეტყველებდა სახის ყოველი ნაკვთი შიშში და შიშით. სუსხიანი ქარი შავ თმებში გაიბლანდა. ალამებდა ქალის სურათის მომხიბლავ შუქს შუბლზე ჩამოყრილი თმები, მეტადრე სევდიანს რომ აჩენდა ქალის მიმზიდველობას. ტანზე ალაგ-ალაგ შემოხეოდა სამოსი და ნახევებს მიღმა ჩანდა მზით სხივაკრული ფერი ქალის ხორცისა,- ასე რიგად აჩლუნგებდა ნებისმიერ ჟინმორეული მამაკაცის ვნებებს მათი მხეცური წადილის დასაოკებლად. გრძელი გაშლილი თმები წვიმაში დასველებოდა და ელვისმიერი განათებისას გეგონებოდა, თითქოს სირმებით მოწინწკლულიყო. ცისფერი, კრიალა ზღვისფერი თვალები, ისეთი როგორი ფერიცაა ცისა და ზღვის გასაყარი შორეული ჰორიზონტის უსასრულო ზოლზე, მომაჯადოვებლად ზემოქმედებდა მტერსა და მოყვარეზე. სახის ნაკვთები, ვერ ვიტყვი, დახვეწილი ჰქონდაო, მაგრამ ყველა ლამაზმანს ჩრდილავდა თავისი საუცხოო მომხიბლაობით. უსაზღვრო შიში დაბუდებულიყო მის არსებაში და შიშისგან გაქცევას ლამობდა, სულ ერთი იყო სად, ყველგან, ოღონდ აქ არა, ყველასთან, ოღონდ ამათთან არა.

ამას ფიქრობდა იგი, მეტი საფიქრალი მას იმ წუთში არ ჰქონდა, გაუცნობიერებლობა ეუფლებოდა მის არსებას, და გაუცნობიერებლობით მოქმედებდა ყველაფერს, რასაც მოქმედებდა, და მიტომ.

ჩქარობდა, ო, როგორ ჩქარობდა!. - როგორც განწირული შველი მტაცებლის დადევნებისას. მახსოვრობასაც შემორჩა შთაბეჭდილება ამ შიშის და შიშისაგან გამოწვეული არაამქვეყნიური სიჩქარის და სიჩქარისთვის გამწარებით მოკრებილი ძალის. ასეთი რამ მას ნადირობისას ენახა თავის მამულში, თუ როგორ გაურბოდნენ მონადირეებს დამფრთხალი ირმები. მაშინ არ შეცოდებია მას ირმები იმიტომ, რომ იგი იყო ერთი მონადირეთაგანი, ახლა იგი ნადირი იყო და იგი ამჟერად დაუსხლტა ხელიდან მონადირეებს. მაშინ მას არ შეცოდებია ნუკრი და მისმა ნასროლმა ისრებმა ხალისით მისდია კვალდაკვალ მსხვერპლს თვით სიკვდილამდე, რადგან იგი მდევარი იყო და ვერ შეიგრძნობდა ირმების შიშს. ახლა მას ეცოდებოდა არათუ საკუთარი თავი, არამედ ის ირმები, რომელთაგანიც თვითონ იყო ახლა.

ხელები უთრთოდა. გრძელი თითები პატარა და კოხტა ხელის მტევნებზე საცეკვაოდ გამზადებული მუზების შესადარი იყო თავისი ხატოვანებით და არა შიშისაგან უკანმოუხედავად გამქცევი ქალისას. მიიჩქაროდა და სად, თვითონაც არ იცოდა; არსად ელოდნენ, არც არავისთან ეჩქარებოდა, მაგრამ ჩქარობდა, რადგან იგი საუცხოო იყო უცხოთა შორის და ასეთად მიიღეს იგი, როგორიც იყო; მიიღეს და არ გაიზიარეს.

აღარ უნდოდა იმ დღის გახსენება. იმ დღის სისასტიკემ ჩაიარა, და ჯერ არ იყო ის დღე დამთავრებული და დამთავრებული ის სისასტიკეც, რასაც გაურბოდა. იგი ახლა ჩქარობდა. მისი თვალები ბნელ დარბაზებში ფოსფორიული სიცივითა და შემაძრწუნებლობით ანათებდნენ. იგი არ ტიროდა, შიშს შეეჭამა ქალის ცრემლები, და მიტომ. არც დრო იყო განგაშისთვის და მოთქმისთვის. განგაში თვითონვე იყო და განგაში ათრთოლებდა მის სხეულს და არა სიცივე. სიცივე მხოლოდ ქარისაგან გამოწვეული გარეგნული სურათის შემავსებელი იყო, თორემ სიცივე მთლიანად მის არსებაში მეფობდა. ზეცა აფრქვევდა ცივ ცრემლებს მის თვალებზე, როდესაც გარბოდა გარეთ და ქვაშეცნეულად ამზადებდა ყველაფერს გასაქცევად. არ დაედგომებოდა თავის სამყოფელში. სიჩქარეში რომ ხელი არ შეეშალა, წელზე გაჩრილი დაშნით ფეხებს შორის გაჭრა ქვედაწელი სამოსი ბოლომდე და მეტი მოქნილობა მიეცა. ყოველ წუთში შეიძლებოდა შემოვარდნილიყვნენ მდევრები და გზა გადაეღობათ მისთვის. იქნებ ამინდმაც დაიფარა, მაგრამ როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, რა შეაკავებდა მხეცებად ქცეულ მონადირეებს. სხეულზე ეტმასნებოდა დასველებული კაბა და სხეულის ცეცხლის ალივით მხურვალე, მოქნილ და თვალისმომჭრელ კონტურს სრულად წარმოაჩენდა ბუნებისმიერი სტიქიონი. ტალახში ამოსვროდა ქანდაკივით ჩამოქნილი და ხორცით შევსილი ფეხები, ქალური სინაზით რომ ასხმულიყო ჟინის აღმძვრელად. მაგრამ ჟინისთვის და სილამაზისთვის არავის ეცალა იმ დღეს, და მითუმეტეს იმ წუთებში.

საჯინიბოში შეირბინა. თეთრი ცხენი გამოიყვანა სადგომიდან, ჩლიქებზე ნაბდის ნაჭრები შემოახვია და დააჭედა. მერე იქვე გაატარ-გამოატარა, ხმა ხომ არ ექნებაო გაჭენებისას. როცა ცხენი მოამზადა, გარეთ გაიყვანა. თავდაპირველად არ დაემორჩილა ბედაური პატრონს, მაგრამ ქალი შეუვალი და მტკიცე იყო და თავისი სიმტკიცე ცხოველსაც გადასცა თავზე ხელის გადასმით. ცხენიც დაემორჩილა მას და თვითონაც უძლეველის ძალ-ღონე შეითვისა. ეზოში კართან დააყენა ცხენი, ისიც თვინიერად დაემორჩილა და შედგა გაუნძრევლად. ქალი სწრაფად შევიდა გადახურულში.

იქვე კართან ბავშვები იწვნენ იატაკზე სისხლში ამოსვრილები. სულმოუთქმელად ელოდნენ დედის გამოჩენას. ორთავე ბავშვის სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი იშლებოდა, სიკვდილის ფერი დასდებოდა მათ. დედას არ ჰქონდა ლოდინის დრო. ტანზეც შემოიხია სამოსი, უფროსი ვაჟი ზურგზე მიიკრა, თან შეეკითხა:

„ხომ არაფერი გტკივაო?“

„ტკივილმა გადამიარა, ისეთი ძლიერი ტკივილები მქონდაო“, - ძლივს ამოილუღლუღა ბავშმა.

„შენ რაღად მოგეღრუბლა სახეო?“- სასოწარკვეთილებისგან ჰკითხა დედამ უმცროს შვილს.

„მე ისევ მტკივა და მიმატებს ტკივილიო“,- ხმის კანკალით უპასუხა ბავშვმა და თავი გვერდზე გადაიქნია. დედამ სიმწრის ოფლი მოწმინდა შუბლიდან. მერე საჩქაროდ ადგა, დატვირთულმა ცოტა შეაყოვნა წამოდგომა. მერე საჩქაროდ დატოვა შენობა და გარეთ გამოვიდა. ცხენმა პატრონს შეხედა და მიუახლოვდა, ყოველმხრივ შეუწყო ხელი უაღვირომ და უუზანგომ, რათა შემჯდარიყო მასზე. ცხენიც გრძნობდა განგაშს. ჩუმად გავიდა უკანა ეზოდან.

ქალს ცალი ხელი ცხენისთვის ფაფარში მოეჭიდა, ცალი ხელით კი პატარა ბავშვი მკერდთან მიეკრა. ბავშვმა იგრძნო დედის სითბო და ტკივილთა ბურუსში გახვეული თვალებით მაინც შეხედა მას. ასეთი მტკიცე, ასეთი გაკერპებული სახის დედა იგი არასოდეს ენახა.

„მშიაო, დედა!..“ - წაიკვნესა ბავშვმა.

დედამ შვილს შეხედა უმწეო თვალებით. მიუალერსა იმავე თვალებით და ცივ შუბლზე ემბორა. ძუძუ ჩაუდო პირში,- ამით მოიტყუე თავიო,- გაიფიქრა. ზურგზე მოკიდებულმა შვილმა კი ყურთან ჩასჩურჩულა:

„დედა, ჩვენ მალე მოვკვდებითო?“

სიმწრის ნაოჭებმა გაუბზარა დედას სახის ერთიანი წყობა. არ უნდოდა შვილს რაიმე ეგრძნო, მისგან სახის დამალვა უნდოდა, მაგრამ მაინც ახედა დედამ შვილს, არაფერი უპასუხა, ისე, და სიმწრისაგან ცხენს ისე ჩაარტყა წიხლები ფერდებში, რომ ალბათ ეს სიმწარე ცხენმაც იგრძნო და ქარიშხალთან შესაგებებლად გაეშურა განთიადის და დაღამების შესაყართან, ქალი კი ცხენს კისერში მოეჭიდა, ბავშვსაც საიმედოდ მოეჭიდა თვითონვე ცხენზე მიკრული. ზურგის სიმძიმეც შეიმოწმა.

„თმებში მომკიდე ხელიო“,- გააფრთხილა დედამ შვილი.

თქვენი უმანკო სახეები, მგონი, ძრწოლას აუტანიაო,- ფიქრობდა დედა. ვერ გრძნობდა, რომ ამ ფიქრს ხმამაღლა წარმოსთქვამდა. ჭექა-ქუხილი და წვიმის შხაპუნი ახშობდა მის ნათქვამს,- თქვენს კრიალა თვალებში შიში ჩაბუდებულა და შიში გტანჯავთ, შიში ტკივილის, ერთის გრძნობა რომ დაგიკარგა, მეორეს აუტანელმა სიმწარემ რომ შიმშილი მოგგვარა და ლეჭავ მშრალ ძუძუს და ჩემში შემოდის თქვენი ტკივილები. ამოწოვე, შვილო, ჩემი სისხლი და გამიცივე გრძნობები, რათა ველარ ვიგრძნო თქვენი სიკვდილი. იქნებ მეჩვენება და მე დამებინდა ეს ოხერი გონება, იქნებ მე ვერ გხედავთ, იქნებ მე დამიჩრდილა უხილავმა ძალებმა თვალთა ფერიების ფერთა თამაში. რატომა ხართ ასე ფერმკრთალები, თითქოს თქვენი ვარდისფერი ტუჩები გაქრაო,- დედის ხმაში თვალნათლივ იკითხებოდა უსაზღვრო შიში შვილებზე.

ცხენი გარბოდა და ქვაფენილზე მისი ფლოქვების ხმა არ ისმოდა. შუკიდან ვიღაც კაცი გამოვიდა და გაუკვირდა, როგორ გარბის ცხენი ისე, რომ ხმას არ გამოსცემსო. მხედარსაც მოჰკრა თვალი და მის „ტვირთსაც“. აღარ გაკვირვებია, რადგან გაიფიქრა, იგი ხომ ჯადოქარი და მისანიაო და მას არ გაუჭირდებოდა ცხენის ხმა დაეხშოო. ეს ბავშვები კი დასისხლიანებულები რატომ არიანო, იქნებ თვითონ არის დასისხლიანებულიო. მაინც ვერაფერი გავიგე ხეირიანადო. თუმცაღა ამ ქალისას რას გაიგებო. წამიერ გაელვებაში თვალნათლივ დავინახე თეთრი ცხენი, სისხლი, ჯადოქარი და ბავშვები. გავიქცე, რაღაც არ შემამთხვიოსო და არ გამომედევნოსო. და ბნელ ქუჩაში გაუჩინარდა.

ცხენი კი გარბოდა მთელი სისწრაფით და ძნელი იყო მისთვის თვალის მოკვრა. მხედველობაც თანდათანობით დაახშო სიბნელემ და თქეშმა, ქალისათვის წამი საუკუნედ გადაიქცა, დროის შეგრძნება დაკარგვოდა, და მიტომ. ელვის მიმართულებით გარბოდა ცხენი და ჩანდა წამიერ გასხივებაში დედის სახე, რომელსაც სიმწრისაგან ძარღვიც აღარ უტოკავდა სახეზე, თითქოს ნიღაბი ჩამოეცვათ მისთვის და ეს ნიღაბი ძნელი სატარებელი იყო სახეზე უსაზღვრო სიმძიმისა და მოუხეშაობის გამო. დროის ათვლადაკარგული საკუთარი ბედისწერის გარდუვალობაზე ფიქრობდა. ფიქრობდა იმას, თუ როგორ დაუნდობლად ჭამდა ქრონოსი თავის შვილებს - დროის წამიერებას, და ეს მაშინ, როცა თვით ქრონოსი მარადისობის სატანჯველად გადაქცეულიყო. და ებრძოდა უმწეო დედა შვილთა მჭამელ ქრონოსს, რადგან არ უნდოდა ამ დროებაში შეეჭამა სიცოცხლის წამიერება, ბავშვების სიცოცხლის წამიერება. ევედრა კიდეც გამზრდელ მამიდას:

„მამიდა! ჩემო გამზრდელო მამიდა! - შვიდგზის შესძახა ქალმა მამიდას,- ძალა მომეცი, გონება გამინათე ჩემი შვილებისათვის. როგორც ყოველთვის ახლაც მოგიხმე შენი შემწეობის იმედად. შვილები განსაცდელში ჩამივარდა. ავსულები ცდილობენ მათ შავეთში ჩათრევას. ავ- ქარი უბერავს და ქაჯები ყოვლისმომწვდომ ხელებს იქნევენ. ბავშვებს აშინებენ. მაჯლაჯუნები ბნელი ხორკლიანი ჩონჩხის ხელებით ეფერებიან ჩემს შვილებს. ებღაუჭებიან დაგეშილი გამოხედვით როკაპები და კუდიანები სიკვდილისაგან დაოსებული ჩემი ბიჭების სხეულებს და ჩრდილავენ მათ ფერმკრთალ სახეებს. მაქციები ქვესკნელიდან ამოზიდული შხამიანი მტვერით გვახრჩობენ. მაცილი ცდილობს სული მომიწამლოს, რათა სიცოცხლის მერე უდღეურობაში გადამაგდოს. შვილებს რომ წამართმევენ, ყველაფერი ეს დადგება, და მე კი ვერაფრით შევუშლი ხელს მათ განზრახვებს. ღრმა ჭრილობები აქვს ბავშვებს. ტკივილმა გონი წაართვა ჩემს საბრალო შვილებს. მიშველე, მამიდა. შენ ხომ ყოვლისშემძლე ხარ... ნუ მიმატოვებ მარტო ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს... გესლიანად ქირქილებენ ტაჯალები... ერთმანეთს ეჩურჩულებიან, გათენებამდე რომ ვერ მივაღწიოთ. უნდათ ქვესკნელისკენ მიმავალ გზას დავადგეთ!!!“

ჯერ ბოლომდე არ იყვნენ სამშვიდობოს გაცილებულები, ზურგზე მოკიდებულმა ბავშვმა რომ უთხრა დედას:

„ალბათ შეიტყვეს ჩვენი გაქცევაო...“

„საიდან იცი, შვილო,- ჰკითხა დედამ,- ღამეა და როგორ ამჩნევო...“

„ქალაქში ჩირაღდნები დაინთო და მატულობს და მატულობს ერთ ადგილზე ჩირაღდნებიო“.

„ალბათ ჩვენი სადგომი დაწვეს,- ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა,- შორს გავაღწიეთ ქალაქიდანო?“

„ჯერ არაო,- უპასუხა შვილმა. მერე დაამატა,- ტკივილებმა ისევ მიმატა და თვალებში მიბნელდებაო, ტანშიც მაციებსო“.

„მოითმინე, ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ აქედან გავაღწიოთო...“- დაიმედა დედამ.

„ჩემი ძმა როგორააო,- ჰკითხა შვილმა დედას,- ხომ არ მომკვდარაო?“

„იმასაც ღრმა ჭრილობა აქვს, ტკივილმა გათიშა ალბათ. იგი ჯერ პატარააო. მშიერია და ჩემს ძუძუს ეტანება, იქნებ ამით მოიტყუოს თავიო“.

ამის თქმაზე გაელვიძა პატარას და დედას შეხედა.

„აღარ მივედითო?“- ჰკითხა დედას და პირიდან სისხლმა გადმოჟონა.

„ჯერ არაო“,- უთხრა დედამ და სიმწრისაგან გულში ჩაიკრა და ბავშმა განაგრძო დედისაგან სისხლის ამოწოვა.

რაც უფრო სცილდებოდნენ ქალაქს, დედის სიკერპე მით უფრო იმსხვრეოდა და დარდდამძლეულ დედად იქცეოდა, რომელსაც თანდათანობით ცრემლები უვსებდნენ თვალებს და ბოღმა ყელში ბურთად გასჩროდა, ჯერ კი უფლებას არ აძლევდა თავს, ასეთი სისუსტე გამოეჩინა, ბავშვები უნდა გადაერჩინა, და მიტომ. დროის ათვლა დაეკარგა დედას, რადგან ღრუბლებში მიმალული მთვარე არ უნათებდა გზას, არც მიმართულება იცოდა, ცხენს იყო სრულად მინდობილი. უკან სიბნელეში ჩაიმალა ჩირაღდნები და ქრონოსმა ის დროც შეჭამა თავისი ავი მოსაგონარით, იმ ქალაქთან დაკავშირებული, გარდა შვილების სიკვდილშემოსილი წყლულებისა, ამ ქალაქიდან რომ გამოჰყვა დამღად. ეს ჭრილობები ვერ გადაყლაპა ქრონოსმა, რადგან ისინი უკვე ალბეჭდილიყო დედის გულში.

თანდათანობით ცხენმა სირბილს უკლო, ალბათ დაიღალა დაძაბული გაჭენებისგან, ან ისეთი ღამე გადაეფარა თვალებს, რომ გზის გაკვლევა გაუჭირდა და გზის აღსაქმელად შეანელა სრბოლა. განუწყვეტლივ კი გრძნობდა პატრონის მტკიცე ხელს და ერთგულად მიჰყვებოდა მის ნებას, პატრონიც ერთგულადვე მინდობოდა თავის მეგობარს და მიანდო თავისი შვილების უსაფრთხოებაც. ამას გრძნობდა ცხენი და სურდა გაეჭრა ღამის ლაბირინთები, რათა ქარიშხლიანი ღამის დასალიერამდე დროულად მიეყვანა. ფეხდაფეხ მისდევდა გაქცეულებს ქრონოსის მოუპირავი სტომაქი, რადგან დრო-ჟამი ქრონოსის შვილები



და უთქვამს, რომ გრძნეული ქალიო ქალაქიდან გარბოდა დასისხლიანებული და ცხენზე ამხედრებულიო. სასწაული კი ის იყო, რომ ცხენის ფლოქვების ხმა არ ისმოდაო ქვაფენილზე. ელვა-ჭექამ გაანათა ქალის სახეო. ბავშვებიც მიჰყავდაო და კიდევ ის იყო საოცარი, რომ ტანს ზემოთ შიშველი იყოო და სისხლში ათქვეფილიყო ისიცა და ბავშვებიცო. ალბათ საკუთარი შვილები დახოცაო იმ ავსულმა და იმიტომ გაიქცა ქალაქიდან, რომ შეეჭამა ისინიო. სულს ძლივს ითქვამდა ბნელი ქუჩის მგზავრი შიშისაგან და სირბილისაგან.

„ამდენ რამეს თვალი როგორ მოჰკარიო“,- ჩაეკითხნენ დიდებულები.

„ცხენი კუდამოძუებული გარბოდაო,- აუხსნა კაცმა,- ეს იყო, რომ ელვის განათებაში მოვკარი თვალი და ისეთი შემაძრწუნებელი სურათი დავინახე, რომ მთელი ცხოვრება გამყვება იგი, როგორც დაწყევლილი ხილვა და მოჩვენებაო“.

„ესე იგი შენ ამბობ, რომ შვილები მოკლაო?! - ჩაეკითხნენ უფრო დაწვრილებით,- იქნებ თვითონ იყო დაჭრილი?“

„არა, ჩემმა მზემო, მას ისე მტკიცედ ეჭირა თავი ცხენზე, რომ წარმოუდგენელი იყო, დაჭრილი თვითონ ყოფილიყო. აი, სისხლმა მაფიქრებინა ბავშვების განსაცდელში ყოფნა. სხვას ვის, თუ არა თანატოსის ამ ქურუმს შეეძლო ბავშვების მოკვდინება ჰადესის საკურთხეველზეო“.

გაეღიმათ ქალაქის მესვეურებს და თავისთვის ჩაილაპარაკეს - კარგი აზრიაო. ამან კი უფრო შეზარა ბნელი ქუჩის მგზავრი და ბნელ ქუჩაში მიიკარგა სამუდამოდ.

გაქცეულები კი ისევ გარბოდნენ მოუსავლეთში. ჯერ ადრე იყო განთიადის პირი. წვიმამაც მოქანცა გონება, რადგან გამოდარებას არ აპირებდა. ტყის პირას შეაჩერა ცხენი ქალმა. ერთბაშად მოეშვა კუნთები და იგი ლასლასით ჩამოცოცდა ცხენიდან. დაღლილობისაგან ფეხებმა კანკალი დაიწყო, როგორც კი შეეხო მიწას. დედისთვის მთავარი იყო ბავშვებს არ გაღრმავებოდათ ჭრილობები და ძილ-ბურანშივე ყოფილიყვნენ. ერთ ხის ძირში ჩაიმუხლა. მკერდზე შენასკვული სამოსის ნახევები შეიხსნა და ზურგზე მოკიდებული ბავშვი მიწაზე დააწვინა. თვითონაც იქვე მიუჯდა, თავზე გადაუსვა ხელი. ცივმა ოფლმა დაასხა ბავშვს, ეს არ იყო წვიმის წვეთები, რადგან წვიმა იმ ოფლზე უფრო თბილი იყო. ბავშვი ბოდავდა, გაურკვეველ სიტყვებს იძახდა, ვიღაცას

## ავტორის წინათქმა:

წლეულს, რუსეთმა ქართველ ერს სისხლიან ზაფხულად დაუგვირგვინა აგვისტოს თვე. დიდი და პატარა შეშფოთებით შესცქეროდა ჩვენი სამშობლოს გმირ დამცველებს. საქართველომ მთელ მსოფლიოს დაანახა, თუ როგორი ზნედაცემულია რუსეთი, მისი სამხედრო მანქანა გახრწნილი და არაბრძოლისუნარიანი. მიუხედავად ხუთდღიანი ომის მოგებისა, იგი სასტიკად დამარცხდა საქართველოსთან ბრძოლაში, მან ვერ მოიკიდა ფეხი ქართულ მიწაზე და მისი განდევნა დაწყებულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

ომის დაწყებისთანავე დავიწყე ამ რომანზე მუშაობა. იგი ნათლად გვიჩვენებს იმ პრობლემატიკასა და კატაკლიზმებს ისტორიულ და მითოლოგიურ ჭრილში, რაც მუდამ აწუხებდა ქართველ ერს, ასე ვთქვათ, ქართული ბედისწერა რომ იყო.

რუსები ჩვენი ერის ცხოვრებაში არახალი ხილია, ისინი ახალი დროის არგონავტები არიან, რომლებსაც სურთ წაჰგვარონ ქართულ მიწას თავისი „ოქროს საწმისი“, ხურდაში კი ოქროს ჩანგლები მიაქვთ.

წინამდებარე რომანი ახალი მითოლოგია არაა, შევეცადე მხოლოდ ევრიპიდესაგან განსხვავებით, ევრიპიდესეული ალოგიკურობანი წამომეწია წინა პლანზე, და მათი შესაძლო რეალობა მეჩვენებინა. ამით მსურს წარმოვაჩინო, თუ როგორი ტენდენციურები იყვნენ ჩვენი ერის მიმართ ისტორიულ და პრეისტორიულ ხანაშიც ჩვენი მტრები, თუნდაც დიდი მწერლები ყოფილიყვნენ ისინი.

რუსეთზე აღარაფერს ვამბობ, გადახედეთ პუშკინიდან დაწყებული - სოლჟენიცინით დამთავრებული რამდენი ევრიპიდესმაგვარი ცრუპენტელა მწერალი ჰყავთ რუსებს.

ამდენად წინამდებარე რომანში ახალი ფაქტები არაფერია, არც აღმოჩენის პრეტენზია მაქვს. ერთია მხოლოდ, რომ შევეხმიანე წარსულით - აწმყოს; ბერძნების მიერ დაწერილი მითოსით - რუსეთის ღორული დინგით აჩიჩქნილ დღევანდელ რეალობას და ქართულ სიძლიერესა და დათმენას გავუსვი ხაზი, რომელსაც ჩვენი ერის გარდაუვალი გამარჯვება ელის სამომავლოდ.

გასულიო“.

„სიცივემ ამიტანა, დედა, იქნებ გამათბოო“.-

დედამ მკერდზე მიკრული მეორე შვილი უფროსთან დააწვინა და უთხრა:

„გამაგრდი, იქნებ წამლისთვის ბალახეულობა მოვიძიო და გადაგარჩინოთო“.

„მეშინია, მარტო არ დამტოვოო“.

„შენ ხომ არასოდეს არაფრის გეშინოდა, ჩემო ბიჭუნა, შენ ხომ ჩემი ჯიშის ხარ!“

„შენი ჯიშის რომ ვართ, ალბათ ამისთვის გაგვიმეტეს“.

დედას ჩახედა ბავშვმა თვალებში, დედამაც შეხედა მომაკვდავს, მაგრამ არა წყრომით, არამედ სინანულით.

„შენც მოგწვდნენ და მოგიწამლეს სიცოცხლე?!“

„სისხლისგან ვიცლებით მე და ჩემი ძმა, მეტი რაღა უნდა მოგვწდომოდნენ“.

ამასობაში უმცროს შვილს მოულოდნელად გაელვიძა და სასომიხდილმა წამოიყვირა:

„გვიშველე, დედა! მხეცები მოგვდევენ შესაჭმელად!...“

„ახლავე მოვძებნი ბალახეულს და ჭრილობებს დაგიამებთო“.

დედამ ორივე შვილს მოეფერა. შუბლზე ემბორა და საჩქაროდ ტყეში შევიდა.

ქალმა არ იცოდა სად იმყოფებოდა, არც ის, თუ რამდენ ხანში გათენდებოდა, არც ის, მალე გადაიღებდა წვიმა თუ არა. სრულ გაურკვევლობაში იყო ქალი. ცხენი ბავშვებთან იყო და დროდადრო ფრუტუნებდა. დედა კი იქვე ახლო-მახლო ბალახეულს ეძებდა სახელდახელო საკურნებლისთვის. დროდადრო გაელვება უნათებდა გზას, ტყის სიღრმეში რომ შესულიყო და რაღაც საკვებისმაგვარი ფოთლები ეპოვნა. ტყეში ღრმად შესვლას ვერ ბედავდა, რადგან გზა აებნეოდა და შვილებთან ველარ მივიდოდა. მალევე მობრუნდა უკან, ბიჭები კვნესოდნენ. გულისცემა შეუმოწმა დედამ შვილებს. მკერდი შეუხსნა და ფრთხილად, რომ არა ტკენოდათ, ჭრილობებში რაღაც ფოთლები ჩაუფინა. მერე ჭრილობებზევე ემბორა და რაღაც შეულოცა. პირში ჩაუდო იქვე სახელდახელოდ ნაძვების გამონაჟური თვალ-კორ-

მოითმინეთო. რაღაც გვეშველებაო. უფროსმა შვილმა კი დედას შეახსენა თავისი წინანდელი ნათქვამი და დასძინა:

„დედა, არასოდეს იფიქრო, თითქოს საყვედურს გეუბნებოდე შენი ჯიშის რომ ვარ“.

დედა აღარ უყურებდა შვილს, იგი რაღაც გაურკვეველ უსაგნო სივრცეში იყურებოდა და მძიმე ფიქრებით დატვირთულმა უპასუხა ბავშვს:

„არ მიფიქრიაო...“

„იცი, დედა, მე მეამაყება, შენი ჯიშის რომ ვარ და შენს მტრებთან თვალი არ დავახამხამეთ. არ ვათქმევინეთ შენს მტრებს მხდალი შვილები ჰყოლია მედეას. როცა მკლავდნენ, ერთმა ასე თქვა, ეს გრძნეული ქალი გრძნეული შვილებისვე პატრონი ყოფილაო, ვკლავთ და არ ტირიანო. ვაწამებთ და ამ წამებაში შვებას გრძნობენო დედის სიყვარულისთვის. რა ყოფილა ეს ქალი ასეთი. მეორემ შეეპასუხა გველია და გველის წიწილები ჰყავსო და ჩემს ძმას გამეტებით ჩასცა დანა გულში. არც მან იტირა, დედა, არც მან შეგარცხვინა. შენგან ვისწავლეთ ტკივილების დათმენა. მკვლელებმა თვალი ვერ გაგვისწორეს, და ამასობაში შენც გამოგლიჯე ჩვენი თავი. ხომ არ შემირცხვენიხარ, დედა...“

„ნუ ფიქრობ ამ დღეზე. დაივიწყე ყველაფერი. ტვირთად მეც მეყოფა გასახსენებლად. შენ ჯერ ბავშვი ხარ, ცხოვრება დიდია, გრძელი და უსასრულო...“

„თუ არ შეგვიმოკლეს...“

„მეტისმეტად ბრძენი ყოფილხარ. ვინ დაგიკარგა ასე-რიგად ფერადი ბავშვობა. შენ ბავშვი აღარასოდეს იქნები. მე ბავშვები მომიკლეს და ბრძენი კაცები შემრჩა ხელში.“- გაუღიმა ნაღვლიანად დედამ შვილს და ისევ უსაგნო სივრცეში მზერა განაგრძო. უკვირდა, როგორ გამოსტაცა გამხეცებულ ჯალათებს შვილები. რამ მისცა არაადამიანური ძალა, კაციჭამიების მთელ ხროვას რომ ერთმა ქალმა აჯობა. იმასაც ფიქრობდა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, ფიქრობდა და შიშმა დაზაფრა ქალი. ეს შიში განაგრძობდა თავის არსებობას მანამ, სანამ ბავშვების სიცოცხლე საფრთხეში იქნებოდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომრებში**



## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
## გასტროლები ამერიკაში



უილიამ შექსპირის

# ზაფხულის ღამის სიზმარი



შაბათს, 25 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე

რეჟისორი ლევან წულაძე
მხატვრობა და დიზაინი ანა კალატოზიშვილის
ქორეოგრაფი გია მარგანია
მუსიკალური გაფორმება ზურა გაგლოშვილის
კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე
რეჟ-ის თანაშემწე ნინო ჟორჟოლიანი

**მონაწილეობენ:** დავით დვალიშვილი, ვალერი კორშია, ირაკლი ჩოლოკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ლეო ანთაძე, ზაზა იაკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ზურა ბერიკაშვილი, ვასილ მოწენიძე, ნიკა კუჭავა, ირმა ბერიანიძე, ნათელა გუბენკო, თამუნა ბუხნიკაშვილი, ნიკა თევზაძე, ეკატერინე ნიჟარაძე, ონისე ონიანი, მაია კაციტაძე, ლელა მებურიშვილი

თეატრი „მილენიუმი“
1029 Brighton beach ave, Brooklyn, NY
ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ: www.myconcert.us
ტელეფონები: 718-615-1500, 347-528-0037, 718-781-6945


ჩვენს **გია ხუციბერიძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს, ბედნიერებას და ასე ლამაზად ცხოვრებას გისურვებთ ჩვენო გია, გაიხარე, იბედნიერე და ილულუნე შენი განუყრელი ,,ყვავილების ქვეყანა“, მსოფლიოს სხვა ქალაქებში გაბნეულ შენს მონატრებულ შვილებთან ჩახუტებას გისურვებთ.

**ნანა მაღრაძე, ბაია გეფაძე, მერაბი აბზიანიძე, როლანდი ნუცუბიძე, კახა ფუტკარაძე, მინდია ბერიშვილი, შაქრო კამლაძე, თამრიკო ფუტკარაძე, ნინო ლაღაძე, ბესო დვალიშვილი, სალომე ფუტკარაძე**




12 ოქტომბერს, კვირას, „ქართული რთველი 2008“
## ქართული ტრადიციები ამერიკაში გრძელდება

**ქალაქი ლანკასტერა, პენსილვანია. ქართული ერთდიანი ექსკურსია ამიშების ქალაქში, გასვლა ბრაიტონიდან, დილის 7 საათზე**

- მგზავრობა კომფორტული ავტობუსით;
- ამერიკული ვენახის და ღვინის დამუშავების ტექნოლოგიების დათვალიერება;
– სხვადასხვა სახის ღვინის დეგუსტაცია;
– სურვილისამებრ ეკოლოგიურად სუფთა და პროდუქტების შეძენა;
– გექნებათ საშუალება თქვენი ხელით დაკრიფოთ და შეიძინოთ ყურძენი ნებისმიერი რაოდენობით, სურვილისამებრ იქვე დაწუროთ (ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ წინასწარ და შეუკვეთოთ, რომ თქვენთვის დაწურონ და დაგახვედრონ უკვე დამზადებული ახალი ყურძნის წვენი);
– სადილი ღია ცის ქვეშ (ქართული ტრადიციებით: მწვადები, ღვინო და „ქეიფი ვენახის პირას");
– ექსკურსიას ექსკლუზიურად გააშუქებს საქართველოს ტელევიზია;
- გელოდებათ სიურპრიზი, რომელსაც შეიტყობთ ადგილზე;
– ჩამოსვლა ნიუ-იორკში ღამის 10 საათზე;
- ადგილზე ბილეთები არ გაიყიდება!

Gelany USA, 718-263-9030
www.gelanyusa.com





* * *

ჩვენს **ლალიკო ამბროსიძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს! უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს შენს ლამაზ ქმარშვილთან ერთად. ჯანმრთელობას, მზეგრძელობას და ულევ სიხარულს გისურვებთ.

**მეგობრები „მამულიდან“**

* * *

**კახაბერ შარაბიძეს,**

ძვირფასო კახა,
გილოცავთ დაბადების დღეს!
დასახული მიზნების ასრულებას, შემოქმედებით წარმატებებს და რა თქმა უნდა, ოჯახის შექმნას გისურვებთ.

**დალი ხოფერია, ნინო ხარაბაძე, ნანა ანთიძე**

* * *

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ დედას **მაია ბარბაქაძეს**, სიხარულსა და ბედნიერებას, ჯანმრთელობას და მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრებას ვუსურვებთ. ძალიან გვიყვარხარ!

**შენი, ხათუნა და ნუკრი.**

* * *

ჩვენს საყვარელ ქალბატონს, სანიმუშო მეუღლესა და ძვირფას დედას **დარეჯან კახიძეს** ვულოვავთ საიუბილეო თარიღს - ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერებას მონატრებულ ოჯახთან ერთად.

**ნათელა მოსიაშვილი, მარინა გიორგაძე, ნანა ბერაძე, იამზე გოგუაძე, ნარგიზა ბიბიჩაძე, დალი ხოფერია, ნინო ხარაბაძე**


**ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის საშუალებით.**



347-738-5265
ლელა

## DISCOUNT PLUS STORE




უკრაინელი დოქტორის **ვიქტორ გრიბენკოს კლინიკა**

გიწვევთ სამკურნალოდ და გთავაზობთ თბილ, მეგობრულ მომსახურებას, მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას



**იჩქარეთ! დაავადების დროული პროფილაქტიკა და მკურნალობა ჯანმრთელობის საწინდარია. ვღებულობთ ყველა სახის სამედიცინო დაზღვევას.**

დიაგნოსტიკა და მკურნალობა:
ძვალ-სახსროვანი სისტემის; ოსტეოქონდროზის; დისკოზების; ნევროზის; ვენური უკმარისობა; ბლოკადა ქრონიკული დაავადებების დროს; აკუპუნქტურარეფლექსოთერაპია; ნარკომანიის ანონიმური მკურნალობა; სამედიცინო ექსპერტიზა; ტრავმები; მოტეხილობები; ავტოავარიები; სამუშაო კომპენსაცია



170 Avenue S
**(Corner West 7th Street)**
**Brooklyn, NY 11223**
**Tel: (718)382-8282**

242 East 19th st, S3
**Manhattan, NY 10003**
**Tel: (212)475-6249**
(Office of Dr. Ostrowski)

მაია ნინოშვილის სააგენტო

# GEORGIA-USA TRAVEL

## ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველოში და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214



**ვაკე**

„მაღალი კლასის საცხოვრებელი სახლი“
აბაშიძის ქუჩა 34-36;
„ყველაზე მწვანე ეზო“ - ჭავჭავაძის ქუჩა 75;

**ავლაბარი**

„აქსისი პალასი ავლაბარი“ - ბოჭორმის ქუჩა 25

**საბურთალო**

„აქსისი პალასი 1“ - საბურთალოს ქუჩა 32;
„აქსისი პალასი 2“ - საბურთალოს ქუჩა 34;
„აქსისი პალასი საირმე“ - საირმის ქუჩა 51;

**დიდუბე**

„სამი განსხვავებული ეზო“ - კედიას ქუჩა 10;

**საგურამო**

„საგურამოს თაუნჰაუზი“ - საკუთარი ვილა საკუთარი ტყეპარკით თბილისიდან 20 კილომეტრში




Georgian Real Estate
აქსისის წარმომადგენლობითი ოფისი ნიუ-იორკში
1928 Kings Highway, 2nd Floor
NY 11229 USA
Tel.: +1 (718) 336-2600

WWW.AXIS.GE

აქსისი



ასავალ დასავალის პატრონობით

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

მამული

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

რედაქცია მადლობას უხდის შემწეობისათვის მამა ალექსანდრე თანდილაშვილს, ქალბატონ იზოლდა შარიქაძეს